



2016/4

ყველთვიური ლიტერატურული –  
საზოგადოებრივი ჟურნალი

მთავარი რედაქტორი  
**ამირან გომართელი**

მთ. რედაქტორის მოადგილეები  
**ბალათერ არაბული**  
**სოსო გოლიაძე**

რედაქტორთა ჯგუფი  
**ანდრო ბუაჩიძე**  
**თამარ გელიტაშვილი**  
**ელზა მეტრეველი**

კომპიუტერული უზრუნველყოფა  
და დიზაინი  
**ქეთევან მერკვილაძე**  
**ნანა ყანდაშვილი**

გარეკანის პირველ გვერდზე  
**ჯალალედინ თანდოდუს**

მეოთხე გვერდზე  
**ოლესია თავაძის**  
ნამუშევართა ილუსტრაციები

სარედაქციო საბჭო

**ანდრო ბედუკაძე**  
თავმჯდომარე

**ვანო ამირხანაშვილი**  
**ნაირა ბუბიევი**  
**ლევან ბრეგაძე**  
**დავით თედორაძე**  
**ზვიად კვარაცხელია**  
**ესმა კოკოსკერია**  
**გიორგი ლობჯანიძე**  
**ავთანდილ ნიკოლეიშვილი**  
**ნინო სადღობელაშვილი**  
**თამაზ ტყემალაძე**  
**თემურ ჭკუასელი**  
**ბესიკ ხარანაული**

ჟურნალი გამოდის  
თბილისის მუნიციპალიტეტის  
ფინანსური მხარდაჭერით

მისამართი: თბილისი, ხიდის ქ.№1  
ტელ.: 2-98-36-43  
ciskari1852@gmail.com  
<https://www.facebook.com/ciskari1852>



# სარჩევი

ტიციან ტაბიძე	3	100 წელი ჟურნალ „ცისფერი ყანახის“ გამოცემიდან ცისფერი ყანებით (ფრაგმენტი წერი- ლიდან)
ალინა ქადაგიშვილი	6	გზები და შეხვედრები ქართული ჰანგები და სიზმრები სტამბულზე
გიორგი სოსიაშვილი	13	პროზა მავთულხლართი. მოთხრობა
არდაშერ თაქთირიძე	22	საჩუქარი. ნოველა
გივი ალხაზიშვილი	24	პოეზია. ლექსები
მანანა დანგაძე	28	ლექსები
ლელა აბრამიშვილი	32	პროზა მინიატურა. მოთხრობა
პავლე ჭავჭავაძე	38	ახალი თარგმანები მამები და შვილები. (ფრაგმენტი რომანიდან). ინგლისურიდან თარგმნა თამაზ ნატრო- შვილმა
ზაზა ბიბილაშვილი	47	პოეზია. ლექსები
გურამ ლაცაბიძე	50	ლექსები
გია არგანაშვილი	53	ჰაითხულობთ ჟღასიას ალუდას თოფი არ უნდა პროზა. ორი მოთხრობა
ნინო გუგეშაშვილი	59	პროზა. მენამული მაგნოლია. მოთხრობა
ცირა ყურაშვილი	65	პროზა. მენამული მაგნოლია. მოთხრობა
მანანა პაიჭაძე	74	პროზა. მენამული მაგნოლია. მოთხრობა
ირაკლი შამათავა	86	რენე კლერი. ეშმაკის ხიბლი ქართული მწერალი აფხაზურად დაკარგული სამოთხის ძიებაში. მოთხრობა
ოლესია თავაძე	105	ჩემი რობერტ ფროსტი
გიორგი ყაჯრიშვილი	107	თეატრალური ქრონიკა ან ხვალისდელი დღე რას მპირდება

ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი – ანდრო ბუაჩიძე

ხელმოწერების გასაფორმებლად დაგვიკავშირდით ტელეფონის  
ნომრებზე: 595 45 20 50; 591 20 25 40; 599 56 56 44.

ტიციან ტაბიძე

„ცისფერი ყანებით“

1915 წელს ქუთაისში თავმოყრილმა პოეტებმა: ტიციან ტაბიძემ, პაოლო იაშვილმა, ვა-  
ლერიან გაფრინდაშვილმა, კოლაუ ნადირაძემ და სხვებმა ლიტერატურული ორდენი „ცის-  
ფერი ყანები“ ჩამოაყალიბეს, ერთი წლის შემდეგ კი, 1916 წელს, ამავე სახელწოდების ჟურ-  
ნალი – „ცისფერი ყანები“ – გამოსცეს. „ცისფერყანელებმა“ თავიანთი პოეტური ალლო  
ახალი ლიტერატურული მიმდინარეობის შექმნისკენ მიმართეს. მათი მწერლური ძიებანი  
სიმბოლიზმს დაეფუძნა.

სიმბოლიზმი XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში გავრცელდა ევროპა-  
ში. მის წინამორბედებად ფრანგი მწერლები: შარლ ბოდლერი, პოლ ვერლენი, არტურ რემ-  
ბო, სტეფან მალარმე... მოიაზრებიან. ევროპული და რუსული სიმბოლიზმის მიმდევარმა  
„ცისფერყანელებმა“ შემოქმედებითი მოღვაწეობა ქუთაისიდან დაიწყეს, შემდეგ კი დედა-  
ქალაქში გადმოვიდნენ. ამის შესახებ ამბობდა კიდევ ცალკეტიონი ერთ-ერთ ლექსში: „შფო-  
თიანი ტფილისი, პოეტების სამეფო“, გრიგოლ რობაქიძე კი თავის დაუმთავრებელ რომანში

„ფალესტრა“ წერდა:  
ტების ქალაქი. კაფე  
იგი კიდევ გამოაც-  
ლაქად, კიდევ მეტი –  
მარტო ტფილისშიაო.  
რედ ამ ხანებში თავს  
გორც არტურ რემბო  
კიდევ არ იცოდა მან,  
ბოჰემით და ლექსით  
პარიზის.

ტიციან ტაბიძე  
მალარიაში ლაფორ-  
ლეს ხედავდა და ლექ-  
და ამ ყბადაღებულ  
ეგონა, რომ ორპირის  
„მალდარორივით“  
ბულ მონოლოგებს.  
ამ დროს მხოლოდ  
„აპოკალიფსი და დი-  
ამზადებდა იგი „ორ-  
„პატმოსის როტ-



„ტფილისი გახდა პოე-  
„ინტერნაციონალში“  
ხადეს პოეტების ქა-  
გაიძახოდნენ: პოეზია  
პაოლო იაშვილი სწო-  
დაეცა ტფილისს, რო-  
– პარიზს. მაშინ ჯერ  
რომ ტფილისის ალება  
უფრო ძნელია, ვიდრე

ორპირის ჭაობებში და  
გის მთვარის სიყვით-  
სებში მასავით უყეფ-  
მნათობს. მას ისიც  
ყანჩი ლოტრეამონის  
დაიწყებდა დითირამ-  
გრიგოლ რობაქიძეს  
ორი რამ აწვალებდა:  
ონისო“. ამავე დროს  
ლობის ეშაფოტს“ და  
მებს“. ქვეყანა

მართლაც იქცეოდა. მხოლოდ ტფილისი იყო ერთადერთი ქალაქი, რომელიც ამ „ქცევას“ პოეტური მღერით ხვდებოდა“.

„ცისფერყანწლებმა“ პოეზიაში ნამდვილი რეფორმა განახორციელეს – ქართული ლექსი ვერსიფიკაციულად დახვეწეს და შინაარსობრივად გაამდიდრეს. ისინი ცდილობდნენ, შეექმნათ ევროპული და ქართული სიმბოლიზმის სინთეზი. ტიცინან ტაბიძე წერილში, რომელიც ამავე დროს „ცისფერყანწელთა“ მანიფესტსაც წარმოადგენდა და რომლის ფრაგმენტსაც დღეს ჩვენი ჟურნალის მკითხველს ვთავაზობთ, წერს: „მომავალ დიდ ქართველ მხატვარში ერთმანეთს უნდა შეხვდეს რუსთაველი და მალარმე“.

100 წელი შესრულდა ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ დაარსებიდან. ეს უმნიშვნელოვანესი თარიღია. ერთი საუკუნის წინ, 1916 წელს, ქართულ პოეზიას ახალი საარსებო სივრცე გაეხსნა.

არის ნიადაგი ჩვენში სიმბოლიზმისთვის?

ქართველ ხალხში სცხოვრობს უკვდავი აქტიორული სული. იმას უნდა მუდამ სხვა იყოს, იმას უყვარს თეატრალიზაცია ცხოვრების; რატომ იღებება ქართველი ქალი? ესეც ხომ მოდის ბრალი არ არი. ამას ჩვენში ხომ დიდი ისტორია აქვს. მიზეზი აქაც იგივეა, ეს აქტიორობა და თეატრალიზაციაა ცხოვრების. ეს ბუნება შეუსწავლელია ჯერ სრულიად.

ქართველ ხალხს უყვარს ნიღაბი, სიმბოლიზმი სწორედ ფილოსოფიაა ამ ნიღაბის და ამიტომ სიმბოლიზმი ჩვენში აუცილებელია.

ჩვენში მზადაა ნიადაგი სიმბოლიზმისთვის.

გრიგოლ რობაქიძე ერთ თავის ლექსიაში სამი წლის წინად ამტკიცებდა, რომ არსებობს ერთგვარი „ატმოსფერული გავლენა იდეების“, რომელიც შეუცნობლად იპარება სულში. მერეჟოვსკის ერთ შარშანდელ ფელეტონში ეს ამგვარი აფორიზმით გამოითქვა: ბევრს ჩვენგანს არ წაუკითხავს კანტის „კრიტიკა წმინდა გონების“, მაგრამ სიკვდილის დროს უსათუოდ იგრძნობს იმის გავლენასო...

ამნაირად ყველა არგუმენტი იქითკენ არის, რომ სიმბოლიზმი აუცილებელია. მართალია, დღეს ჩვენში მეფობს სუმბური და გაურკვეველობა.

ერთი ჩვენი უკვე სახელიანი კრიტიკოსი ურჩევს ახალგაზრდა მწერლებს,

რაფიელ ერისთავს მიბაძონ, მაგრამ ეს გადავა თავისით.

ცხოვრება თავისას მოითხოვს და წაიღებს კიდევ. უჭკუო რეცეპტებს არ ემორჩილება იგი. მწერლობა თავისით დაიხვეწება, კათაკმეველნი თვითონ მიხვდებიან წასვლის დროს და არ მოუცდიან შეძახებას...

სიმბოლიზმი ჩვენში რომ უცხოეთიდან მოდის, ამაში არაფერი საფრთხე არ არი. ჩვენ ვიცით, რომ ისტორიულ დროში საქართველო იმყოფებოდა ბევრ სხვა და სხვა კულტურის გავლენის ქვეშ. ბევრი გადმო-



ტიცინან ტაბიძე. ირაკლი გამრეკელის მეგობრული შარჟი

ულია იმას ბერძნულ, არაბულ, სპარსულ კულტურის, ბევრი იმათვისაც გაუტანება. ამას არაფერი დაუშლია რუსთაველისთვის შეექმნა „ვეფხისტყაოსანი“, რომელშიაც უაღრესად არი გამოჩენილი ქართული სული. უკანასკნელ დროს ჩვენში დამკვიდრდა ერთგვარი ცვლა ლიტერატურულ შკოლათა, იმ გეგმით, როგორც ევროპაში.

აქ იდეები სამუდამო ცვლაშია. როცა ხალხი იღებს სხვისგან რამეს, იმას თავის ბრძმედში ატარებს. **ნაციონალური აპერცეპციის** ძალით ერი ითვისებს იმას, რაც მის ეროვნულ თავისებურებას ეგუება, რასაც იმასთან ახლობელი კავშირი აქვს. სიმბოლიზმს ამ შემთხვევაში ბევრი შეუძლია მოუტანოს ქართველ ერს.

პირველ ყოვლისა, ჩვენში დავინყებულისა სიტყვა. არ არსებობს ერთი შრომა, ქართული ლექსის ბუნებას რომ იკვლევდეს.

გუებნებათ თქვენ რამეს ბესიკის და აკაკის ანბანთა ქება?..

სიმბოლიზმის, როგორც ფორმის გაღმერთების გაგება, როგორც პრიმატი „როგორის“ „რაზე“ – გაუგებრობაა. ამგვარი დასმა საკითხის მიუღებელია, რადგან იგი გულისხმობს განცალკევებას იქ, სადაც კონკრეტულად არსებობს მხოლოდ ერთიანობა. მაგრამ ფორმას უნდა მიექცეს დიდი ყურადღება, ვიტყვი კიდეც ჩვენში, სადაც სიტყვა კარგავს **თავის თვითმთობ ღირებულებას**, განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა უნდა მიექცეს და სრული გატაცებაც მითი საჭირო არის. ქართული სიტყვის გაღატაკებას მიაპყრეს ყურადღება გრ. რობაქიძემ, არჩილ ჯორჯაძემ.

გერონტი ქიქოძემ ნათლად დაგვანახა თუ სანამდი მიიყვანა ვაჟამ სიტყვა.

მე ვათავებ წერილს.

გრ. რობაქიძის ბარათში, რომელიც „ოქროს ვერძს“ მისწერა, ის ამბობდა: – „საქართველოს რენესანსი დაიწყო, წარმოეთქვი ერთხელ და ამ სიტყვების სიმართლეს დღითი დღე ვგრძნობ, მაგრამ რენესანსი იგი ჯერ კიდეც ქაოსისა და ფორმის ბრძოლაში აშკარავდება და კიდეც დიდი დროა საჭირო, რომ ფორმამ სძლიოს სავსებით ქაოსსა. ეს ფიქრები მებადება, როცა შეეცქერი უახლოესი ხელოვნების ზრდას“.

ჩვენ გვინდა დავიჯეროთ, რომ რენესანსი დაიწყო, მხოლოდ ძალიან დიდხანს გასტანს ფორმისა და ქაოსის ბრძოლა. მომავალ დიდ ქართველ მხატვარში უნდა შეხვდეს რუსთაველი და მალარმე. რუსთაველი მე მესმის, როგორც ქართული სიტყვის შემკრები ერთეული და მალარმე ამავე აზრით ევროპის პრეზენტიზმისა და ფუტურისმის.

ეს გზა აუცილებელია. როგორც უნდა გათავდეს ომი, აშკარაა, წინა აზიაში ევროპა შემოაღებს კარებს და ამ დროს ჩვენ უნდა დავხვდეთ შეჭურვილი ეროვნული შემეცნებით, ეროვნული კულტურის ყველა ფოლაქებშეკრული, რომ იყოს მთავარი მორგვი, რომელზედაც მოეხვევა ახალი იდეები.

ჩვენ ვიზამთ ამას. მაშინ იქნება ნამდვილი რენესანსი და ამ ეროვნულ აღორძინების სადღეგრძელოს სრულიად სერიოზულად ვსვამ „ცისფერი ყანწებით“.

ალინა ქადაგიშვილი

## ქართული ჰანგები და სიზმრები სტამბულზე

### ისტანბულ

ეს ბოლო რამდენიმე დღეა, განუწყვეტელი ვეკითხები საკუთარ თავს, მართლა სტამბულიდან დავბრუნდი თუ დამესიზმრა ბოსფორის სრუტეში გაშლილი ძველისძველი დედაქალაქი ბიზანტიისა, კონსტანტინეს ქალაქი? ისტანბულ! ასე ჩამესმის ყურში მისი სახელი და მაინც ვფიქრობ, რომ ვნახე, ოღონდ ისე, ზღაპარს როცა გიკითხავენ და გგონია, რომ მართლა ხდება ამბავი...

ისტანბულ! ჩქარა, სანამ ჯერაც არ ქცეულხარ მოგონებად, სანამ წარმოსახვა-

ში შენს ქუჩებში დავაბიჯებ – მალე დავწერო ამბავი ჩემი სიყვარულისა!

ისტანბულ, ნისანის თვეში ეს რა ზაფხულის დარი დაგვიდგა? ნისანი ხომ თურქულად აპრილს ნიშნავს, აპრილს (პოეტთან ერთად რომ იბადება „გაშლილი ვაშლის ყვავილებიდან“) და არა ივნისს? არადა, იმ დღეებში, თითქოს საგანგებოდ, უღრუბლო ცის ქვეშ წყალთან ერთად ქალაქიც ლივლივებდა...კრიალა ვინრო ქუჩებითა და პატარა მოედნებით, შორს აზიდული აღმართებით (რაც უფრო მაღლა ადისარ,



მით უკეთ მოსჩანს ზღვა) და კობტა სახლებით, ეზოს სიღრმეში ერთი ციციქნა ბალი თუ არა, აივანზე ქოთნის ყვავილები მაინც იქნება...

ისტანბულ, ისტანბულ შენს მაცხოვრებლებს კატები ჰყვარებიან...ნუთი არ გავა, ქვაფენილიან ქუჩებსა და ბილიკებზე ხეტიალისას, ამ ფუმფულაბენვიან არსებებს რომ არ გადაეყარო. მზის გულზე ნებიერად განოლილან ან უდარდელად სეირნობენ. რატომაც არა? ამ ქალაქში ხომ მხოლოდ მათ აქვთ ამის უფლება? მართლაც, სტამბულში მანანნალა ძალს ძვირად თუ შეხვდები. ჩემი მეგობარი ფრანგი მწერალი გამახსენდა, ლიონელ ბონუერე. წელიწადზე მეტი გავიდა, რაც ნავიკითხე მისი „სტამბულის კატები“ – ლექსი პროზად, ძალიან სასიამოვნო ტექსტია. წარმომიდგენია, რაოდენ გაოგნებული იქნებოდა ლიონელი, დღეში ასეულობით კატის ხილვით...

ისტანბულ, ოცნებასავით თვალუნვდენელო! რაც ძალი და ღონე მაქვს, თვალებს ვახელ, სმენა და ყნოსვა ათიათასად გამიმახვილდა – ყველა შთაბეჭდილება ახალია და უცხო და არაფერი მინდა გამომჩხეს. დილაა. ქუჩაში გამყიდველი ხრამუნა სიმიტს (სეზამის ან მზესუმზირის მარცვლებმოყრილი თურქული ფუნთუშა) გვთავაზობს, ახლადმოღუღებულ ყავის სურნელს გზას ვერ აუფლი...სეირნობისას ფიქრებში წასულს თოლიის კვილი გამოგაფხიზლებს და გახსენდება, რა ახლოს ხარ ზღვასთან... ერთი სიტყვით, სტამბულური არდადაგები გამომივიდა, ჩემი თავაზიანი მასპინძლის წყალობით, რომელიც თვითონაც სტუმარი...როგორც ის ამერიკელი ჟურნალისტი, ყველასათვის საყვარელი ფილმიდან „რომაული არდადაგები“.

ისტანბულ, ისევ ზღაპრულ საბურველში გაეხვიე. ისევ შორეული გახდი. არადა, თვალებს დავხუჭავ თუ არა, ცხადლივ ვხედავ ქადიქოსს ფერად აღმართებს, კაფეებს, ნიგნის მალაზიებსა და სავაჭრო რიგებს – არტისტულ კვარტალს. აი, სანაპიროც.

ყველა მიმართულებით მიცურავენ პატარა გემები. ეს ბევრად უსაფრთხოა, ვიდრე წყალქვეშა მეტრო. გადასცურავ მარმარილოს ანუ მარმარის ზღვას და სტამბულის აზიური ნანილის ისტორიულ ცენტრში აღმოჩნდები – ძველ ქალაქში, სულთანახმედს რომ უწოდებენ. შეუძლებელია, ლურჯი მეჩეთისა და აია სოფიას სიდიადემ ფეხქვეშ მინა არ გამოგაცალოს და ცოტა ხნით არ დაგამუნჯოს! საღამოა, შიგ მეჩეთში არ გვიშვებენ, რადგან მლოცველები არა ვართ... ისე თბილა, რომ შეიძლებოდა, მთელი ღამე ვიხეტილებდი ევროპისა და აზიის გზაშესაყარზე... იქვე, ორ ნაბიჯში, ტიტების ზეიმისთვის დარგული იისფერყვითელი ყვავილების უზარმაზარი ხალიჩა... (ტიტა – თურქეთის სიმბოლოა). აქაური ჩაიხანის, ყავახანისა თუ საშაქარლამოს ბრწყინვალეობას ჩვენი ჯიბე როდი გასწვდება და მხოლოდ თვალს წყალი დავალევინეთ, როგორც იტყვიან...შეგიძლია, ნახო, როგორ კეთდება რახათ-ლუქუმი, რომელიც ტკბილეულის ამ სამოთხეში ათეულობით სახეობისაა, ვარდის ფურცლებიანიც კი.

ისტანბულ, ვუსმენ და ვიმახსოვრებ სიჩუმეს შენს ქუჩებში. დაღამებას ცოტაღა უკლია, ბოლო გემი ქადიქოსის მიმართულებით ცხრა საათსა და ოცდაათ წუთზე გადის. მაშ, დროა, დავემშვიდობოთ ტკბილ ფუფუნებას. სუპერთანამედროვე ტრამვანის პორტში მივყავართ – მლაშე წყლისა და მოლუსკების სუნით გაჯერებულ სამფლობელოში, სადაც ნაპირზე მიბმულ მოქანავე ნავეებში თევზსა წვავენ მარჯვე მზარეულეები...გალმა, ღამეში ათასფრად ეღვარებს, წყალში ირეკლება სტამბულის ევროპული ნანილი – ბეიოგლუ, ბემიქთაში...მაგრამ უსაფრთხოების მიზნით, არ ღირს ტაქსიმის მოედნის – სტამბულის სიამაყის მონახულება, აქ ხომ სულ ცოტა ხნის წინ ტერორისტების თავდასხმა განხორციელდა. საბოლოოდ გადაწყდა, რომ ევროპულ ნაწილში მხოლოდ გაღათას კომპს ვნახავდით, რომელიც ამავე სახელწოდების უღამაზეს უბანში აღმართულა. აქ ეკლესიები და სი-

ნაგოგები მეჩეთების მეზობლად დგანან – გალათა ყველაზე უფრო კოსმოპოლიტური ადგილია მთელ სტამბოლში...

ისტანბულ, როგორ დაგტოვე? ანდამატივით მიზიდავდა შენი სიჭრელე, სხვადასხვა ეპოქებისა და კულტურათა შერწყმა, ნაზავი; გამვლელთა სახეები, მუსიკის ჰანგები, ენის კეთილხმოვანება. როცა ვუსმენდი და აგრეთვე, თავად ვცდილობდი უცხო სიტყვების დაჭაშნიკებას...რა განსხვავებულ გემოს მიტოვებენ შენი ბგერები! სწორედ რომ თურქული სამზარეულოსავით: რბილი და ტკბილი ხმოვნები თუ თანხმოვნები რახათ–ლუქუმივით დნებიან პირში, ხოლო ის, რაც მკვეთრად და ხისტად გამოითქმის, ცხარე, აღმოსავლური კერძების სურნელებასავით ჟღერს და ენას გწვავს! მიმღერე რამე! ... კიდევ გიმღერე: „უსკუდარ ა გიდერ იქენ ალდი და ბირ იამურ...“ ძველისძველი სტამბულური სიმღერა სიყვარულზე. უსკუდარ – ხომ შენი ერთ-ერთი კვარტალის სახელია...“თუმცა, მელოდია იმდენად პოპულარული გამხდარა, რომ ებრაელებმა, ესპანელებმა, ბერძნებმა, ბულგარელებმა, რუმინელებმა და მაკედონიელებმა გამოიყენეს თავიანთ ენებზე დაწერილი სიმღერებისთვის და ამ ეროვნებათაგან თითოეული ამტკიცებს, რომ ეს მათი სიმღერაა, სიმართლის დადგენა მართლაც არ არის ადვილი.“ – ამბობს **ბარიშ აიჰანი**, ჩემი მეგობარი, სტრასბურგელი მუსიკოსი, რომლის გარეშეც სტამბული ჩემთვის კიდევ დიდხანს დარჩებოდა უცნობ ქალაქად...

## ბარიშ აიჰანი – მოგზაური მუსიკოსი

30 წლის ბარიშ აიჰანი ეროვნებით ფრანგია, წარმოშობით – თურქი.

ბარიში ჩვეულებრივი სტრასბურგელი ბიჭი იყო, ჰარი პოტერთან გარეგნულ მსგავსებას თუ არ ჩავთვლით... თურქულ ტრადიციულ მუსიკას ადრეულ ასაკში ეზიარა. დამთავრებული აქვს კლასიკური გი-

ტარის კლასი, უკრავდა ელექტროგიტარაზეც. სამი წლის მანძილზე მეგობართან ერთად მუშაობდა მუსიკალურ რადიოგადაცემაზე. სტრასბურგის უნივერსიტეტში მუსიკოლოგიის ფაკულტეტზე ჩაბარების შემდეგ, თანატოლებთან ერთად შექმნა ანსამბლი – „კარმანოტა“ (თურქულად – „ნოტების შერევა“), რომელიც ძირითადად ანატოლიურ ჟღერადობაზე იყო ორიენტირებული, თუმცა, როგორც ინსტრუმენტული (გიტარა, ბაგლამა, საყვირი, ელექტროგიტარა, დასარტყამი ინსტრუმენტები), ისე ჟანრობრივი მრავალფეროვნებით ხასიათდებოდა (ანატოლიური მუსიკა, ფლამენკო, როკი, მეტალი). ეს იყო ტრადიციისა და თანამედროვეობის შერწყმა. მიუხედავად იმისა, რომ ანსამბლმა მხოლოდ ოთხ წელიწადს იარსება (2008-2012 წწ.), ახალგაზრდებმა ჩანერეს დისკი, სადაც ბარიშ აიჰანის მიერ შექმნილი სიმღერები და მუსიკალური კომპოზიციები შევიდა. კონცერტებს, ძირითადად, პარიზში აწყობდნენ, მონაწილეობდნენ სხვადასხვა მუსიკალურ ფესტივალებში. უნივერსიტეტში სწავლის დასრულებისას ბარიში უმთავრესად ეთნომუსიკით დაინტერესდა. თავის ლექტორთან ერთად ჯერ თურქეთში ჩავიდა, შემდეგ მაროკოში. მათ მიზნად ჰქონდათ ადგილობრივი ტრადიციული და კლასიკური მუსიკის შემსრულებელთა გაცნობა, ინტერვიუების აღება და ფილმების გადაღება, სადაც აისახებოდა სამუშაო პროცესი, იმპროვიზაციები, მუსიკის ცოცხალი შესრულება. ორივე პროექტი წარმატებით განხორციელდა – მზად იყო მასალა შემდგომი კვლევებისთვის ეთნომუსიკოლოგიაში.

...ადრე მათ ბარდებს ან მოხეტიაელ მუსიკოსებს უწოდებდნენ, ანუ მათ, ვინც სამეფო კარის მამებელ ხელოვანთა არამსგავსად, უმღეროდა სამშობლოს, თავისუფლებას, სიყვარულსა და მშვიდობას... თანაც ქარავით ლალი იყო! „წადი, საითაც ქარი წავიყვანს“ – იტალიელი ანჯელო ბრანდუალდის სიმღერამ ბარიშ აიჰანისთვის სიმბოლური დატვირთვა შეიძინა და ცხოვრების შეცვლისკენ მოუწოდა. გასული



წლის სექტემბერში დაწყებული მოგზაურობა მუსიკოსს არც ახლა შეუწყვეტია – ჩანს, ზურგქარი მას კვლავაც თან სდევს ისევე, როგორც მეგობრებისა და კეთილისმსურველთა თანადგომა... არაერთხელ შემინიშნავს მისი შემოქმედების დადებითი ზეგავლენა, მსმენელთა შთაგონებული სახეები და თუნდაც სდუმდეს, მის გვერდით სულიერად ისვენებ, სიმშვიდითა და იმედით ივსები. იმ მეჩონგურეს მახსენებს, ქართული ხალხური ზღაპრიდან, გველემას რომ მოუღობო გული თავისი სევდიანი სიმღერით და ლაპაღუპით ადინა ცრემლი...

მუსიკოსმა ერთნაირი ყარობა სტრასბურგიდან დაიწყო, მოიარა აღმოსავლეთი ევროპა, საბერძნეთი, თურქეთი, თვითმფრინავით ჩავიდა ისრაელში, სადაც დაახლოებით სამი თვე კიბუცში ცხოვრობდა... შემდეგ ისევ თურქეთი და საქართველო! აზერბაიჯანი და კვლავ თბილისი, სომხეთი და მესამე ვიზიტი საქართველოს დედაქალაქში. აქედან ბათუმში წავიდა, შემდეგ თურქეთში და სტამბულიდან პირ-



დაპირ თელავში გამგზავრება, კვლავ კიბუცისკენ გაუდგება გზას, ისევ რამდენიმე თვით... პროფესიით ეთნომუსიკოლოგს მიზნად აქვს, რომ ყველა ქვეყანაში, „საითაც ქარი წაიყვანს“, დაჰყოს სულ ცოტა, ერთი კვირა, დაახლოებით მაინც გაეცნოს მის ენას, კულტურას, ადათ-წესებს და რაც მთავარია, ადგილზე შეისწავლოს რამდენიმე ტრადიციული, ხალხური ან პოპულარული მელოდია, სიმღერა. ასე დაგ-

როვდა მის რეპერტუარში ოციოდე მუსიკალური ნაწარმოები, მათ შორის ჩვენთვის სათაყვანებელი „სულიკოც“...

ტრადიციული ანატოლიური საკრავი – ჯურა (სარის ერთ-ერთი ნაირსახეობა), რომელიც ბარიშმა ამ გრძელ გზაზე თან წამოიღო, ორ ათეულ წელზე მეტია, მის ოჯახში, სასტუმრო ოთახის კედელზე ეკიდდა. თავიდან მასზე მუსიკოსის მამა უკრავდა მხოლოდ. ჯურა ჩვენებურ ფანდურს წააგავს, მცირე ზომისაა და ცხადია, ისეთი ძლიერი ჟღერადობა ვერ ექნება, როგორც ბაგლამას, სამაგიეროდ, მსუბუქია და სატარებლად მოსახერხებელი. ჰოდა, ბარიშმაც ამიტომ შეაჩერა მასზე არჩევანი, მაგრამ, როგორც უკვე ვახსენეთ, ჯურა თურქული საკრავია. საკითხავია, როგორ შეიძლებოდა მასზე ათამდე ქვეყნის მელოდიებისა და სიმღერების შესრულება, იმდენად განსხვავებულ ენებზე, როგორებიცაა ფრანგული, ივრითი და ქართული? მუსიკოსმა ეს სირთულეც გაითვალისწინა და გამგზავრებამდე, ცოტა არ იყოს, გადააკეთა თავისი ინსტრუმენტი, ახალ მოთხოვნებს შეუსაბამა. „ჩემს ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენდა ამ ინსტრუმენტის დაფარული შესაძლებლობების აღმოჩენა, მისი საზღვრების გაფართოება და ამავდროულად, ტრადიციული საკრავის პოპულარიზაციაც მსურდა.“ – ამბობს ბარიში.

„დავიწყე სიტყვები, რომლებიც გბორკავენ, წადი, საითაც ქარი წაიყვანს“ – მანაც დაივიწყა. ყოველგვარი დაფინანსების გარეშე, მხოლოდ საკუთარი თავის იმედად დატოვა სტრასბურგი, სადაც ლიცეუმისა და კოლეჯის მოსწავლეებს მუსიკას ასწავლიდა და ამავდროულად, ანსამბლ „ტურკუაზში“ (ფრანგულად – „ფირუზი“) უკრავდა (ანსამბლი ასრულებს კლასიკურ ოსმალურ ნაწარმოებებსა და ანატოლიის, აღმოსავლეთ ევროპისა და ხმელთაშუაზღვისპირეთის ქვეყნების ტრადიციულ მუსიკას). გაუღე გული სამყაროს და სამყაროც საპასუ-

ხოდ გაიხსნება შენ მიმართ... „ჩემი სახელი ბარიში თურქულად „მშვიდობას“ ნიშნავს. როდესაც ერთი ქვეყნიდან მეორეში მივდივარ, მინდა, ჩემი მუსიკით, სიმღერებით იქ მშვიდობა მივიტანო. ისლამს, ქრისტიანობასა და იუდაიზმს – სამივეს პატივს ვცემ. მე ხალხთა მეგობრობის მომხრე ვარ.“ მას შეუძლია, სომხეთში ანატოლიური (თურქული) და აზერბაიჯანული სიმღერები შეასრულოს, ხოლო თურქეთში, სადაც ისლამი აღმავლობას განიცდის, ებრაელთა სამ ენაზე – ივრითის, იდიშისა და ლადინოს ენებზე იმღეროს... „ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“, მაგრამ არსებობს კიდევ ერთი გარემოება, რომლის გამოც ბარიშ აიჰანი რელიგიურ და ეროვნულ შუღლს ვერ ეგუება, რომ ამდენი მეგობარი შეიძინა საქართველოში, სადაც ხანგრძლივი დრო გაატარა... მუსიკოსი მამით თურქია, დედით კი – ქართველი. დედამისი მე-19 საუკუნეში თურქეთში დასახლებულ აჭარელთა შთამომავალია. მშობლები ახლაც საუბრობენ ქართულად, ისევე, როგორც თურქეთში მცხოვრები ღრმად მოხუცებული ბაბუა მამის მხრიდან. ბარიშის მსგავსად, ისიც მუსიკოსი იყო, ლექსებს წერდა. ახლა სიბერის გამო ბაგლამაზე დაკვრა აღარ შეუძლია და როცა შვილიშვილი რამდენიმე დღით სტუმრად ეწვევა, თურმე ყოველ დილას მის გამოჩენას უცდის, რათა მოუსმინოს, როგორ უკრავს და მღერის მისი საქმის გამგრძელებელი... დიდი ხნის წინ გარდაცვლილი ქართველი ბაბუაც თურქულ ტრადიციულ ფლეიტაზე – ნეიზე უკრავდა თურმე, ისევე, როგორც ბარიშის მამა და ბიძა. მუსიკოსთა ოჯახი.

ბუნებით მორცხვსა და თავმდაბალს ზოგჯერ ამ თვისებების დაძლევა უხდება, რადგან ადამიანებთან ურთიერთობა მისთვის ძალზე მნიშვნელოვანია. ყველა ქვეყანაში, სადაც ჩადის, ხვდება მუსიკოსებს, მოსწავლეებს, სტუდენტობას, ატარებს კონცერტებს კაფეებსა თუ სასწავლო დაწესებულებებში, იძენს მეგობრებს. თბილისში რამდენჯერმე წარსდგა მრავალეროვანი მსმენლის წინაშე. საგანგებოდ უნდა აღვნიშნო 24 მარტს, ილიას უნივერ-

სიტეტის თეატრში მოწყობილი კონცერტი, სადაც ბარიშთან ერთად მონაწილეობდა ილიაუნის ხალხური სიმღერის სტუდენტური გუნდი მუსიკოლოგ თამაზ გაბისონიას ხელმძღვანელობით.

მოგზაურობის დროს გადაღებული მრავალრიცხოვანი ფოტოების სლაიდჩვენება ხშირად ამშვენებს მის კონცერტებს. სტრასბურგში კი უკვე გეგმავენ დიდი ფოტოგამოფენის მოწყობას. წერს ლექსებს, ხატავს, თავადაც ქმნის მუსიკას. ფიქრობს, რომ მისი ერთწლიანი პროექტი, (რომლითაც უკვე დაინტერესდა აზერბაიჯანის, საქართველოს და თურქეთის მასმედია) ყველა სხვა სიკეთესთან ერთად, ახალი მუსიკალური ნაწარმოებების შექმნას შთააგონებს. „მიხარია, რომ შევძლებ, ჩემს მოსწავლეებს სტრასბურგში ქართული მრავალხმიანი სიმღერები ვასწავლო.“ ჩემთვის უკვე ცხადია, რომ ასეთი გრძელი გზა მუსიკოსმა საკუთარი ვინაობის, ფესვების საძიებლადაც გამოიარა... რამდენიმე ქართული სიმღერაზე მითხრა: ესენი სტამბულში, „ქართული ხელოვნების სახლში“ მოვისმინე, ჩონგურზე დაკვრასაც იქ ვსწავლობდიო. მე, როგორც ჟურნალისტი, მაშინვე ყურები ვცქვიტე, თუმცა, მალე თავად ვენვიე თურქეთის მშვენებას და ბარიშის დახმარებით იქ ქართული კუთხე აღმოვაჩინე.

## სტამბულის პატარა საქართველო

სტამბული. ქადიქოის უბანი, განთქმული თავისი პატარა კაფეებით, გაღერებებითა და სამხატვრო სალონებით... „აქ ბევრი მხატვარი ცხოვრობს, გრაფიკოსი, არქიტექტორი. აქ უყვართ ხელოვნება“, – ამბობს იბერია ოზქანი (მელაშვილი), – „ამიტომ ჩვენც ქალაქის ამ ნაწილში დავბინავდით“. უკეთეს ადგილს, მართლაც, ვერ ინატრებდა კაცი, „ქართული ხელოვნების სახლის“ შესაქმნელად, სახლისა, რომლის კარიც ყოველთვის ღიაა ქართული კულტურით დაინტერესებულთათვის, განურჩევლად ეროვნებისა, ხოლო მასპინძლის, იბე-

რიას სახელი კარგადაა ნაცნობი ქართველი ეთნომუსიკოლოგებისთვის. მას თბილისის კონსერვატორიასთან ხანგრძლივი და ნაყოფიერი თანამშრომლობა აკავშირებს.

თქვენი არ ვიცი და მე სრულიად სხვაგვარად წარმომედგინა „ქართული ხელოვნების სახლის“ ხელმძღვანელი – როგორც ადამიანი, რომელიც თავის კაბინეტში მშვიდად ზის სავარძელში და საკუთარ საქმიანობაზე აუჩქარებლად გესაუბრებათ. ამის ნაცვლად ვნახე კაცი, რომელმაც ჩემთან სალაპარაკოდ გაჭირვებით გამოიხატა დრო. სულ ცოტა, ნახევარ საათზე მეტხანს ვაკვირდებოდი, როგორ საუბრობდა ტელეფონზე, ხვდებოდა გამოფენის სანახავად მოსულ ადამიანებს, წინ და უკან დადიოდა. ბედად, იქ დაგვხვდა მხატვარი ჯელალეთინ თანდოდუ, რომლის ნამუშევრებიც დარბაზში იყო გამოფენილი და ჩვენ შორის ფრანგულ-თურქულად საინტერესო დიალოგი წარიმართა. კიდევ კარგი, თარჯიმნობას ბარიშ აიჰანი გვინევდა, რადგან, არა მგონია, ჩემი ინგლისური ენის ცოდნა გასწვდომოდა ღრმა ნიაღვრებს ხელოვნების სფეროში...მართალია, მხატვარი წარმოშობით ქართველია, მაგრამ ქართული ენაზე, სამწუხაროდ, არ საუბრობს. მის პეიზაჟებში აისახა ბუნებისადმი ადამიანის უდიერი დამოკიდებულებით დამონვეული შფოთვა, ეკოლოგიური კატასტროფის მოლოდინი და ამავდროულად სიცოცხლის აღორძინების, მუდმივი განახლების იმედი, ყოველი გაზაფხულის დადგომისას რომ ასე მძაფრდება!

ამასობაში ბატონი იბერიაც განთავისუფლდა და ქართულად მომიბოდიშა: უკაცრავად, ვერ მოგაქციეთ ყურადღება, სასწრაფო საქმეები მქონდაო. ცხადია, ვიცოდი, რომ წინაპრების ენას ფლობდა, მაგრამ აქ, სტამბულში მაინც ძალიან მესიამოვნა მშობლიური სიტყვის გაგონება!

„ორმოცი წელია, ქართული კულტურის განვითარებასა და პოპულარიზაციას ვემსახურები. მამაჩემის, აჰმედ ოზქანის (მელაშვილის) დაწყებულ საქმეს ვაგრძელებ. მამა პროფესიით არქიტექტორი იყო, მაგრამ ამავდროულად, თურქეთში მცხოვრე-

ბი ეთნიკური ქართველების ცხოვრებითა და ხალხური შემოქმედებით იყო დაინტერესებული. წლებია, ქართულ ცეკვას და სიმღერას ვასწავლი, აგრეთვე, ხალხურ საკრავებზე დაკვრას. საჭირო გახდა ამ ყველაფრის ერთ ჭერქვეშ



თავმოყრა. „ქართული ხელოვნების სახლი“ ხუთი წლის წინ შევექმენი ქართველი, თურქი და ჩერქეზი მეგობრების დახმარებით და გიორგი ირემაძესთან ერთად ვუძღვები. ყველაფერი საკუთარი ძალებით გავაკეთეთ, ყოველგვარი დაფინანსების გარეშე, შენობის ქირაობიდან დაწყებული მისი მონყობით დამთავრებული. კედლებს იზოლაცია ჩაუტარდა, რადგან აქ მუსიკას ვუკრავთ, დაბლა სამზარეულო (მუფთა) გვაქვს და პატარა სასადილო ოთახი, სადაც ქართული კერძების დეგუსტაციას ვანყობთ. მეორე სართულზე კაბინეტი, ბიბლიოთეკა და სარეპეტიციო ოთახია. ცხადია, იმთავითვე არანაირ მოგებაზე საუბარი არ ყოფილა, უბრალოდ, ვცდილობთ, რომ ორგანიზაციამ საკუთარი ხარჯები დაფაროს. სულ რაღაც ხუთი წლის წინ სტამბულში, ქადიქოიში არავინ გვიცნობდა, ახლა კი ჩვენ გარშემო ძალიან ბევრი ადამიანია გაერთიანებული. სამწუხაროდ, ეს დარბაზი ოცდათხუთმეტ კაცზე მეტს ვერ იტევს, კონცერტზე დასწრების მსურველი კი ყოველთვის გაცილებით მეტია...

კავკასიური ცეკვისა და სიმღერის ანსამბლი „ქაფდალი“ ჯერ კიდევ 1992 წელს, ბურსაში ყოფნის დროს შევექმენი, როცა მუსიკის მასწავლებლად ვმუშაობდი. ანსამბლის თურქულ სახელწოდებას ორი მნიშვნელობა გააჩნია: პირველ ყოვლისა, ეს სიტყვა კავკასიის მთას ნიშნავს, მაგრამ

ხშირად გამოიყენება ზღაპრებში, მითოლოგიაში, როგორც ისეთი მთა, რომელზეც ვერავინ ავა. „ქაფდალის“ რეპერტუარის დაახლოებით ოთხმოცდაათი პროცენტი ქართულია. სულ სამოცდაათზე მეტ სიმღერას ვასრულებთ. მათ შორისაა ქართული ხალხური, კლასიკური და ქალაქური ნაწარმოებები, თურქეთში მცხოვრები (ე. წ. „თურქეთელი“) ქართველებისა და კავკასიელ ხალხთა (სომხების, აზერბაიჯანლების, ჩერქეზებისა და ჩეჩნების) შემოქმედება. ზოგიერთი თურქული ტრადიციული სიმღერა ქართულ მრავალხმიანობაზე გადავანწყვეთ. თითქმის ყველა ხალხურ ინსტრუმენტზე ვუკრავთ: ფანდურზე, ჩონგურზე, სალამურზე, დოლზე, აკორდეონსა და ჭიბონზე. რა თქმა უნდა, ამ ხნის მანძილზე, ანსამბლის შემადგენლობა რამდენჯერმე შეიცვალა, თუმცა საკუთარ იერსახეს მაინც ყოველთვის ინარჩუნებს. მე და ის ერთმანეთისგან განუყოფლები ვართ.“

ბატონ იბერიასთან საუბარში დრო შეუმჩნევლად გადის. ჩემთვის ნელ-ნელა გასაგები ხდება მისი მოუცლევლობის მიზეზი: „ქართული ხელოვნების სახლი“ დატვირთული განრიგით მუშაობს. კვირის განმავლობაში, ჩვეულებრივ, ორ-სამ ლონისძიებას აწყობენ. სამშაბათობით, „ქაფდალის“ რეპეტიციები ტარდება, ოთხშაბათ საღამოს ქალბატონი თამარ თევდორაძე ქართულის გაკვეთილებს უძღვება, ყოველ მეორე ხუთშაბათს დარბაზი ახალ გამოფენას მასპინძლობს. კვირაობით ქართული ხელოვნების სახლის მრავალხმიანი ქორო (აკაპელა და ვოკალურ-ინსტრუმენტული ანსამბლი) რეპეტიციებს აწყობს. იგი გასული წლის სექტემბერ-ოქტომბერში შეიქმნა და საკუთარ რეპერტუარში უკვე ოციოდენაწარმოებს ითვლის, მათ შორისაა მეგ-

რული, სომხური, აფხაზური და თურქული სიმღერები. უახლოეს ხანებში ქორო რამდენიმე კონცერტს ჩაატარებს სტამბულში.

„სახლი“ საკმაოდ ხშირად მასპინძლობს სხვადასხვა კონცერტებს, ნიგნებისა და მუსიკალური ალბომების პრეზენტაციებსა და სამეცნიერო კონფერენციებს, (მაგალითად, ერთ-ერთი მათგანი ტაო-კლარჯეთის ქართულ ძეგლებს მიეძღვნა). „ბოლო ხანებში ბევრი ახალგაზრდა მოდის ჩვენთან ქართულ ხალხურ საკრავებზე დაკვრის შესასწავლად, გარდა ამისა, მსურველებს შეუძლიათ დაეუფლონ აკორდეონზე, გიტარაზე და პიანინოზე დაკვრის ტექნიკასაც. გვყავს მეფანდურეთა ანსამბლიც, რომე-



ლიც ათი-თხუთმეტი სტუდენტისგან შედგება.“

ბატონ იბერია ოზქანს (მელაშვილს) რამდენიმე ანსამბლის სამხატვრო ხელმძღვანელის როლიც საკმაოდ დიდ პასუხისმგებლობას დააკისრებდა, რომ არაფერი ვთქვათ საორგანიზაციო, დოკუმენტაციურ და ფინანსურ საკითხებზე,

რომელთა გადანყვეტაც ყოველდღიურად უხდება. ახლა კი გასაგებია, რატომ არ ზის მშვიდად თავის კაბინეტში...

მით უფრო მადლიერი ვარ მისი, რომ თავისი უძვირფასესი დროის საკმაოდ ვრცელი მონაკვეთი დამითმო. მათ, ვინც ყველაფერში სიმბოლოებს ხედავს, მიაჩნიათ, რომ შესაძლოა, სახელის შერჩევამ ადამიანის მომავალი ცხოვრება განაპირობოს – მადლობა, ბატონო იბერია, სტამბულის პატარა საქართველოსთვის!

გიორგი სოსიაშვილი

გავთულხლართი

*ვუძღვნი ყველა ჩემს მეზობელს,  
ბედმა „საზღვრისპირა“ სოფელში  
ცხოვრება რომ არგუნა.*

მსხლის ტოტზე შემომჯდარა დეზებ-  
შემოცვეთილი, თეთრ-ჭრელი, ბაჩაჩებიანი  
მამალი.

მამალი რო მამალია, ისიც კი ველარ არი  
თავი ქკუაზე.

– აქმა, აქმა, შენი პატრონის დედა! –  
ხელს უქნევს თედო.

დილით რო ამის ყივილი გაიგო, ცოდვით  
დაინვები. მამალი რო ყოჩაღად შეჰყივლებს  
ხოლმე, დილას რომ ჩამოხევს ნისკარტით,  
სიცოცხლე მოგწყურდება დალოცვილი. ჩე-  
მი მამალი კი ჩემსავით დაბერდა, ჩემსავით  
გამოჩერჩეტდა, ყივილის თავი აღარ აქ. კი  
არ შეჰყივის დილას, შესტირის. იტყვი, რო  
ნაწყენია დალოცვილ ღმერთზე, კიდევ ერ-  
თი ღამე რო გაუთენა.

მოკიდე ხელი და წაიყვა, დაუკალი შენს  
ბავშვებს და აჭამე. მე უამისოდაც ვიგებ  
გათენებას, აღარ უხდება ამ ადგილს მა-  
მალი, არც ამისი ყივილი უხდება დილას,  
უღიმღამო ყივილი.

ავთო, თედოს მეზობელი, უარზეა.

თედო კიდევ არ ეშვება.

–კი არ გეხუმრები, წაიყვა, რო გეუბნე-  
ბი. ხო ვხედავ, რა გაჭირვებაა, საჭმელიც  
სანატრელია და სასმელიც. წაიყვა და მო-  
უხარშე. სიმართლე გითხრა, მეც ხო ბებე-  
რი ვარ, მაგრამ ამ დაბეხრეკებული მამლის  
ცქერა სიცოცხლის წყურვილს მიკარგავს.

რალა დროს ჩემი სიცოცხლის წყურვილია,  
ფეხზე გამობმული ცხვარი სადაცაა გადაბ-  
რუნდება და მოკვდება ამდენი ლოდინით,  
მაგრამ ეს ჩემი მამალი რო ეგრე უგულოდ  
დაიყივლებს ხოლმე, მგონია, რო მტრის  
ყურს სწვდება მაგის ჩახრინწული, უფხო  
ხმა და ახარებს გადამთიელს.

მამალი თითქო სიტყვასიტყვით ისმენდა  
თედოს საუბარს. ერთი-ორჯერ თითქო წო-  
ნასწორობა დაკარგა, გადაქანავდა, მაგრამ  
ისევ ქანდაკებასავით გაშეშდა. თვითონაც  
ხვდებოდა, რო მობეზრებოდა პატრონს,  
მის გარდა, საქათმეში ორი ბებერი დედა-  
ლილა დაღანლალებდა, კვირაში ერთხელ  
რო შემთხვევით გაუვარდებოდათ კვერცხი  
– იმასაც თრითინა ეტაკებოდა ხოლმე.

თანდათან ქრებოდა სიცოცხლე თედოს  
სახლში. ძალლი მოუკვდა, მოზვრები გაყი-  
და, ქათმებიც შემოეცალა, ზოგი დაკლა,  
ზოგიც ჭირმა წაიღო. ერთი სული ბებერი  
ძროხა ჰყავდა და იმით ედგა სული. წვე-  
ლიდა, დღვებავდა, ყველი ამოჰყავდა...  
სხვა რა უნდოდა თედოს. განაპირა სო-  
ფელში მცხოვრებ მოხუცს ამ ძროხით და  
თვის ბოლოს მოტანილი პენსიით გაჰქონ-  
და თავი. პენსიაზეც, აგერ, ოთხი თვე იქ-  
ნებოდა, უარი თქვა. ვილაც დიდი კაცები  
მოსულიყვნენ, ტელევიზიიდან გადამღები  
ჯგუფი მოეყვანათ, მაგრამ თედოს ჯავრი

ვისა ჰქონდა, გადაიღეს თედოს სახლ-კარი, სახლის წინ გაბმული მავთულხლართი, ერთი-ორი პარკი მაკარონი მიუტანეს თედოს. ილაპარაკეს და რა ილაპარაკეს. აი, ეს კაციო გაუტყხავი ქვეყნის სახეო. როგორც ჩვენი ქვეყანა ვერ დააჩოქა რუსეთმა, ვერ გატეხა, აი, ეს მოხუციც ეგეთიაო. მარტოდმარტო ცხოვრობს, მარტოდმარტო ამაგრებს ამ ადგილს, ჩვენც მის გვერდით ვდგავართ, არაფერს გავუჭირვებთ ამ კაცსაო, ძირს ოკუპანტი რუსეთიო, არა ძალადობასა და მავთულხლართებსაო და რა ვიცი კიდე...

თედო ჯოხზე ჩამოყრდნობილი შესცქეროდა მიკროფონთან ყელმოღერებულ დიდ კაცებს, ხან მათ აკვირდებოდა, ხან იქვე, სახლის წინ გამოსაჩენ ადგილზე მინუბილ მაკარონის პარკებს... მხრებს იჩეჩავდა, რამ მოუარათ, რა ჯიგარმა?! თუმცა ხედებოდა, რო მისთვის კი არ იყვნენ მოსულეები, არამედ საკუთარი თავის გამოსაჩენად. ბოლოს დაედრიჯა კიდეც ერთი, ჟურნალისტებმა რო კამერები გამორთეს.



– პაპა, პიარი რა არი, იცი? არ იცი, აბა, შენ დროს სად ეცოდინებოდათ პიარი, ჩვენი დრო კიდე რას არ მოაგონებინებს ადამიანს. ჩვენ გოთვერან დროში ვცხოვრობთ და იძულებულები ვართ, გავაპიაროთ ყველაფერი. აი, შენ რო აქა ხარ ახლა, ეს იცი, რამხელა პიარია ჩვენი ქვეყნისთვის? ამიტომ დიღხანს უნდა იყვე პაპა, როცა მოვახერებთ, კიდეც ამოვალთ. რუსები არ გაახარო, მაგრად იდექი.

თედო უყურებს გაშტერებული.

– რა იყო, პაპა, ხო არ გენყინა? – ისევ იღრიჯება ნაცრისფერჰალსტუხიანი.

ცუდად კი არაფერი გითხარი, ცოტა რაღაც ნამოგიღეთ, რაც მოვახერხეთ, პენსიაც ხო მოგდის?

თედოს ბოლმა მოაწვა, თვალეში ცრემლის გუბეები ჩაუდგა, ნაცრისფერი კაკლები თითქო გაუდიდდა, რისხვა მოემატა.

– აკრიფეთ ეგენი და გამმორდით აქედან.

ახლა ისინი შესცქერიან გაშტერებულები.

– აკრიფეთ ახლავე, – ნაბიჯი წადგა და ჯოხი მიჰკრა მაკარონის პარკს.

– ეე, – ნაიზმუკუნა შავჰალსტუხიანმა, – კამერა არ ჩართოთო. – ჟურნალისტებს უბრძანა.

– რა იყო, რა გითხარი ეგეთი, – ისევ ნაცრისფერჰალსტუხიანი ჩაერთო. ქოფაკი ყვეფით მოვარდა და თედოს ფეხებზე მიეგლისა.

– აკრიფეთ-მეთქი.

მაკარონებისთვის ხელი არავის დაუკარებია. აღარც ხმა ამოუღიათ. აკეცეს კარვები პოლიტიკოსებმა და გაეცალნენ იქაურობას. მანქანების ხმა რო მიწყდა, თედო, ჯოხზე ჩამოყრდნობილი, ისევ უძრავად იდგა. თითქო მინას შეხორცებოდა და გასცქეროდა

მკვდარ სივრცეს მავთულხლართს იქით. გამხმარ ჭადრებზე ისხდნენ ყვავები და ჩხაოდნენ, როგორც ბებერი ჭირისუფლები...



შენც დაბერდი, თებრა, არა? მეთოთხმეტე გააჩინე უკვე. ჩემს სამსახურში დაბერდი, მე რა კაცი ვარ, ერთი შვილი არ გაგიჩერე – რამდენი ხბოც მოიგე, იმდენი გავყიდე, ზოგი ძუძუს ხბოდ, ზოგი კიდე მოზვრად ან დეკეულად გაზრდილი. შენ კიდე მაინც მასმევე შენს რძეს, თებრაა, მაინც არ გენანება, ერთხელ არ გირჩოლია, კაცის ხელი გწველის ამდენი წელია და ერთი ფეხი არ გამოგიკრავს ჩემთვის. შენ

ისეთი გულკეთილი ხარ, ადამიანებს არც დაესიზმრებათ. მერამდენე თვეში ხარ ახლა? – თითებზე ჩამოითვალა თედომ, – მეექვსეში, მეექვსეში, იმიტომ მოგეჩმანა ჩნა ჯიქანი, გაშრები უკვე, წესი ეგრეა. – ფეხზე წამოდგა, საურველი ჩამოუსვა თავლისფერ ფერდებზე, შემხმარი ნეხვი ჩამოაცალა.

– დასაბანი ხარ, თებრა, – თავზე გადაუსვა ხელი. თოთხმეტნაყოლი ფური გატვრინდა, სიამით სავსე მზერით შეხედა პატრონს.

– თედო!

ავთოს ხმა იცნო. მუხლები კი მოუსუსტდა თედოს, მაგრამ ყურთასმენა პატარა ბიჭისა შერჩა.

ავთოს მამალი ამოეჩარა ილიაში.

– ეგ რა არი? – შეაცქერდა თედო.

– ახლა კი არ გაბრაზდე შენებურად, – უხერხულად იშმუშნება ავთო.

– რა იყო, ეგ რა გიჭირავს?

– ბებერი მამლის მაგივრად ამოგიყვანე. მოუსვენარი რამეა, ყურთასმენა მიაქვს ამ ოხერს და იყივლოს, რუსებს „გულს გაუხარებს“.

ახარხარდა თედო, ჩაბჟირდა, სულს ველარ ითქვამს, ხველაში გადაუვიდა. ავთოს შეეშინდა, გული არ წაუვიდესო. მამალს ხელი გაუშვა, თედოს მიასკდა.

– რა იყო კაცო, რა დაგემართა.

თედომ სული მოითქვა, მაგრამ ისევ იცინოდა.

– ეს რამ მოგაფიქრა, შენ რა გითხარი, შენა. ჩვენ არაფრის თავი გვაქ და მამლები მაინც ვაყივლოთ საზღვართან, მამლის ყივილით მაინც მოვეუშალოთ მტერს ნერვები, ჰა, – ისევ ახარხარდა.

●

– ისე დამაბერა მარტოობამ, რომა. ეს რა საშინებელა ყოფილა, კაცო. ორი მგელი ერთად დამეტაკა. სულის მოთქმა არ მაცალეს, მეცნენ ეგრევე, დამიუკაცურეს, დამიბრიყვეს. აქეთ – სიბერე, იქით – მარტოობა. აქეთ – მარტოობა, იქით – სიბერე. ორივე ერთნაირები, პირქუშები,

სასტიკები. აბა, ახალგაზრდა რო ვიყავ, მაშინ რა მომაფიქრებდა, რო ერთი დღე გათენდებოდა და ამათი ლუკმა გავხდებოდი. რო ეთქვა ვინმეს, დავიჯერებდი? ახლა კიდე შენ მაგივრად, ბებერი, მშიერი ძალივით, ყეფის ილაჯი რო აღარ აქვს, თავს რო ძლივსა სწევს, მთვარეს შევეყმუი, მთვარეს ვერურჩულები შენს მაგივრად. მომენატრე, ტირილი მინდა, მაგრამ ცხოვრება ისე გავლიე, არ მიტირია, კურცხალი არ გადმომსვლია თვალზე და თითქო ჩემი თავისა მრცხვენია, არადა, მარილნალოკ ფურს რო წყალი მოსწყურდება, ისე მწყურია ტირილი, ცრემლი მინდა, ცრემლი. თითქოს გამშრალია ეს სატიალე. ეს რა გვიყვეს ამ ოხრებმა, ეს რა ჩაიდინეს, შენი საფლავი მომანატრეს. სანთელი, სანთელი ვერ ამინთია. შენს სურათსლა ვებუტბუტები. ასე მგონია, გულზე მე გადამიარა ბალახმა და სულში შემოძვრა თავისი წვეტიანი ფესვებით ოხერ-ტიალი ჭანგა. სული შემოხვრიტა, სული, შენ გენაცვალე, შენა. მთვარეს ახედა, – ბოლმამონოლილ სახეზე დაჰყურებდა აპრილის ღამის მნათობი და მიინევედა ჩრდილოეთით. როგორ დამტოვე, როგორა. სიმარტოვის ლუკმა ვარ. რაც სიბერემ გამამხრა, სიმარტოვეს დარჩა სახრავად და საძიძვანად. უძილო თვალებით გასცქეროდა მთვარის შუქით მოფენილ მინდორს, მაგრამ სასაფლაო არ ჩანდა.

●

– დოკუმენტურ ფილმს ვიღებთ, პაპა.

შეჰყურებს ეგრე გამტკნარებული სახით.

– ჩამოვვდები, ხომ შეიძლება, – ილიმება სიფრიფანა, ჭრელთვალა გოგო, თან ოპერატორს ანიშნებს, მოხერხებულ ადგილზე დადექიო. იქნებ, მოხუციც აქეთ მოატრიალო.

გოგომ ცერად შეხედა. ნეტავ, ორიოდ სიტყვის თქმაზე დავითანხმო, ვერ ამჩნევ, რა სიტყვაძუნნი და კერპი კაცი ჩანსო.

კიბის გვერდით საზურგემომტვრეულ სკამზე ჩამოჯდა ჟურნალისტი.

თედო ისევ უძრავად იდგა. თითქო ვე-

რავის ამჩნევდა, ტრიალ მინდორს გას-  
ცქეროდა, აპრილი შესთამაშებდა ჭადრის  
ზოლს, ღელის პირზე გაბარდლული ფშა-  
ტების იქით სასაფლაო მოჩანდა. ათიოდე  
ცხედარი მოყოლილიყო მავთულხლართს  
იქით, მათ შორის ორიოდე წლის წინათ  
გარდაცვლილი თედოს მეუღლე.

ის იყო, წვალეზ-წვალეზით მოგროვილი  
პენსიით ქვა უნდა დაედგა, ხეობელ მხატ-  
ვართან ავიდა, მეუღლის ფოტოებიც აუტა-  
ნა, მაგრამ ველარ მოასწრო. ატყდა ერთი  
უბედურება. ილბალი... ჯერ ცოლი რო მო-  
უკვდება კაცს და მერე იმის ილბალი არ  
აღმოაჩნდება, რო ხეირიანად დაიტიროს და  
გააპატიოსნოს, ქვა დაადგას. ქვას ვინდა  
ჩივის – ომის მერე ის მხატვარიც დაიკარგა  
და თედოს მეუღლის ფოტოებიც.

სასაფლაოსკენ იმზირება თედო, თვა-  
ლებში ცრემლი უბრწყინავს, მაგრამ ეს აპ-  
რილის ქარის ცრემლია. მინდვრიდან უბე-  
რავს სასაფლაოგამოვლილი ქარი და ცრემ-  
ლი მოუჩანს თვალეზზე მოხუცს.

– პაპა, თქვენ ხომ თავიდანვე აქ იყა-  
ვით. როგორც გვითხრეს, ომის დაწყების  
დღიდან აქ ხართ, ფეხი არ მოგიცვლიათ.  
ომზე ბევრი რამ დაინერა, ბევრი რამ გა-  
შუქდა, თუმცა... რას იტყვით ომის შესა-  
ხებ. თქვენ მარტო დარჩით აქ და დღემ-  
დე მარტოდმარტო ცხოვრობთ. ხომ ასეა?  
– თედომ მზერა მინდორს მოსწყვიტა და  
ჭრელთვალა გოგოს შეაქცერდა.

– ვიცი, მძიმეა თქვენთვის, მესმის, აქ  
ყოფნა გმირობის ტოლფასია... – ენა დაება  
გოგოს, თედოს კერპმა თვალეზმა დააბნია.

სულ მარტო ხართ? – უადგილოდ ჰკითხ-  
ხა.

თედომ თავი დაუქნია და ისევ მინდორს  
მიაჩერდა.

ჩვენთვის ძალიან დიდი მნიშვნელობა  
აქვს თვითმხილველის მიერ მოწოდებულ  
ამბებს. ტყუილ-მართალი ერთმანეთში  
აურიეს. ნაწილი ამბობს, რო ომი რუსებ-  
მა დაიწყეს, როდესაც შემოვლითი გზები  
დანალმეს და ქართველი პოლიციელების  
მანქანები ააფეთქეს. თურმე აგვისტოს  
დასაწყისში შუა სოფელში რუსების მიერ

გამოსროლილი ჭურვები ცვიოდა. ზოგი ამ-  
ბობს, რო ომი ქართულმა მხარემ დაიწყო.  
თქვენ რას იტყვით, როგორ დაიწყო ეს ყვე-  
ლაფერი, ვინ დაიწყო ომი?

თედომ ცრემლიანი თვალეზი მჯილით  
ამოიმშრალა და გოგოს შეხედა.

– მე დავიწყე, შვილო, მე. – ამოიხავლა  
ყელში ბანარნაჭერილივით. – რითი ვერ გა-  
იგეთ, კაცო...



– სიკვდილისა ისე მეშინოდა თავიდა-  
ნა, რო... ვის არ ეშინია, ყველა სულიერს  
ეშინია და მე რალა ვარ, მარტო თედო ხო  
არ იქნება სიკვდილზე გამარჯვებული. რაც  
შენ ნახვედი, სიკვდილი დასახლდა ჩემ  
გვერდით, აქვეა, ამ ცარიელ არემარეზე მე  
და სიკვდილი ვბინადრობთ, ერთადა ვართ.

– თედოს ლოგინიდან ამოუყვია გალეუ-  
ლი ხელები, რომლებზეც ლურჯი ძარღვე-  
ბი და ორმოცდაათი წლის წინათ ჯარში,  
გერმანიის ერთ პატარა ქალაქში ტუშით  
შესრულებული წარწერები მოუჩანს: „თ.ს.“  
ოდნავ ზემოთ – „ნუ ენდობი ქალს“, მეორე  
მკლავზე, მხარს ქვემოთ – ქალის სახე და  
„მ.ლ.“ ამ წარწერებმა თედოსთან ერთად  
გაუძლეს წუთისოფელს.

იტყვი, ჭერში გარდაცვლილი მეუღლის  
სახეს ხედავსო, ერთ ალაგას მიშტერებია  
და ლაპარაკობს თავისთვის.

– რო ნახვედი და დამტოვე ასე, სიზ-  
მრებში გახვეულ ბერიკაცად გადამაქციე,  
თუმცა... სიკვდილი გამიშინაურდა, აღარ  
მეშინია, აქ არის, ვერ ვხედავ, მაგრამ ვი-  
ცი, რო სადღაც აქვეა და შემომცქერის,  
მითვალთვალებს. გეგონება, სადმე გავექ-  
ცევი. გაქცევის თავიც რო მქონდეს, მაინც  
არ გავექცევი, მეც სიკვდილის ლუკმად უნ-  
და ვიქცე და ეს ბებერი ხორცი მინას უნ-  
და მივუგდო. მშიერი მინა ეცემა ჩემს გა-  
ლეულ სხეულს, დააცხრება და წელიწადიც  
არ დასჭირდება, ძვლამდე დაიყვანს. მინამ  
შებრალება არ იცის, მინას არაფერი ესმის.  
შეიძლება, პირიქითაც არი – რო ვებრალებ-  
ბით, მაგიტომ გვხრავს და მინად გვაქცევს,  
თავის ნაწილად გვაქცევს.



რამდენჯერმე ვიგრძენი, რო სხეულთან გაყრის წამი იდგა. სული ვიგრძენი, ასე ვინეტი, უძრავად, მეღვიძა, ოღონდ თვალდახუჭულს მეღვიძა, ვერც თვალს ვახელდი და არც სხეული მემორჩილებოდა, თითის განძრევაც არ შემეძლო. ვგრძნობდი, რო სული ვიყავი და სხეულში ვიყავ, მაგრამ სხეულს ვერა ვგრძნობდი.

ეს ერთხელ კი არა, რამდენჯერმე განმეორდა. ალბათ, ნელ-ნელა მაგუებს სიკვდილი. აღარ გამიჭირდება მერე, როცა საბოლოოდ დავტოვებ ცხოვრებისგან ნათრევ სხეულს და გამოვეშვები ცისკენ. რაც არი, არი, ეგრე ყოფილა. რა იქნება, ღმერთმა იცის, იქა, ვისა ვნახავ, ვის გადავეყრები. რაც აქა მქონდა ბედი, ის იქ მექნება. თუ შეგხვდები, ბედნიერი ვიქნები.

ლოგინიდან ამოყოფილ გალეულ ხელებზე სთვლემდნენ ლურჯი ძარღვები და ჯარისკაცობის დროინდელი წარწერები.



– ბედნიერი ხარ, შენ რო ამ ამბებს არ მოესწარი. თითქო იღბალი გქონია, იღბალი...

შორიდან გასცქერის სასაფლაოს თედო და გული უკვნესის. რამდენ რამეს გაუძლო ამ სატიალემ, ეს რა ქვა რამე ყოფილა. ნესით, ბევრჯერ უნდა გახეთქილიყო, იმდენ რამეს გაუძლო, იმდენი რამე გადაიტანა, მაგრამ ქვადქცევა იცის თურმე. ერთი გაქვავდება და მორჩა, ლოდს რალა უნდა დაემართოს, თუ ურო არ ურტყი და არ ჩამოაყრევინე ნატეხები. ლოდით გახდა ჩემი გულიც, თუმცა გულობისა ის დარჩა, რო მარტო კვნესის. ფშატები ეფარება ახალ სასაფლაოს, კიბეზე ადის თედო და იქიდან გასცქერის მეუღლის სამუდამო განსასვენებელს.

– ეს რა ყოფილა, ცხოვრება კი არა, ჯოჯოხეთი უნდა დაერქმია გამჩენს, ჯოჯოხეთი.

ბედნიერი ქალი ხარ, ბედნიერი-მეთქი. ვიცი, რო ჩემი სიტ-

ყვები არ გესმის, მაგრამ მე ჩემსას ვცდილობ, მაშ, რა ვქნა. ჩემს გულზე გაატარეს ამ უპატრონობმა ეს ეკლიანი მავთულები. გულში გაიხლართ-გამოიხლართა. ამ ამბებს რო ვერ მოესწარი, ნეტა, იცოდე, რა ბედნიერი ხარ. შენი გული მაინც ვერ გაუძლებდა. ნეტა, მეც წამოგყოლოდი მაშინვე. ამიკლეს... ამიკლეს... სტუმარი არასოდეს გამიგდია, შენ ხო მაინც გახსოვს ჩემი პურმარილიანობა, სუფრა არ ალაგდებოდა ხოლმე. შენს ხელებს ვენაცვალე, როგორი სუფრები იცოდი ხოლმე, ერთი წუთი მაინც დაბრუნდებოდეს ის დრო...

ხელები უკანკალებდა თედოს, ჰაერი აღარ ეყო, ღრმად ჩაისუნთქა, ცას ახედა.

ნითელი პარასკევის სისხლისფერი მზე ნაგვემივით მიცურავდა საავდრო ღრუბლებში, ხანდახან დაგლეჯილი ფთილებიდან გამოჩნდებოდა, შედედებული სისხლი უჩანდა მნათობს.

– დავკარგეთ, ყველაფერი დავკარგეთ, სამშობლო დავკარგეთ, თავი დავკარგეთ, მე თვითონაც აღარ ვიცი, ვინა ვართ და რა გვინდა, სად მივდივართ, რა გზა გვაქვს არჩეული, სამშობლო, – ჩაილაპარაკა თედომ. – სადღაა სამშობლო. თედოსწაირების იმედადღაა სამშობლო და ეს არის სწორედ ჩვენი უბედურება. ამიკლეს, ამიკლეს, მოდიან და მოდიან. რუსების ბოლმას გავუძლო, შენს ტკივილს თუ ამათ ტლიკინსა – შენ უფრო კარგად იცი, ვინც დაიწყო ომიო, გვითხარიო, შენს სიტყვას სხვა



ფასი აქვსო. რა ფასი აქვს ჩემს სიტყვას, ვერ გამიგია. რომელი სოლომონ ბრძენი მე ვარ... ვაი, ამათ პატრონს, არაფრის თქმა არ მინდა, ერთმანეთს სჭამენ, ერთმანეთს ხრავენ, ლანძღავენ, თათხავენ, თედო კიდევ ძალღივით გდია ამ მკვდარ არემარეზე და ორი მგელი ჭამს – სიბერე და სიმარტოვე. მე რა ვთქვა, სამშობლოდაკარგულმა კაცმა, ცოლდაკარგულმა, უშვილდირომა, რა ვთქვა, გასკდებოდეს ეს გული, კარგი იქნებოდა, მაგრამ ხო ვთქვი, ლოდად გადაიქცა-მეთქი.

გმირი ხარ, პაპა, გმირიო, სანამ შენის-თანები არსებობენ, საქართველო არ დაიჩოქებსო.

მე ხომ ვიცი, ვინც ვარ... ტყუილში ვართ, ტყუილში და ამ ტყუილით დაბანგულებს აგვართვეს მიწები, წაგვეგლიჯეს ეს ამხელა ტერიტორია. ვის გაახსენდება, იარაღი აისხას, მიუვარდეს ამათ და თავი შეაკლას. მარტო მიტინგებისთვის ამოდიან, ერთ-ორ სიტყვას წამოიყვირებენ ჩემს სახლთან და გარბიან. აი, სამშობლო... თუ გესმის ჩემი. ვინა ვარ... ვისი შთამომავალი ვარ? ან ესენი ვინ არიან, ჰა, ვერ გამიგია.

რუსებთან მარტო ერთი რამე მაქვს სათხოვარი, უნდა შევპირდე ამ უპატრონო მესაზღვრეებს, ახლოს კი არ მიკარებენ, ერთი-ორჯერ ვეცადე, გავიხსენე ჩემი ჯარის რუსული, ახლოს მივედი. ჩვენმა გამგებელმა, არ გაეკაროო, მერე მე პასუხისმგებელი ვერ ვიქნებო, ნადი შენი-მეთქი, ლამის ამოვუპანდურე. არ დაგინდობენო. ცოლი იქით მყავს, რას მიზამენ, ბოლო-ბოლო, მომკლავენ და ეგ იქნება, ეგენიც დაისვენებენ ჩემი ცქერით და მეც დავისვენებ. ბოლმას საფლავეში წავიღებ, მტრის ბოლმას. ასე მენერა, ალბათ. მივედი, შორიდან მიყურებდნენ მშიერი მგლებივით, ხელი დავუქნიე. ორნი იყვნენ, ჯერ ყურადღება არ მომაქციეს. დავუყვირე, მოდიოთ აქა-მეთქი, რუსულად დავუძახე, ისევ არ მომაქციეს ყურადღება. ლობეზე ასვლა დავაპირე, დავეჯაჯგურე, ძლივს ავბობლდი, ეკლიანმა მავთულმა გამკრა კბილი. სისხლი კი გამშრალი მაქვს, მაგრამ მაინც

შემეღება ნითლად ხელები. მოსვლა იკადრეს, რას აკეთებო, შემომიგია ერთმა. ჭანდარივით იყო ის უპატრონო, მევალესავით მებღვირებოდა, მოშორდი აქედანო. ისევ დავეჯაჯგურე ლობეს, თან როგორ ჩააბეტონეს, გულიანად. გიჟი ქორწილში შევიდაო, ისეა მაგათი საქმე.

აიმ სასაფლაოს ხო ხედავთ-მეთქი.

არც გაუხედავთ.

ვოტ, ვოტ, კლადბიშე-მეთქი, – თითს ვიშვერ მიამიტი ბალღივით.

მერეო? – შედარებით დაბალმა, ნითელი ლენტი ჰქონდა წაკრული ხელზე, ალბათ, მორიგეობის ნიშანი.

სამი წელია, ცოლის საფლავეზე არ ვყოფილვარ, შემიშვით, ცოტა გულს მოვიოხებ და ისევ გამოვალ-მეთქი.

არაო, – ხელები გაატატანა „ჭანდარმა“.

ამერიკელები მოვლენ ცოტა ხანში და ისინი გაჩვენებენ ცოლის საფლავსაო.

აქ თქვენი და იქ ამერიკელებისა-მეთქი.

გამოვბრუნდი პირში ჩალაგამოვლებული, ხმამაღლა წავიბურტყუნე, ქართულად, თორემ ბურვაკივით გამაგორებდნენ. ერთი ხანობა გავჩერდი, მოვბრუნდი და შევხედე რუსებს, ისევ იქ იდგნენ. იქნებ, გული მოუღებთ, გასაცოდავებულ მოხუცს რო მიყურებენ, ეგენიც ხო ადამიანები არიან-მეთქი, ჩემს თავს ვუთხარი. მერე კი გავბრაზდი, შესაცოდი არაფერი მინდა, მივაფურთხე და მოვტრიალდი.

სამშობლო, სამშობლო... – ბუტბუტებს თედო, – რა ვთქვა, აღარ ვიცი. ასე მგონია, რაც კი სადღეგრძელოები დამიღვევია, ყველაფერზე ტყუილა გავრჯილვარ. ეს, ვინ არი ჩვენი პატრონი, ვინა. ისევ უნდა მივუცუცქდე რუსებს, დაველაპარაკო, იქნებ, რო გავფიქვავ ფეხებს, შენს გვერდით დაასაფლავებინონ ჩემი თავი აქაურებს. ვიცი, გიჟური რაღაცები მამდის თავში, მაგრამ ჭკვიანი როდისლა ვარ?

სისხლისფერი მზე ესვენებოდა მინისფრად დაფერილ მთებში, ესვენებოდა, ნაკვემი და ნანამები, როგორც ჯვარცმდიან გარდამოხსნილი მაცხოვრის ნატანჯი სხეული.

თედო გარდამოხსნილ მზეს გასცქეროდა.



– აი, გადაჯიშება ამას ჰქვია, თედო.

თედო აქეთ-იქით იხედება, რომელი ხარ?

– ვერ მიცანი? ვერც მიცნობ, მე შენში ვსახლობ, მაგრამ შენ ჩემთვის თვალი არასოდეს მოგიკრავს.

– ვინა ხარ მეთქი, კაცო, – საარაყე ქვაბს თავი მიანება ბერიკაცმა. იყურება აქეთ-იქით, თვალეზს აცეცებს, კვამლისგან აცრემლებული მზერით იყურება, – ერიჰაა, მართლა ველარა ვარ, ამ სიმარტოვემ მოჩვენებები დამმართა.

– მოჩვენება არ ვარ, მე ვარ.

– ვინ შენა ხარ? დამენახვე, – ცეცხლს თავი მიანება, წამოდგა, ეზოში მიიხედ-მოიხედა.

– ვერ მხედავ?

– ვერა.

– ვერც დამინახავ და არც არის საჭირო.

სახეზე მიისვ-მოისვა ხელი.

ემშაკია. ჩემი ბრალია, რა არაყის გამოხდა ამიტყდა ამ დიდშაბათის დღეს, – პირჯვარი გადაინერა.

– ეშმაკი არა, ტოროლა.

თედოს ფიქრი უცბად ამოიკითხა უჩინარმა – იტყოდი, რო ბერიკაცის გულის კედლებს აცქერდებოდა და მის ნაფიქრს ასო-ასო კითხულობდა.

– მაშ, ვინა ხარ?

– ვინა ვარ? – ჩაიცინა.

ბერიკაცი ქანდაკებასავით დგას და ვის უყურებს, თვითონაც არ იცის.

– თედო ვარ, თედო, – ისევ ჩაიხითხითა.

– რომელი თედო?

– ვერ მიცანი? ბეროაანთ თედო ვარ.

– ვინა? – დაიბნა მოხუცი. ცეცხლზე განითლებული სახე უარესად წამოუხურდა. ახლა უკვე ეჭვი აღარ ეპარებოდა, რო ეშმაკი ესაუბრებოდა.

ჩემი ბრალია, ჩემი ბრალია, დიდშაბა-

თის დღეს რა არაყის გამოხდა მოვინდომე! – პირჯვარი გადაინერა აკანკალებული ხელით, ცას აჰხედა. დიდშაბათის მზე არსად ჩანდა, დიდშაბათის მზეც თითქო ცის სამარხში გაუჩინარებულიყო, ვეება ლოდივით გადაფარებოდა ღრუბელი.

– მაპატიე, ღმერთო, მაპატიე.

– ღმერთს შენი არ ესმის ახლა, ტყუილად ანუხებ, ღმერთი აღდგომის მოლოდინშია, თედო. კიბეზე თიხის საღვინით წყალი ედგა, მოიყუდა, ყელი გაისველა, მკერდზე უფრო მეტი ჩამოედგარა.

– დამთავრდა ყველაფერი, – ჩაიბუტბუტა. – ეშმაკებმა დაიბუდეს ჩემს სახლში. მოვიდა სიკვდილის ჟამი.

– ვინ არის ეშმაკი? – ისევ გაისმა ხმა და შეხტა მოხუცი.

– არ გჯერა, რო თედო ვარ? აი, შენ რა გითხარი, შენი ახალგაზრდობა ვარ, შენი სიჭაბუკე, შენი წარსული წლები... გეგონა, რო ყველაფერი გაქრა და გაიფანტა?

არაფერი გამქრალა, ბუნებაში არაფერი იფანტება, არაფერი. სიკვდილი არ არსებობს. ყველაფერი არსებობას აგრძელებს. წამი რო წამია შენი ცხოვრებისა, ისიც არსად გამქრალა, ყველაფერი აქ არის თავმოყრილი, ჩემში და მეც თედო მქვია, მეც „შენ“ ვარ, ოღონდ დავინწყებული, მოგონებების გროვად გადაქცეული.

ხმა შეეცვალა უჩინარს, თითქო გული აუჩუყდა. გაშტერებული იდგა ბერიკაცი, ძალა ერთმეოდა მუხლებში, ნაქცევას იყო.

ბევრი რამ დაგავინყდა, ბევრი რამ დრომ წარეცხა, მაგრამ ხომ გითხარი, არაფერი ქრება- მეთქი.

– არაყს რატო ხდი, თედო?

თედო დუმს.

– რუსებს უხდი არაყს, გული გინდა მოიგო, მტრის გული, არაყს მიართმევ და იქნებ, როგორმე გადაგიშვან იქით, მავთულხლართს იქით. შეეხვენები, ასე გაქვს ჩაფიქრებული, ყელს გამოუწევ, თუ გეტყვიან, მუხლებზე დაუდგები, ოღონდ ცოლის საფლავი გაჩვენონ...

შენი გამოხდილი არაყით სავსე ჭიქებს მიუჭახუნებენ რუსები ერთმანეთს, მერე

გადაჰკრავენ, პურის ნატეხს დასუნავენ. კარგა ხანს ვერ ამოიღებენ ხმას.

– ეს არაყი გამოუხდია მაგ ბებერს, ბიჭებს არაფერი ვუთხრათ, თორემ მიეჩვევიან და გამოუნაფავენ, ჩვენ აღარაფერი შეგვხვდება.

საუბრობენ რუსები, შენ კი ამ დროს რამდენიმე ათეული ნაბიჯის იქით, ცოლის გაჯადავებულ საფლავზე დამხობილი ბლავი...

– კარგი! – შეჰყვირა თედომ.

– დამცინავი სახეებით გაცქერდებიან რუსი მესაზღვრეები, სიამე ელვრებათ გულში, ბებერ, დამცირებულ, ღირსებააყრილ „მტერს“ რო ხედავენ.

– კარგი-მეთქი... – ყელის ძარღვები დაებერა თედოს, გულს მკერდი ლამის გამოერღვია.

საარაყე ქვებს ოთხივე მხრიდან კბენდა ცეცხლის ალი. დულდა ჭირნახული და გეჯის მილიდან მოწვეთავდა ჯაჭვიანი სითხე. ერთხანს ცეცხლს მიშტერებოდა თედო, მერე თითქო უცნაური ძალა მიეცა, იტყოდი, ის გარდასული წლები დაუბრუნდა, გაახალგაზრდავდა, ცეცხლთან მიიჭრა და ქაფქაფა ჭირნახულით სავსე ქვაბი ნიხლით მოაპირქვავა... ალი თანდათან ჩაცხრა, ჩანელდა, კვამლი ზანტად, უმისამართოდ მიიწვინოდა ცისკენ...



თითქო ვილაც უთვალთვალეებს. კუნაპეტ ლამეში უაზროდ აცეცებს თვალეებს.

სულ რამდენიმე საათილა დარჩა. სულ რამდენიმე და... აღდგომაა, სადღაც, რომელიღაც ბედნიერი მამალი ახარებს დილის სოფელს. ლოდი უკვე გადაგორებულია, არიმათიელის ქსოვილი ასვენია გამოქვაბულში, მცირე ხანში ცეცხლოვანი ანგელოზი შევა და ქვის სარეცელზე ჩამოჯდება, მერე მენელსაცხებლე დედებიც გამოჩნდებიან...

სადღაც, სოფლის შუაგულში, ძილგამფრთხალი მამალი დასაყვივლებლად ემზადება. აღდგომის დილა ახლოვდება.

თედო ქანდაკებასავით დგას, იტყვი, რო

ისევ სიზმარშია. ასე ცხადად არასოდეს დასიზმრებია მეუღლე. მასთან ერთად იჯდა მწვანე მოლზე, ორივეს წითელი კვერცხი ეჭირა.

– ქრისტე აღსდგა!

– ჭეშმარიტად! დაკა, – კვერცხი მიუშვირა ცოლს.

ქალმა ჩახანი გაადინა.

– ვიცოდი, რო გატეხავდი.

– საიდან იცოდი.

– მე სად მაქვს ილბალი.

– კვერცხს რა ილბალი უნდა.

– ილბალი ყველაფერს უნდა.

– კაცი ხარ და წუნწინ არ გეკადრება.

მწარედ ხასხასებდა ირგვლივ ბალახი, ნამიან ძურწას ხარბად წინკნინდენ წითელბაფთიანი ბატკნები...

– ისევ ისეთი ხარ?

– აბა, როგორი უნდა ვიყო?

– არ ვიცი, – მხრები აიჩჩა თედომ.

– ასეთი ახალგაზრდა აღარ მეგონე.

ჩაიკისკისა ქალმა.

გამოელვიდა თედოს და მარტოდმარტო იყო სიბნელეში, სარკმელს რუსების სამხედრო ბაზიდან გამოტყორცნილი შუქი სცემდა. მაგიდაზე პატარა რკინის ჯამში შეღებილი კვერცხები ელაგა. რალაცნაირი სითბო იგრძნო ბებერ თითებში. როცა ახლად დაღებილ სააღდგომო კვერცხებს, თბილ-თბილ კვერცხებს მიუტანდა ხოლმე ჭონაზე მისულ ბავშვებს, ის სითბო იგრძნო თედომ. ფრთხილად ჩაიწყო კვერცხები ჯიბეში.

სანთელი... სანთელი არ დამრჩეს...

აღმოსავლეთის კედელზე, თახჩაში, ხატების გვერდით ცოლის დატოვებული თავმომწვარი სანთლები ხელუხლებლად იდო. გულის ჯიბეში ჩაილაგა თედომ.

– აბა, ჰა, მოვდივარ... – ჩაილაპარაკა და კიბეაკიდებული სიბნელეს შეერია.

აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულის მახარობლებად ეკიდნენ ვარსკვლავები ცაზე და თითქო ერთმანეთს შეჰხაროდნენ, ერთმანეთს ულოცავდნენ.

მიდიოდა სიბნელეში თედო, მიათრევადა კიბეს და რალაც ენით უთქმელ ძალას გრძნობდა, თითქო ვილაცა ხელით აწვებო-

და და იტყოდი, ქაბუკური სიმკვირცხლე მიეცა მუხლებშიო. ოცდაათიოდე ნაბიჯი გადადგა და რკინის ლობესთან აღმოჩნდა. კიბე ჩამოიღო, სიბნელეში იყურებოდა, სადღაც მთის ფერდობზე გაჭრილ სამანქანე გზაზე, რომლითაც რუსები ქსნის ხეობაში გადადიოდნენ, ლამპიონის სინათლე კრთოდა. მთის ძირში სინათლის ჩქერალს აფრქვევდა რუსების სამხედრო ბაზა.

თედომ აღდგომის ვარსკვლავებით მოჭედილ ცას ახედა და პირჯვარი გადაინერა.

ის ძალა, წელან რო მიაცილებდა, თითქო მავთულხლართს იქით დარჩა. არადა, იტყოდი, ხელის კვრით მოჰყავდა უჩინარს საზღვრისპირა უბანს შერჩენილი ბებერი. თითქო რკინის ლობეზე მიყუდებულ კიბესთან დარჩა ლამის ლანდი.

თედოს აღარ გამოჰყვა, ცოლთან შესახვედრად მარტო გამოუშვა.

– აბა, შენ იცი, კი არ შეგეშინდეს, ხო არ დაბერდი, ჰა. დანატრებული ცოლი გიცდის, მიდი, გასწი, სწორად გადაადგი ფეხი. დაბტის გული, იტყვი, ამოხტა საგულედან. მიდის სიბნელეში თედო, ძალა ეცლება, მუხლები ეკეცება. სიბნელეში არ ჩანს, მაგრამ იცის, სად არის მიტოვებული სასაფლაო. ერთი-ორჯერ ხნარცვებში ნაიქცა, ვაი-ვაგლახით წამოდგა, ეკლიანი ხელებით დამტვრეული კვერცხები მოსინჯა და ისევ გააგრძელა გზა.

ამის იქით ნაბიჯის გადამდგმელი აღარ არის თედო. დგას სიბნელეში, წელში მოხრილი, ხვითქში გაცურებული, ბებრული კურცხალი ლაპალუპით ჩამოსდის თვალზე და ხვდება, რო იქ მივიდა, საიდანაც აღარსად წავა.

– ხო... გითხარი... რა ვთქვა, რა ვთქვა, უი, შენ წასვლას, მე წავსულიყავი მერჩია, – ღმუილი აღმოხდა, ჯერ მუხლებზე დაეცა, მერე პირქვე დაემხო ეკალგადავლილ მინაზე, ისე, რო არც ეკლების სიმწარე უგრძნია, არც მინაზე დახეთქების ტკივილი და ჩაეხუტა...

● მავთულხლართზე აყუდებულ კიბეს უმზერენ შორიდან რუსი მესაზღვრეები.

შამბირეთზე გადმოცურებული აღდგომის მნათობი დასცქერის მკედარ სოფლებს. აღდგომის მარადიული მადლით ანთია თითოეული სხივი.


– ეს რა არის?

– კიბეა.

– კიბეს აქ რა უნდა?

ფშატებისკენ გადმოუხვიეს რუსებმა.

ყურებდაცქვეტილმა გერმანულმა ნაგაზმა ყეფა ატეხა და ჯარიკაცს ხელიდან გაუსხლტა. ხებეჩახსნილი რუსი ლამის წააქცია ძაღლმა. თასმა ხელიდან გაუძვრა და ბორძიკ-ბორძიკით ძლივს შეიკავა თავი. ძაღლი სასაფლაოსკენ დაიტიშა. მესაზ-



ღვრეები დიდხანს უსტვენდნენ სამხედრო ბაზაზე განვრთნილ ნაგაზს, მაგრამ ვერაფერს გახდნენ.

ენაგადმოგდებული ძაღლი ცოლის საფლაოზე პირქვედამხობილ თედოს ცხედარს ყნოსვით უვლიდა გარშემო...

9 ვარდობისთვისა

არდაშელ თაქთირიძე

საჩუქარი

ჯიბიდან სურათი ამოიღო – ცხენებშემ-  
მული ფაეტონიდან ტყუბი ფერია იყურება,  
ერთნაირ თეთრ კაბებში გამონწყობილი, შავ  
დალალებზე თეთრი ბაფთებით. მკერდზე  
მიიკრა, ეამა, თითქოს გოგონები ჟივილ-  
ხივილით ჩასწოლიან მამიკოს ლოგინში და  
ერთმანეთს მამის მკერდიდან ბალნის წინ-  
კენაში ეჯიბრებიანო...



ჩერქეზოვზე დაიბადა ერთ მინგრეულ  
სახლში, სახურავად “ბრეზენტი” რომ ჰქონ-  
და გადაფარებული და ავდარში შინ და გა-  
რეთ ერთნაირად წვიმდა.

დედა მის მშობიარობას გადაჰყვა.

– შენი ბრალია, დედა რომ მოკვდაო!-  
უფროსი ძმებისგან თავში ტყაპუნი ყოველ-  
დღე გამონერილი ჰქონდა. მამას უყვარდა,  
მაგრამ მისთვის სად ეცალა, დილიდან ლა-  
მემდე თბილისის ქუჩებში დაატარებდა ფა-  
ეტონით კლიენტებს. დედინაცვალს ეცო-  
დებოდა, უფროს გერებს უჯავრდებოდა

– დაანებეთ თავი ცოდოაო!

დღისით სკოლაში დადიოდა,  
ლამე კი გვიანობამდე მამას ეხმა-  
რებოდა ცხენების დაბინავებაში.  
რვა კლასის ატესტატი აიღო და  
ცოცხალი თავით სკოლაში აღარ  
წავიდა. არც მამამისს დაუძალებია  
მანცდამანც. სამსახურში შევირ-  
დად მიაღებინა, შემოისვა კოფოზე  
და ერთად დახრიგინებდნენ ძველი  
თბილისის ვინრო ქუჩებში.

მამა, რადგან დამხმარე იშოვა, სასმელს  
მიეძალა. ჩამოხტებოდა სადმე დუქანთან  
და სამუშაოდ შვილს ატანდა ფაეტონს.

გაიზარდა, დავაჟუკაცდა, ცოლი მოიყვა-  
ნა – რაჭველი გოგო, ხაბაზის ქალიშვილი.  
სალამობით გაუვლიდა არდონის ქუჩაზე  
სიმამრს საცხობში და მოჰქონდა ორი ცხე-  
ლი პური სახლში.

მოკვდა მამა, ღვიძლი დაეშალა, დამარ-  
ხეს.

სახლი უფროს ძმებს დარჩათ, ხელობა  
– უმცროსს. ნაიყვანა ცოლი, გამზრდელი  
დედინაცვალი და ნავთლულში გადავიდა  
ნაქირავებში...



ქერჩის ყურე. ჩვენები უკან იხევენ. მი-  
წა დულს, ზანზარებს. დაეცა, მგონი ფეხშია  
დაჭრილი. წამოდგა, გაქცევა სცადა, ისევ  
დაეცა, გახობდა. ბიჭები სად არიან? ყვე-  
ლა დაიხოცა თუ მისთვის არა სცხელათ,  
თავის გადარჩენაზე ფიქრობენ?! სისხლით



გაივსო ჩექმა, არაქათი გამოეცალა, გაჩერდა, გულაღმა გადაბრუნდა, ცას ახედა, ორ ღრუბლის ქულას დააცქერდა, თავისი გოგონებივით ფაფუკს და სპეტაკს. ჯიბიდან სურათი ამოიღო, გულზე მიიკრა.

თითქოს ხმაურმა იკლო. მასირებული დაბომბვა მორჩა. კანტიკუნტად ისმის ავტომატის ჯერი, გერმანელები წმენდენ ბრძოლის ველს დაჭრილებისაგან. სიკვდილი მოდის ლურჯი თვალებით...

ნავთლულში გადასვლიდან ცოტა ხანში ტყუპი გოგონა შეეძინა. მამის სიცოცხლე, ორი ფერია. ქმარი მეფაეტონობდა, ცოლი დედობდა, დედინაცვალი ბებობდა, ბავშვები იზრდებოდნენ, სიმამრი პურს უგზავნიდა, ხელფასი ყველზე ჰყოფნიდათ, დედინაცვლის პენსია ქირაზე და მეტი რალა უნდოდა მოკრძალებულ ოჯახს, ცხოვრობდნენ ბედნიერად, სანამ ომი არ დაიწყო.

პირველივე ნაკადმა მოუწია. ცოტა ხანს "ზბორები" გაიარა, რომ იარაღის ხმარება შესძლებოდა, მერე ნავთლულელ ბიჭებთან ერთად ქერჩში საბრძოლველად მომზადებულ ქართულ დივიზიაში ჩაწერეს და გამგზავრების წინ უკანასკნელად გაუშვეს სახლში ღამის გასათენებლად. მთელი ღამე თავისთან ეწვინა გოგონები და უსმენდა მათ მშვიდ, თანაბარ სუნთქვას...

ვილაცამ ხელიდან სურათი ააცალა, თითქოს ბავშვები მამიკოს ლოგინიდან წამოხტნენ და გაიქცნენო. შეაჟრჟოლა, თვალი გაახილა – სიკვდილი ადგას თავზე, სურათი ხელში უჭირავს, ლურჯი თვალებით დაჰყურებს. ცელის მაგივრად ავტომატი მოუგდია მხარზე. თვალები დახუჭა, წყვდიადში ჩაიძირა...

მიტოვებულ ბოსელში გაეღვიძა თივაზე დანოლილს. ფეხი სუფთად ჰქონდა შეხვეული შარვლის ნახევით. გვერდით იდო პური, ზემოდან კი შვილების სურათი კუთხეში მინანქრით: Geschenk von meiner Tochter für Ihre Töchter – საჩუქრად შენს გოგონებს, ჩემი გოგონებისგან.

ბერლინი, 1 მაისი, 1945 წელი. რაიხსტაგზე 150-ე ქვეითი დივიზიის დროშა ფრიალებს. რაიხსტაგის გარნიზონმა კაპი-



ტულაცია გამოაცხადა. ქალაქს ასუფთავებენ ფაშისტების იმ ნარჩენებისგან, რომლებიც არ ნებდებიან, ბინებში გამაგრებულან და ფანჯრებიდან ესვრიან მონინალმდეგეს.

სახურავჩამოქცეულ სახლში შევიდა. ორი ერთნაირი ჩაცუცქული ქერა გოგონა ნანგრევებიდან ამოყვანილი დედის ცხედარს დასტიროდა. თავზე დაადგა. ოთხმა ლურჯმა, შეშინებულმა, ცრემლით ავსებულმა ზღვამ ამოხედა...

ჯიბიდან სურათი ამოიღო – ცხენებშემული ფაეტონიდან ოთხი ფერია იყურება, ორი შავთმიანი და ორიც ქერა, ერთნაირ თეთრ კაბებში გამოწყობილი, თავზე თეთრი ბაფთებით. მკერდზე მიიკრა, ეამა...

### გივი ალხაზიშვილი



შებურავ მინას სულის შებერვით,  
მოაცლი ორთქლს და თვალს გააყოლებ  
ფარულ სამყაროს, სადაც ბებერი  
ძვლები დატოვეს და ააყორეს,  
აქვე, გზის პირას, სადაც ანწლივით  
გაზრდილი წლები ჩრდილებს ისხამენ,  
მათ საფლავები დაინაწილეს  
და მიენიათ მზერა მსუსხავი –  
მეხსიერების ამომკანკრელი,  
მუდამ ზურგსუკან რომ დგას შიშვით  
და შენს კვნესაზე არის აცრილი  
მეუდაბნოე ხსოვნის შიმშილი.

ის კი არ ამბობს, მასში აბოდებს  
ჟამი, რომელიც უდაბურია,  
მაღე თავის თავს გადააბოტებს –  
შემოთქმული მეფის ბუტაფორია!

### კიჩი

შენს თვალებში ჩამალული – დღეს მე ვარ,  
ველარ ვუძლებ გამოხედვას მათრობელს,  
შენი ბაგე შარბათივით მესმევა,  
ოღონდ ზოგჯერ სულის მოთქმა მადროვე.

ერთმანეთში გადავცვალეთ გულები,  
ვერას ვამბობ ან რა უნდა მეთქვა მე,  
ვინ გვიბოძა სიყვარული ულევით,  
ეს ნუთები, უწყვეტად რომ ფეთქავენ.

რაც გაგვარჩნდა, ერთმანეთში ვმალავდით,  
დამალულიც ერთმანეთში ვეძებეთ,



მკლავით, მკერდით, ხელისგულით, მალათი  
ჩვენ ერთმანეთს ვიდრე არ შევენებეთ.

ერთმანეთი შარბათივით გვესმევა,  
ერთსულ, ერთხორც – სრულყოფილი ესე ვარ.



ადგილს რომ კარგავ და თან რომ ეძებ,  
არ იცი და თან იცი, ვინა ხარ,  
ნაკლებად ფიქრობ ორჭოფულ ბედზე  
და რაც არ გახსოვს, გულში ინახავ...

იქ იბადება ახალი გამა,  
სისხლში რომ დადის და არ გაგიქრა  
და შენს ლოდინში გადაღლილ მამას  
განცვიფრებული გულში ჩაიკრავ.

ამ სიზმარ-ცხადმა დრო წაგიშალა,  
პიქტოგრამები ჩანს მინიდანაც  
და ეს სანუთრო, ასე მშიშარა,  
ეძებს, სიცოცხლე ვინც გინილადა...

## **მზე შინა**

(მარტის სკერცო)

მოთმინება გამქრალა, აღარსად იშოვება.  
ბალს სჭირს გამოტყემლება, გამოლოლნაშობება...

ისე ამეკვიატა, რომ „მზე შინას“ მოტივი,  
უცებ ამოვიმღერე დაზუთხული ნოტივით.

მარტის გეში იღვიძებს, სისხლის ნაკარნახევი,  
თავი ვერ შევიკავე და ღიღინში აყყევი.

წამდაუნუმ იმღვრევა ამინდის სიანკარე,  
მზეს მცხუნვარე სხივები ხან შინა აქვს, ხან გარეთ.



გადამავინწყდა ჩემთვის ახლობელ  
გოგო-ბიჭების მოძრავი კასტა,  
ისინი ზოგჯერ სარფზე ნაღვლობენ  
და ერთგულებენ ახლებურ აღზრდას.

რასაც ამჩნევენ, ზედაპირია,  
გარეშე სიღრმის, გარეშე წვდომის,  
ესეც მეტაა, მეტაფირია  
და შურიანი თვალების ომი.

არ შევეუდგები ვინმეს დამოძღვრას,  
მე ვიუცხოე მოძღვრის წოდება,  
მაფიქრებს, გესლი როგორ ამოძვრა  
იმის ბაგიდან, ვინც მეცოდება.

მე წავალ, სადაც იგი წავიდა,  
გავყვები ხილვას მეტაფორიანს,  
არის ცხოვრება ერთი წამითაც,  
მაგრამ ის წამიც უდაბურია!



თვალში რომ სხივმა გაიელვა,  
ის გარედან არ შემოსულა,  
სულ უმიზეზოდ განათდა შენში,  
შენ ხომ არ იცი, შენი თვალით ვინ იყურება,  
სად ხარ და ვინ ხარ, არავინ იცის.

შენი სიშორე და სიახლოვე  
დროდადრო ისე შორიახლოობს,  
რომ ზოგჯერ სათქმელს ჩურჩულებს სისხლი  
და საკუთარ თავს აღარც დაეძებ,  
რადგან არც გახსოვს, გქონდა თუ არა...

„მე“ რომ ქრება, ის შინ ბრუნდება,  
მაგრამ ის შინ... შინ აღარ არის...



შენამდე ველარ მოვალნიე,  
ვერც წარმოსახვით  
და ვერც ფიქრით,  
აღარც მზერას არ ამოჰყევი –

შენგან ჩემამდე,  
მხოლოდ ეგაა, ისე ჩუმად ხარ,  
რომ ყველა შენი სიტყვა ჩამესმის,  
გულში ჩემთვის რომ გაიფიქრე.



შუქი ღამეს რომ გულივით უცემს,  
მხოლოდ ის ხედავს, რაც არ ჩანს ჩვენთვის  
და მის სხეულში ჰყვავის სინათლე  
ფიქრიან თვალის და გულის ღვეთის.  
გადაიფიქრე... ახლა თუ დაღევ,  
შენ ღამეს შესვამ ამ ჭიქის შესმით...  
ხომ გაქვს იმედი, რომ მოვა ჟამი  
თვალში გაჩენილ მზის სხივში შესვლის?!  
ისე ჩაივლის, ვერც კი გავიგებთ  
და საუკუნეს ნუთივით შეცვლის.



არ მავინწყდება ახლაც ის ღამე,  
ორჯერ ზედიზედ რომ ნავიმღერეთ  
და ნამღერებებს შორის პაუზა  
ჰგავდა ნირვანას,  
როცა სული იღვენებდა სხეულთან ერთად  
და სიტყვაში არ იმალება.  
ახლა შენი მზერა მომწვდა  
და მე მივხვდი რომ აქვე ხარ,  
მაგრამ ვერ გხედავ, ისევ გულისცემაში გეძებ...

მანანა დანგაძე

მამას

შენი პროფილით დავდივარ,  
მოთმინება მაქვს შენი,  
შენი სევდა და დარდი ვარ,  
დარდსაც შენსავით ვშვენი.  
ვიღიმი შენი ღიმილით,  
თუ მეღიმება, მაშინ,  
ო, რა უაზროდ მიაფრენს  
წლებს წუთისოფლის რაში.  
შენს დარგულ ვაზებს ვფურჩქნი და  
შენსავით ვწურავ ღვინოს,  
გლახაკს შესანიშნავ ვჩუქნი და...  
მან მაინც იღიღინოს.  
ამაყად დგახარ სურათში,  
გვერდს გილამაზებს დედა,  
შეგცქერით სიყვარულით და  
შენში ჩემს სახეს ვხედავ.  
დრომ სრულად შემომაცრიცა  
ტანს სიხარულის კაბა,  
ჟამი მწუხარე გაცლისა  
ჩემს ფერხთით თვალებს ნაბავს.  
შენი პირ-სახით დავდივარ,  
შენს ნაფუძარზე ვდგავარ,  
შენი ამაყი დარდი ვარ,  
არ ვიმჩნევ, აქაც გგავარ...

## ჰეი, მედუქნევ...

ცხოვრება დამთავრდა, ვით ბებოს არაკი,  
წარსულიც გაფრინდა შორეულ მერცხლებად,  
ჰე-ჰეი, მედუქნევ, დამისხი არაყი!  
ხომ ხედავ, ეს წელიც ხელიდან მეცლება.  
მოვძებნო ის ბიჭი, ვარდებს რომ მჩუქნიდა,  
იმედი ჩავსახო უარით გახელილს,  
მგონი, მოდიოდა მეზობელ ქუჩიდან,  
მაგრამ, რომ არ მახსოვს, რა ერქვა სახელი?..  
ტირიფებს გავყევი ფიქრებით დაღლილი,  
გოგონა მორბოდა ცისფერი თვალებით,  
მოხუცი მოსდევდა ერთგული ძაღლივით,  
თითქოსდა მოჰქონდა სამყაროს ვალები –  
ეს იყო ის ბიჭი, ვარდებს რომ მჩუქნიდა,  
ამბავიც დასრულდა, ვით ბებოს არაკი,  
მგონი, მოდიოდა მეზობელ ქუჩიდან...  
ჰე-ჰეი, მედუქნევ, დამისხი არაყი!..

## მოგზაურობა მითეზში

მთელი ცხოვრება ქრისტეს ვეძებ, მხედება იუდა,  
შუამავალი, ალბათ, ღმერთებს ამბავს მიუტანს.

ვით აფროდიტე, დავდივარ და ვეძებ ადონისს  
და მის ძებნაში გული მიმდის, სული ამომდის.

ვიყავ ჯულიეტა, ანა, ჰერა, ვიყავ ისიდა  
და გარდაცვლილი კვლავ აღვსდექი თითქოს მიწიდან.

ვიყავ ელენეც, მომიტაცა ერთხელ პარისმა  
და ესმერალდად შემიფარა მერე პარიზმა.

ვიყავი ლედა, შემეუღლა მაცდურად ზევსი,  
მაშინ არ იყო არც მარხვა და არც კიდევ მსგეფსი.

ველარ გავიგე ჩემი გვარი, ჩემი ეთნოსი,  
ქარიშხალივით თან დამყვება გრძნობა-ეროსი.

ხან ფრანგი ვიყავ და დავანთე ცეცხლი კანკანის,  
მაერს გაუჩინე გრძნობებისგან გულის კანკალი.

ერთ ცხოვრებაში ინდიელიც ვიყავ, აცტეკი,  
დიდი კულტურა შევქმენი და მერე... განცდები.

მერე ოცნებით გადავცურე მდინარე ლეთე,  
გამოვფხიზლდი და ბუდასავით ნირვანად ვენტე.

ერთხელ, სულ ადრე, ბაბილონის გოდოლშიც მოვხვდი,  
ვერავის ენა ვერ გავიგე, კინალამ მოვკვდი.

შენს ამოცნობას არ ეყოფა ერთი სიცოცხლე,  
ღმერთო, სხეული მოკალი და სული მიცოცხლე.

თითქოს ძლიერი და ამაყი ლექსი გამომდის  
სამყაროს ცენტრში ვდგავარ მარტო, ვაი, რა მომდის.

კიდევ რამდენი სიცოცხლეა, ნეტავ, საჭირო,  
ღმერთო, რამდენჯერ უნდა მგვემო, უნდა მატურო.

ქრისტეს დავეძებ, დამელია სული ლოდინში:  
ქართველად მომკალ, ნულარ შემცვლი – სხვებთან ბოდინში!

## სულს ავუნთე კელაპტარი

ირგვლივ ეშმას ხარხარია,  
ძალას იკრებს იუდა,  
სულს ავუნთე კელაპტარი,  
გამიეკლესიურდა.  
ნაბიჯ-ნაბიჯ მოვიარე  
ჩემი მთა და ველები,  
მტკაველ-მტკაველ მინა ვკოცნე –  
მტრისგან განახელები.  
ღმერთმა რად არ გამაჩინა  
ქეთევანად, თამარად,  
ხედავთ, ქვეყნის სიყვარულმა,  
როგორ გამათამამა?!  
ბევრი მსურდა, ვერ შევძელი,  
ვერა, სულო და გულო,  
დედისერთა გაგიზარდე  
შენს მსახურად, მამულო...  
საშველს ვეძებ, ხარხარია,  
ძალას იკრებს იუდა,  
სული, ხელში უფლის სანთლით,  
გამიეკლესიურდა...

## კვაზიმოდო – ესმერალდა

ქარი ქრის და მიაქანებს გამხმარ ფოთოლს,  
შენ ჩემს სიზმარს უდარაჯებ ღამის ლანდად,  
ასე რატომ შემეყვარე, კვაზიმოდო,  
ასე როგორ შეგიყვარდა ესმერალდა?

ხარდანს აწვიმს; გაყინულა ვაზი; მოთოვს –  
გულს მიკლავს და სულს მიწუხებს ეს მე რადლა?!  
შენი თავი შემეყვარე, კვაზიმოდო,  
ამას მე გთხოვ, შენი გულის ესმერალდა!

ამ ღამესაც ჯერ მოყინავს, მერე მოთოვს,  
ჩემს სიყვარულს არ სჭირდება ჭრა და რანდვა;  
შენ ხარ ჩემი სევდიანი კვაზიმოდო,  
მე ვარ შენი ვნებიანი ესმერალდა...

ლელა აბრამიშვილი

ცარიელი მოლოდინი

ქარისგან ჩამოხეული ზამთრის ჰორი-  
ზონტი მოწყენილი სამყაროს ნაგლეჯივით  
იცქირებოდა ფანჯრიდან.

ცარიელი მოლოდინით სავსე კედლებ-  
ში სიძველე ოხრავდა და ილეოდა. ბუხარში  
სევდა გიზგიზებდა, სიცარიელე და მარტო-  
ობა...

ნესტიანი სანოლიდან დაღლილობა წა-  
მოამთქნარა თამარამ. მარტოობისა და სი-  
ბერის სურნელით იყო გაჟღენთილი მისი  
სხეული, მისი სახლი და მოგონებები...

ოდესღაც სხვაგვარი იყო ცხოვრება...  
მარტოობის გარეშე...

თამარას ქმარი ეზოში შეშას აპობდა.  
ბუხარი სითბოს ენებით ლოკავდა სახლის  
კედლებს, იატაკს. მოცეკვავე ჩრდილები  
და შუქები თამაშობდნენ ნივთებს შორის.

გარეთ ხმაურით ეშვებოდა თეთრი თოვ-  
ლი და მაშინაც კი, როდესაც მთელი სო-  
ფელი ზამთრის ცივ საბანში ეხვეოდა, სახ-  
ლი მაინც მყუდრო ნეტარებით იფშენებდა  
თვალეებს.

დღისით თამარას პატარა ბიჭი იკლებ-  
და ხმაურით, სიცილითა და თამაშით სახ-  
ლსა და ეზოს. გაზაფხულობით ყვავილე-  
ბის სურნელი იფრქვეოდა ეზოდან სახლში,  
სახლიდან ეზოში. ზაფხულის საღამოებიც  
კი ისეთი მყუდრო და თბილი იყო...

მერე ომში წავიდა თამარას ქმარი. წა-  
ვიდა და წლების დიდმა მოლოდინმაც ვერ  
დააბრუნა უკან... იმედიც რწმენაა, მაგრამ  
სიცარიელე და თამარაც წლობით დასტი-

როდა ქმრის ცარიელ საფლავს, სოფლის  
ბიჭებს რომ გაათხრევინა მისი წინაპრების  
საფლავებს გვერდით. თითქოს მხოლოდ კე-  
დელზე დაკიდებული სურათი არ კმაროდა  
გლოვის შესახსენებლად. ცარიელ საფლავს  
ჩასძახოდა დარდებს და თავს აჯერებდა,  
რომ მისი შვილის მამა ესვენა იმ მკრთალი  
მინის ქვეშ. არწმუნებდა შვილსაც, რომ მო-  
ლოდინით არ ამოვსებოდათ თვალები. ლო-  
დინი ხომ მხოლოდ ტკივილია და შფოთვა.  
ღამეში ჩატანებული სევდასავით ხდება  
ცხოვრების ნაღველი და უსიზმრობის კი  
არა, სიზმრებისაც კი ეშინია ადამიანს...

მერე გაზაფხულივით უცებ ჩაიარა  
წლებმა და თამარას ბიჭიც წავიდა სახლი-  
დან. თქვა, რომ სოფელი მძიმეა და ქალაქ-  
ში უფრო ადვილია ცხოვრება. ზურგზე წა-  
მოიკრა იმედები და კარიც არ გაუხურავს,  
ისე დატოვა სახლი. ლოცვა გააყოლა თამა-  
რამ და სევდაჩამდგარი, ცრემლიანი თვა-  
ლები. იმ დღიდანვე ჭიშკარს მიაჭედა თით-  
ქოს მოლოდინის გრძნობა და როცა სახლში  
შებრუნდა, გატეხილი სიმყუდროვე დახვდა  
იქ. შემცივნილი ხელით გადაშალა სახეზე  
ლიმილის კვალი და ოთახში ცარიელი აკვა-  
ნივით დაარწია სინანული.

მწუხრის ფერები შეეკიდა სახლსაც.  
მიხვდა, ძველებურად აღარ იქნებოდა აღა-  
რაფერი... აზრწართმეული, მძიმე დარდით  
მიჰყვებოდა წლებს თამარა და ამ დარდებს  
დრო ღრმა ხაზებად ულაგებდა სახეზე.  
მხოლოდ დროდადრო გაეხსნებოდა შუბ-



ლი, როცა წერილი მოვიდოდა ქალაქიდან. ღიმილებს დაიკრეფდა ტუჩის კუთხეში და ხმამაღლა საუბრობდა საკუთარ თავთან და სახლთან...

დრო მოგონების კადრებივით ცვლიდა ფანჯრის იქით ფერებს, სახლის შიგნით კი გაზაფხული აღარ შემოსულა, მხოლოდ ნესტი, წვიმა და ზამთარი – ყინულის ცივი ხელებით.

ხის კედლებივით გამოეფიჭა სული თამარას. წელში მოიხარა, თითქოს მთელი სოფლის დარდი წამოჰკიდეს ზურგზე. თვალელებში დაუშრა სიცოცხლის წყარო და მხოლოდ მოლოდინი დატოვა უცვლელად ჭიმკართან აჭედებული...

სახლიც ელოდა... სანთლის ალივით გაკრთებოდა ხანდახან მის ფანჯრებში რაღაც ნაპერწკალი, როდესაც გზაზე მგზავრის ნაცნობ ჩრდილს დალანდავდა...

მათი მოლოდინი ერთმანეთს ჰგავდა, მსგავსი მწუხრის თვალეებითა და უნებურად წამოსროლილი ოხვრით.

დრო მარტოობაშიც სწრაფად ილეოდა და თამარა ფიქრობდა, რომ სარკე აბერებდა მას, მაგრამ მერე სარკეშიც ვერ ხედავდა განსხვავებას, ახალგაზრდობასა და სიბერეს შორის რაღაც ნათელი მოგონებები დაეკარგა და მუდამ ასეთად ახსოვდა უკვე საკუთარი თავი – შუბლზე ლიანდაგებივით ჩანყობილი ღრმა ნაოჭებითა და დამჭკნარი ხელებით...

...სახლიც დაჭკნა, ოდნავ მოიხარა სიძველისგან, ბოძს დაეყრდნო თითქოს და ფანჯრები – ფართოდ გახელილი თვალეებივით ამოულამდა...

რაღაც უაზრო მოლოდინში კი არ ილეოდა ცხოვრება, ამ მოლოდინს მიჰყავდა კედლის ძველი საათის ისრებიც კი. ეს მოლოდინი რომ არ ყოფილიყო, ალბათ არც არაფერი არ იქნებოდა.

ფანჯრის იქით ხან ღამე ჩამონყდებოდა, ხან განთიადი ივარცხნიდა მზისფერ თმებს,

ხან, უბრალოდ, ნაცრისფერი იყო დილაც და ღამეც...

ზამთრის გაქურდულ საღამოებში ქარი კედლებზე ამსხვრევდა ფრთებს, ფანჯრებს ენარცხებოდა ხის ტოტებით, სახლის სახურავზე არბევდა კრამიტს და ბოლოს, დაღლილი, აივანთან წვებოდა უპატრონო ძაღლივით.

ქართან ერთად იხრწნებოდა თოვლი, წლებისგან გაცვეთილ აივანზე...

სარკმელთან ძველი სამყარო კვდებოდა. კვდებოდა თამარას ძალამილეულ სხეულთან ერთად... დრო სულს უკორტინდა თვალეებიდან და მოლოდინის ყველა მოგონებას ჰპარავდა. სიმარტოვეში ირწეოდა სახლი და ავის მომასწავებლად ჭრიალებდა...

ბოლო ამოსუნთქვას ამოაყოლა თამარამ მარტოობის სულიშემძვრელი შიში – სიცარიელის მომაკვდინებელი გრძნობა. სახლის კედლები იდგნენ მხოლოდ ჭირისუფლებივით, გვერდიგვერდ, ნაცრისფერი მწუხარებით... განწირულად კიოდა სხვენში გამოკეტილი ქარის ნაგლეჯი...

...მერე თითქოს ერთი კი არა, მრავალი მწუხრის ჭიშკარი გაიღო ხმაურით და ნაქცეული ღობის იქით ის ბობოქარი სოფელი თითქოს ერთიანად დაეტია ძველ სახლში, აივანსა და ეზოში.

მოვიდნენ და მწუხრის თავშეშობით ჩამოსხდნენ დედაბრები. შეზეპირებული გოდებით დაიტირეს თამარა. მერე გულიდან მოგლიჯეს თითქოს სახლს მისი გამოფი-



ტული, უსულო სხეული და ქარიშხლის ღრიალში დამარხეს სოფლის ძველ სასაფლაოზე...

სიმუქეში, მარტო დარჩა სიმარტოვის სახლი. უარყოფილი და დამსხვრეული... ადამიანზე ცოტა ხნის...

ცივ და ნაცრისფერ საღამოებში ბორგავდა და ჭრიალებდა, თითქოს ცუდი სიზმრების მოშორებას ცდილობდა, მაგრამ სინამდვილეში, ეს სიზმრები კი არა, მოგონებები იყო. რაც უფრო ნათელი და ლამაზი იყო ეს მოგონებები, მით უფრო მეტად ერეოდა სევდა, მით მეტად უშავდებოდა თვალები და ოხრავდნენ კედლები, ოჰ, როგორ დარდიანად ოხრავდნენ... და სახლს რომ შესძლებოდა, ზამთრის ცარიელ დილას შემცივებულ ჰორიზონტში, დროის ყულფში ჩამოიხრჩობდა თავს...

ბელურები ფრთებით კენკავდნენ სივ-

რცის ნაჭერს, როდესაც დაგვიანებული, თითქმის დავინწყებული გაზაფხულივით შემოვიდა ბებერ სახლში თამარას შვილი. სიმარტოვის სურნელით გაჟღენთილ კედლებს შეავლო თვალი, ძველისძველ აივანზე აბრაახუნა ნაბიჯები. მერე დანგრეული საძირკვლის ძირში მიწას დააფურთხა სიბრაზე და ისევ განცდების გარეშე დატოვა სახლი. ამჯერად უკვე მოლოდინის გარეშე... და სახლი მიხვდა, რომ არაფერი აღარ გაგრძელდებოდა. მოგონებები ნედლი შემასავით მძიმედ და მტკივნეულად დაიჩეხა და აქეთ-იქით გაიფანტა სინანულის ნაფოტები...

ქარიშხალი ღრიალებდა ფანჯრებს იქით და ფანჯრებს აქეთ, ბუხართან ბებერი ძალივით იწვა სიბნელე, კედლებში კი ცნობისმოყვარე თვალებივით მოსჩანდა ცის ნატეხი...

## დიღები თამაშობენ ომობანას...

ზაფხულის არდადეგებზე ყოველთვის დეიდასთან ვარ გორში. ყოველ საღამოს უბანში ვთამაშობთ ბავშვები. დღისით ომობანას, საღამოთი კი დახუჭობანას, რადგან საღამოში უფრო ადვილია დაიმალო და დიდხანს ვერ გიპოვონ ან სანამ გიპოვიან, სახლში მოგინოს წასვლა.

მხოლოდ რამდენიმე ბავშვი დავრჩით უბანში. დანარჩენები ქალაქისკენ გაემგზავრნენ. საღამოს მამა ჩამოვა და მეც შინ წამიყვანს, თბილისში.

გუშინაც აქ ვიყავით. დღესაც აქ ვართ. გოგონებსაც უნდათ ჩვენთან ფეხბურთის თამაში, მაგრამ გელამ უთხრა ეგ მარტო ბიჭების თამაშიაო. ნატომ დაითანხმა, თუ ომობანას ვითამაშებთ, ხვალ ნაყინს ვაყიდინებ ყველასთვის მამასო.

ბიჭები სათამაშო იარაღებით დავრბივართ და გოგონებს ვიჭერთ, ტყვეთა ბანაკს ვმართავთ ალვის ხესთან და იქ გადაგვყავს ხელშეკრულები. მერე გოგონები გარბიან, ისევ ვიჭერთ. ზოგს გაქცევისას ვესვრით, მერე „დაჭრილებს ვმკურნალობთ“ და ისევ ბანაკში მიგვყავს.

ჩვენი კორპუსის სკამთან მოხუცები წარდს თამაშობენ. გვეძახიან და ხელით გვანიშნებენ ჩუმად ცოტა, ძალიან ხმაურობთო. ჩვენ თამაშს განვგარძობთ.

გზიდან სულელი ტატო მორბის ხელეების ფართხალით და ჩვენზე ხმამაღლა ის ღრიალებს: მოდის! მოდისო! მაგრამ ყველამ იცის, ტატო გიჟია და ყურადღებას არ ვაქცევთ.

რამდენიმე ხნის თუ წუთის მერე შორი ხმაური ისმის. ვერც ვხვდები, რა ხმაურია. ალბათ, ვერც ვერავინ ხვდება, იმიტომ რომ სახეზე ყველას ერთნაირი გაკვირვება აღბეჭდვია. ძალიან გაჩუმდა გარშემო ყველაფერი, მაგრამ ის ხმა ისევ ისმის. რალაცნაირად დახშულად გუგუნებს თითქოს ცა და მიწისძვრაა, მაგრამ მიწისძვრაც არაა. დეიდა მესამე სართულის ფანჯრიდან მეძახის რალაცას, მაგრამ, ვერ ვხვდები, რას. ადგილზე ვარ გაქვავებული რალაც უცნაური მოლოდინით. ნატო და ნინო სადარბაზოსკენ გარბიან.

პირველად ვნახე თვითმფრინავები ასე ახლოს. ჩვენკენ მოფრინავდნენ ძალიან

სწრაფად. ბიჭებმა ხელების ქნევა დავიწყეთ ჰაერში და მთელი ხმით ვყვიროდით, თან ვიცინოდით: – აეეეე!

უცებ თითქოს ცამ პირი გააღო, იქიდან ყრუდ წამოვიდა რკინის დიდი ტყვიები და ჩვენს კორპუსს დაეძგერა. საზარლად დაიგრუხუნა რამდენჯერმე. ფანჯრები ჩაილენა მთლიანად და იქიდან ცეცხლის ენები გამოვარდა – თითქოს მთლიან კორპუსს ლოკავდნენ.

ყურებზე ავიფარე ხელი და მინაზე დავეცი შიშისგან. ძალიან შემეშინდა. რალაც საშინელება ხდებოდა და მეშინოდა თვალეზის გახელა და ამის დანახვა.

ზურგზე რალაც მწველი დამეცა და იძულებული ვიყავი, ხელებით მომეშორებინა – ცეცხლი ეკიდა და შემეშინდა, მეც არ წამკიდებოდა. ირგვლივ თითქოს ყველა ერთდროულად შეიშალა. ყვირილით გარბოდნენ აქეთ-იქით.

ისევ ცას ავხედე. თითქოს კვამლმა ჩამოხია მზე, ისეთი მონყენილი და უბედური ჩანდა. მერე ზეცა დატრიალდა და ბასრი ფრჩხილებით მომაფრინდა თვალეზზე მინა.

ისევ ძირს დავეცი. თვალეზს ხელებით ვიფშვინტდი. რკინის და სისხლის სუნი მომხვდა ცხვირზე. პირველად ვიგრძენი როგორი უგემური სუნი ჰქონია სისხლს.

ხმაური აღარ წყდებოდა. როგორღაც გავახილე თვალეზი. საშინლად მენვოდა, მაგრამ მაინც და გელა დავინახე. მუხლებზე დაჩოქილიყო და სისხლიანი ხელებით გიოს ებლაუჭებოდა ტირილით. გიო მინაზე იწვა. ცალი მხარი აღარ ჰქონდა სხეულზე. სისხლისგან მოსვროდა სახეც. თვალეზი ღია ჰქონდა და ვიფიქრე, ცოცხალი იყო, მაგრამ

გელას ყვირილზე ხმას არ იღებდა.

შიშისაგან ადგილზე გავქვავდი. გულისცემას სხეულის ყველა ნაწილში ვგრძნობდი – თავში, საფეთქლებთან, მკერდში, ხელებში... მუხლები არ მემორჩილებოდა და ადგილზე ვიკეცებოდი. არ ვიცოდი, რა გამეკეთებინა. მტვერსა და კვამლში სუნთქვა მიჭირდა. თვალეზიც ისევ მენვოდა. ყველაფერი ეს ისეთი საზარელი იყო... მიკვირდა გარშემო სამყარო. რალაც ტკაცუნებდა, ილენებოდა, გრგვინავდა და იშლებოდა. მინას ეკვროდა ყველაფერი და თითქოს მინასაც ჭყლეტდა.

მაღაზიის გამყიდველი ბიჭი მოვარდა ჩვენთან და ხელში აიტაცა გიო. დაგვიყვირა: ჩქარა, გაიქეცი, თავი შეაფარეთო.

მე და გელა გავიქეცი. ყელში რალაც მებჯინებოდა და ცრემლი მომდიოდა. გელაც ტიროდა. ფეხებში რალაც ნამტვრევები გვედებოდა, მაგრამ მაინც გავრბოდით.

გზადაგზა ცრემლი მოვიწმინდე. ახლა უკეთ ვხედავდი, გარშემო რაც ხდებოდა. თითქოს ჯოჯოხეთი მოვიდა ჩვენთან, მუჭში მოგვიმწყვდია და შეჭმას გვიპირებდა. გავრბოდით და მაინც ყველგან ის იყო.

მერე უკან მოვიხედე და გამიშვლებული სამყარო დამხვდა. მესამე სართულის ფანჯრიდან, დეიდა რომ მეძახდა ხოლმე, ახლა ცეცხლი მიყოფდა ენას. კვამლში იყო კორპუსი გახვეული. გარშემო დამტვრეული ასფალტი ეყარა, ხეები იწვოდა, მტვერში და ნანგრევებში ადამიანები იწვნენ სისხლიანი და დაფლეთილი ტანსაცმლით. ყველა ყვიროდა.

მეგონა, ცუდ სიზმარს ვხედავდი, ისეთს, როგორიც ფილმებშია, მაგრამ თავი ძალი-



ან მტკიოდა და ვხვდებოდი, რომ მთლად სიზმარიც არ იყო. ნანგრევებზე ქალი იჯდა და მიშველეთო, ყვიროდა, ვერ დგებოდა და ხელს იწვდიდა, მაგრამ ყველას ეშინოდა და გარბოდა, ვისაც შეეძლო. ვილაც მივიდა და სურათებს უღებდა, მერე ისიც გაიქცა.

გვერდიდან რაღაც მძიმედ დამეჯახა ხმაურით. მზე დატრიალდა და ვერც მივხვდი, როგორ დავეცი მტვერში...

ხმაურმა გამომაფხიზლა. ისევ გრუხუნებდა რაღაც, ოღონდ ამჯერად ცა კი არა, მიწა. ყურთან მწვავე ტკივილი ვიგრძენი. ხელი ვიტაცე – მაგრამ ნახევარი ყური აღარ მქონდა და სისხლი წყალივით მდიოდა. მეუცნაურა ჩემი სხეული. მგონი, ვყვიროდი. მგონი, მერე ისევ გავრბოდი. ვიცი, რომ ვტიროდი, ცრემლების მლაშე გემო მახსოვს, სისხლთან ერთად ვყლაპავდი.

საბოლოოდ გონს ვილაცის სახლის სარდაფში მოვედი. ღვინისა და ხილის სუნი იდგა. ყველაფერი მტკიოდა. მოხუცი ხალხი მედგა თავს. კიდევ ქალი და ორი ჯარისკაცი ავტომატებით ხელში. კარს დარაჯობდნენ. გელაც იქ იყო. მოვიდა და ჩამეხუტა. ტიროდა: – რომ წაიქეცი, მეგონა მოკვდიო. მეც ვტიროდი.

ყურთან მოვისვი ხელი. ნაჭრით მქონდა ახვეული. სისხლი აღარ მდიოდა, თუმცა მტკიოდა და ცუდად მესმოდა სიტყვები, მაგრამ ჯარისკაცების საუბარს კარგად ვიგებდი. წითურმა თქვა: – დავიცადოთ კიდევ ცოტა ხანს, მთავარია ესენი ეკლესიამდე მივიყვანოთო.

შავგვრემანმა უთხრა – ყურადღებით იყავიო. ახალწვეულები წამოიყვანეს და მეორე ჯგუფს რომ შეხვდნენ, რუსები ეგონათ დაერთმანეთს დაუწყეს სროლაო.

წითურმა ბრაზით გადააფურთხა და: – ამის დედაც!.. უკვე წაგებულ ომში გამოგვგზავნესო.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიცდიდით. მე წამომაყენეს და მკითხეს: სიარული შეგიძლიათ? თავბრუ მეხვეოდა, მაგრამ არ ვუთხარი. თავი დაფუქნიე მხოლოდ. ძალიან მომინდა ჩემს სახლში ყოფნა დედასთან და მამასთან.

მერე ჯარისკაცებმა სარდაფიდან გაგ-

ვიყვანეს და გვითხრეს, სწრაფად იარეთ, ერთმანეთს არ ჩამორჩეთო. თუ რამეა, გაიქეცითო, – წითურმა: ოღონდ არ იყვიროთ და უკან არ მობრუნდეთო.

ყველანი ზურგში მოხრილები, ჩქარი ნაბიჯით უსიტყვოდ მივდიოდით. ერთ-ერთი ქუჩის მოსახვევიდან სხვა ჯარისკაცები გამოჩნდნენ ავტომატებით და ყვირილი ატეხეს, ოღონდ ქართულად არა, სხვა ენაზე ყვიროდნენ რაღაცას. მერე ჯარისკაცებს კი არა, ცოფიან ძაღლებს დაემსგავსნენ და სროლა დაგვიწყეს.

– უკან გაიქეცითო, – დაიყვირა შავგვრემანმა ჯარისკაცმა და მანაც დაუნყო სროლა.

გავრბოდით. მერე ტყვიები დაგვეწია და გარშემო ყველა დაეცა. მე კი ისევ გავრბოდი. ალბათ, ძალიან პატარა ვარ და ტყვიამ იმიტომ ვერ დამიჭირა, ვერ მიპოვა. მიწა ძალიან დამძიმდა. ან ფეხები დამიძიმდა დაღლილობისგან, ან დედამინას მოემატა მიზიდულობის ძალა. სახლის ჩამოშლილ კედელს ამოვეფარე, გული საგულეში აღარ მეტეოდა. ხელს ვაჭერდი, რომ გამეჩუმებინა.

სროლის ხმა აღარ მესმოდა. ქუჩაზე გადავედი და უფრო მყუდრო ქუჩით წავედი. არც კი ვიცი, საით. გზაზე მკვდარი ადამიანები იწვნენ სისხლის გუბებში. შეიძლება, ცოცხლებიც იყვნენ, არ ვიცი. მეშინოდა და ახლოს ვერ მივდიოდი. ზოგი პირქვე იწვა, ზოგიც ზურგზე, მაგრამ ადამიანებს აღარ ჰგავდნენ. ზოგს ყბა მოგლეჯოდა, ზოგს ხელი და ფეხი არ ჰქონდა. ერთთან ძალღიწვეულებად და სისხლიან სახეს ულოკავდა, დაფლეთილ სისხლიან ხელებს თათით უფხოჭნიდა. ალბათ, პატრონი იყო. ერთი სახლის ლობესთან კი პატარა გოგონა იწვა, იქვე სკამზე ქალი იჯდა და ტირილით რაღაცას ყვიროდა. ხელებს მუხლებზე ირტყამდა და სახეს იკანწავდა...

ეზოში ონკანი დავინახე და მისკენ წავედი, მაგრამ ვილაცამ ხესთან ფეხში მტაცა ხელი. წავიქეცი. მოვიხედე და კაცი დავინახე, დაჭრილი. ყელიდან სისხლი მოსდიოდა. ერთ ხელს ყელზე იჭერდა, მეორეთი კი ფეხზე მექაჩებოდა. ძალიან შემეშინდა.

თვალეშიც თითქოს სისხლით ჰქონდა სავსე.

– რატომ, ღმერთოოო! – ხრიალებდა და წამოდგომას მიშლიდა.

ვცადე ხელი გამეშვებინებინა, თან ვყვიროდი: – ღმერთი არა ვარ! ნოდო ვარ! ნოდო ვარ!

ის უცებ გაჩუმდა. გაშეშდა და გვერდზე გადაწვა ხესთან. ხელიც გამიშვა. ისევ გავიქეცი.

ისევ დიდ ქუჩაზე მოვხვდი. თითქოს რაღაც ხმაური მომდევდა, მაგრამ, როცა ტანკები დავინახე, მივხვდი, უკან კი არ მომდევდა, წინ დამიხვდა. გვერდზე ჯარისკაცები მოჰყვებოდნენ და ხანდახან ჰაერში ისროდნენ ავტომატებიდან.

ადგილზე გავშეშდი ტანკის წინ. ტანკიც გაჩერდა. ვილაც ჯარისკაცი ჩამოხტა იქიდან. რაღაცას მეუბნებოდა სხვა ენაზე, მაგრამ ვერ მივხვდი. მერე მეორე მოვიდა, ჩატეხილი კბილებით იცინოდა, რაღაცას მინვდიდა. უკან გავიჩიე. გაშლილი ხელი სახეში შემომარტყა. მინას ცხვირ-პირით დავასკდი. ცხვირიდან სისხლი წამსკდა. ისევ პირველი ჯარისკაცი მოვიდა და ფეხზე წამომაცუნა. ჩუმად ვტიროდი და ხელზე ვიჭერდი კბილებს, რომ ხმამალა არ მეყვირა და ისევ არ დაერტყათ. ჯარისკაცი რაღაცას მეუბნებოდა. ვერ გავიგე. წყალი მომანოდა. არ გამოვართვი. იქით წადიო, მანიშნა და ხელით პირფარას იწერდა, იქითააო.

უკან დავიხიე ნელ-ნელა. ისევ მანიშნებდა: წადიო. დანარჩენი ჯარისკაცები გზადაგზა სახლებში შედიოდნენ და რაღაც ნივთები გამოჰქონდათ, ის კი ტანკთან იდგა და ხელით მანიშნებდა. მოვტრიალდი და ჩქარი ნაბიჯით წავედი. მეშინოდა, თუ გავიქეცოდი, მესროდნენ. ხელებს ცხვირზე ვიფარებდი. სისხლი ნელ-ნელა შემიჩერდა. მოვეფარე თუ არა ქუჩიდან, ჩამოშლილ სახლთან გავიქეცი და ნანგრევებში შევძვარი. მუხლები დამეგლიჯა, ხელებიც. რაღაც მახრჩობდა. ძალიან დავილაღე და მწყუროდა, მაგრამ ნანგრევებიდან აღარ მინდოდა გამოსვლა. არც გამოვსულვარ. არც მაშინ,

როცა დაღამდა და არც მაშინ, როდესაც რამდენიმე ადამიანი ჩაიარა ნანგრევებთან. ქართველები იყვნენ.

ერთი ამბობდა: – დამასწრეს, თორემ ბლომად ჯართი გამოვიდოდა, ბომბის ნაწილები არ გაფანტულა ძალიანო.

მეორემ უთხრა: – მეც კარგად ბლომად მომიგროვდა. შენ მარტო დატვირთვამი მომეხმარე და ისე არ დატვირთვებო.

...დიდხანს ვტიროდი, მერე დავილაღე და ჩამეძინა.

სიცხემ გამაღვიძა. წვლებით გამოვძვარი ნანგრევებიდან.

ცხელოდა თითქოს, მაგრამ მე შემცივდა. გადამწვარ სახლებს, ხეებსა და არეულ ქუჩებს ვხედავდი და თვალეში მეხუჭებოდა. ისე ძალიან დავილაღე, ისე ძალიან. მხოლოდ ცოტა წყალი მინდოდა და დანარჩენი სულერთია ყველაფერი.

უკვე აღარც შიშს ვგრძნობ, აღარც ტყვიები მადარდებს. სულერთია ეს ომი, რომელსაც დიდები თამაშობენ. ეს მოწყენილი მზეც სულერთია. მხოლოდ წყალი დავლიო და მერე დავიძინებ. ძალიან დიდხანს დავიძინებ. დედას, როცა ვერ გამაღვიძებს, ალბათ, ეგონება, რომ მოვკვდი, მაგრამ არა უშავს, მაინც დავიძინებ...

წინ რაღაც გამოჩნდა. ბუნდოვნად ვხედავ რაღაც მოსიარულე სხეულებს. ისევ ჯარისკაცები. ჩემკენ გამორბიან და ისევ ყვირიან რაღაცას... მერე ნაცნობი ხმა მესმის: – ნოდო, ნოდიკო, შვილო!

თბილი ხელები მეხვევა, ზევით მიტაცებს და გულში მიკრავს. მის შემოხვეულ მკლავებში ვგრძნობ, რომ უკვე სახლში ვარ. დაღლილი ხელებით გაჭირვებით ვეხვევი კისერზე ჯარისკაცს და სანამ გონებას დავკარგავ, ვჩურჩულებ: მამა, მამიკო, ჩემო მამიკო...

პირველად მესმის, როგორ ტირის მამა. ძლიერად მიხუტებს და შეხვეული ყური მტკივა, მაგრამ არა უშავს. მთავარია, მამა აქაა – ჩემი თავშესაფარი. მთავარია, ვიცი, რომ ომი დიდებმა გამოიგონეს, როცა სიმშვიდე მობეზრდათ და მე აღარასოდეს! აღარასოდეს აღარ ვითამაშებ ომობანას!..

პავლე ჭავჭავაძე

ბაბაბი და შვილები

(ფრაგმენტი რომანიდან „მთები ალაჰისა“)



1854 წლის 3 ივლისს იმამ შამილის რაზმები კახეთში შემოიჭრნენ. მიუხედავად შტაბს-კაპიტან დავით ალექსანდრეს ძე ჭავჭავაძის თავკაცობით განეული წინააღმდეგობისა, მათ დაარბიეს და გადაწვეს სოფლები: შილდა, გრემი, ენისელი (შილდასთან გამართული გმირული ბრძოლისათვის დავით ჭავჭავაძეს ებოძა პოლკოვნიკის წოდება და რუსეთის იმპერატორის ფლიგელ-ადიუტანტობა).

4 ივლისს მარბიელთა რაზმებმა გადალახეს მდინარე ალაზანი, თავს დაესხნენ სოფელ წინანდალს, გაძარცვეს და გადაწვეს დავით ჭავჭავაძის სასახლე. ამასთან ერთად, ტყვედ წაიყვანეს დავითის მეუღლე – ანა ბაგრატიონი-ჭავჭავაძისა (ერეკლე მეფის შვილიშვილი) და მისი მცირეწლოვანი შვილები: ექვსი წლის სალომე, ოთხი წლის მარიამი, სამი წლის თამარი, ერთი წლის ალექსანდრე და ოთხი თვის ჩვილი

ლიდია (დაიღუპა გზაში); აგრეთვე – დის ოჯახში სტუმრად ჩასული ბარბარე ბაგრატიონი-ორბელიანისა თავისი პატარა ვაჟითურთ და ფრანგი გუვერნანტი, გვარად დრანსე. დატყვევებულ მსახურ-მოახლეებსა და წინანდალის მცხოვრებთ ხომ თვლა არა ჰქონდა.

როგორც ცნობილია, თავად ჭავჭავაძეთა ძირძველმა საგვარეულომ ორი დიდებული სახელით დაამშვენა ქართული მწერლობა. ალექსანდრე ჭავჭავაძის წინანდალი და ილია ჭავჭავაძის ყვარელი გამორჩევით არის აღბეჭდილი საქართველოს ლიტერატურულ რუკაზე.

და აი, უკვე XX საუკუნეში კიდევ ერთი ჭავჭავაძე შეემატა მწერალთა რიცხვს, ოღონდ იგი ქართველ მწერლად ვერ ჩაითვლება. მართალია, საქართველოში (და კერძოდ, წინანდალშიც) არის ნამყოფი, მაგრამ ცხოვრების უმეტესი ნაწილი გაატარა ამერიკის შეერთებულ შტატებში და წერდა ინგლისურ ენაზე.

ამერიკელი მწერალი პავლე ჭავჭავაძე (1899-1971) გამოჩენილი ქართველი პოეტიკა და რუსეთის არმიის გენერალ-ლეიტენანტის ალექსანდრე ჭავჭავაძის შთამომავალთა მეოთხე თაობის წარმომადგენელია. მისი დიდედა ყოფილა ალექსანდრე ჭავჭავაძის შვილიშვილი მარიამი, გატაცებული წინანდალიდან 1854 წელს, ხოლო პაპა იყო ზაქარია გულბათის ძე ჭავჭავაძე, რუსული კავალერიის გენერალი. მას ცოლად შეურთავს თავისი მოგვარე – ზემოხსენებული მარიამი. ასე რომ, ამერიკელი მწერალი ჭავჭავაძეთა საგვარეულოს ორი ცნობილი შტოს ნაშვიერია.

ქართლ-კახეთის უკანასკნელი მეფის გიორგი XII-ისა და ალექსანდრე ჭავჭავაძის

შვილთაშვილი პავლე ჭავჭავაძე, დაბადებული და გაზრდილი სანქტ-პეტერბურგში, გენერლის ოჯახში, 1917 წლის დამლევს რევოლუციური რუსეთიდან გამოიქცა და ჩამოვიდა საქართველოში, გარკვეული ხნის შემდეგ კი ინგლისს გაემგზავრა სწავლის გასაგრძელებლად და დაამთავრა კემბრიჯის უნივერსიტეტის ტრინიტი-კოლეჯი.

1922 წელს პავლე ჭავჭავაძემ ცოლად შეირთო რუსეთის დიდი მთავრის – გიორგი მიხაილოვიჩის უფროსი ასული, სახელად ნინა. მისი პაპა მიხეილი (1832-1909) კავკასიის მეფისნაცვალის იყო 1863-1881 წლებში და ცხოვრობდა თბილისში. სწორედ მისი თაოსნობითა და გარჯით განაშენდა და დამშვენდა ქალაქი ბორჯომი, სადაც 1901 წელს დაბადებულია ნინა გიორგიევნა.

1927 წელს პავლე ჭავჭავაძე დასახლდა შეერთებულ შტატებში. წლების მანძილზე მოღვაწეობდა ამერიკული წითელი ჯვრის ორგანიზაციაში.

1947 წლიდან ხელი მოჰკიდა მწერლობას. პავლე ჭავჭავაძის ნაწარმოებთაგან განსაკუთრებით აღსანიშნავია რომანები „რამეთუ იდგა შავბნელი ღამე“ (1966), რომელიც მოგვითხრობს 1917 წ. თებერვლისა და ოქტომბრის რევოლუციების ამბებს, და „მთები ალაჰისა“ (1952), სადაც აღწერილია წინანდელ ტყვეთა თავგადასავალი დღიდან გატაცებისა ვიდრე 1855 წლის 10 მარტამდე, როდესაც ისინი გადაცვალეს შამილის უფროს ვაჟზე – ჯემალედინზე, ბავშვობისას მძევლად რომ იყო წაყვანილი სანქტ-პეტერბურგს და იმხანად უკვე რუსეთის არმიაში მსახურობდა (პორუჩიკის ჩინით).

მთავარი გმირი – ფრანგი გუგერნანტი ანა დრანსე, სხვა პერსონაჟთაგან განსხვავებით, რომანში გამოყვანილია სხვა სახელითა და გვარით – ზოია დიუვალი.

თავის ზამთრის სასახლეში ესვენა მიცვალებული ნიკოლოზ პირველი, იმპერატორი სრულიად რუსეთისა.

ზოგნი ამბობდნენ, თავი მოიკლაო, რათა თავისი ვაჟიშვილისა და ტახტის მემკვიდრე ალექსანდრესთვის გზა გაეხსნა დასადებად ზავისა, რომელიც საკუთარ თავს საზეიმო ფიცით აუკრძალა. ომის დაწყებისას პირქუშად იკვებნინდა: „გენერლები იანვარი და თებერვალი ჩემი უძლიერესი მოკავშირენი იქნებიან“, მაგრამ ორივე „გენერალმა“ პირი გაუტეხა. ამასთან, რუსის ჯარმა, რომელსაც ებრძანა, დაუფლებოდა ევპატორიას, ევროპელთა ძალების მიერ აღებულ პირველ ყირიმულ ქალაქს, ვერ იმარჯვა და მიზანი მიუღწეველი დარჩა და თოვლით გადაპენტილი გზები რუსეთისა მოფენილი იყო რუს მეომართა გვამებით, რომლებიც ყირიმისაკენ მსვლელობისას გაეჟუჟა ყინვასა და შიმშილს. ეს გახლდათ ხორცშესხმა მისი მარცხისა, რამაც რკინის იმპერატორი სულით დასცა; და როდესაც „გენერალ თებერვლის“ დარტყმა იგემა, განზე მოისროლა თავისი სიცოცხლე, რასაც მცირე ნუგეშისცემაც კი გადაარჩინდა.

თითქმის ოცდაათი წელიწადი ნიკოლოზს რკინის ხელით ეპყრა რუსეთი. მოს-

ვენებას არ აძლევდა მეხსიერებაში ღრმად ჩაბეჭდილი დეკემბერი 1825 წლისა, როდესაც თავისი მეფობის დასაწყისშივე ჩააქრო არმიის აჯანყება იმათი თავკაცობით, კონსტიტუციას რომ მოითხოვდნენ. მკაცრი წესრიგი და რეპრესიები მოიშველია, რათა თავისი ქვეშევრდომნი კონტროლქვეშ ჰყოლოდა. დაცვა თვითმპყრობელობისა, რომელსაც, მისი ღრმა რწმენით, ერთადერთს ძალუძდა, ჭეშმარიტი ბედნიერება მოეტანა მშობელი ხალხისათვის, შეიქნა მისი ცხოვრების მიზანი და დაუცხრომლად იღვნოდა საამისოდ. იფიქრებდი, რომ ზღვარდაუდებელი ძალ-ღონის პატრონი იყო. საბოლოოდ მან შეძლო აგება შენობისა მყარი და დიდებული ფასადით. უიღბლო ომის შუა გზაზე ამგვარი მბრძანებლის სიკვდილმა გამოიწვია მომდევნო საზავო მოლაპარაკებანი, რადგანაც ომი არ ეჭაშნიკებოდა ალექსანდრეს, მის შვილს. ყველასთვის ცნობილი იყო, რომ ალექსანდრეს მიზნები სრულიად განსხვავებული იყო და მას სწყუროდა მშვიდობა ამ მიზანთა აღსრულებისათვის. ტახტის მემკვიდრის ოცნება იყო თავისუფლება და ადამიანის უფლებანი, ბატონყმობის გაუქმება და ახალი წყობილების დამყარება, სადაც მეფე და ხალხი

შეძლებდნენ ერთობლივ გარჯას თავიანთი ქვეყნის ასაყვავებლად. დიდი რეფორმების ეპოქა თავს დასდგომოდა რუსეთს.

ყოველივე ზემოთქმული და სხვა უამრავიც უტრიალებდა გონებაში საშას, როდესაც თავის ლეგიონთან ერთად მწყობრში იდგა სასწავლო მოედანზე პატარა დაბის განაპირას. თითოეულ მხედარს გვერდით ცხენი ეყენა. ნიკოლოზის გარდაცვალების ცნობა მარტის დამდეგს მიიღეს; და ლეგიონმა ჯერ ერთგულების ფიცი მისცა ალექსანდრე II-ს, მერე კი განსვენებული იმპერატორის მოსახსენიებელ სამგლოვიარო წირვას დაესწრო. შავად მოფარდაგებულ სახელდახელო საკურთხეველთან მრუმემოვერცხლისფრო ანაფორაში გამონყობილი მღვდელი წამღერებით წარმოთქვამდა მოსახსენებელს, ხოლო ლეგიონის მგალობელთა გუნდი ბანს აძლევდა. რუსული ორთოდოქსული ეკლესიის სამგლოვიარო ღვთისმსახურების მწუხარე, მელოდიური საგალობელი მსმენელს ჟრუანტელს ჰგვრიდა და საშაც, ძალმოსილი და ანკარა ხმების მოსმენისას, გრძნობდა, როგორ უწვავდა მდულარე ცრემლი თვალებსა და ყელს. ლეგიონის დროშები ძირს იყო დახრილი და გუნდი „საუკუნო ხსენებას“ გალობდა. მონაბერი ქარი ზევით მიერეკებოდა მტვრის პანანკინტელა, ბზრიალა ღრუბლებს, მდუმარე და გაშეშებულ ლეგიონს თავზე გადაუქროლებდა და გაშლილი ველის გასწვრივ მიმოფანტავდა. იდგა მტვერი და მიინავლებოდა ლოცვანი, სულის უკვდავებას რომ დაღაღებდა.

როდესაც სამგლოვიარო ცერემონია დასრულდა, ლეგიონის მწყობრი რიგები დაიშალა და საშა სალტიკოვთან ერთად თავის სადგომს დაუბრუნდა, სადაც ჯემალედინის, შამილის უფროსი ვაჟის მოკლე ბარათი დახვდა: „ნეტამც მე ვიყო პირველი, ვინც გაბედნიერებას მოგილოცავს და გადღეგრძელებს“, სწერდა ჯემალი. „თერთმეტ მარტს, დილაადრიან, ქართველ ტყვე ქალებს გაათავისუფლებენ და მათ შორის, რა თქმა უნდა, იქნება ის, ვინც ყველაზე მეტად გიყვარს მთელ დუნიაზე“. ჯემალს,

ჩვეულებისამებრ, ერთი სიტყვაც არ გაემეტებინა თავისი მომავლის შესახებ, თუ არ ჩავთვლით ბოლოთქმას: „მშვიდობით, საშა, მადლობელი ვარ შენი მეგობრობისა, არასოდეს დამავინწყდება, მარადყამს განძივით შევინახავ“ და იქვე – მინაწერი: „ჩემი მოკითხვა სალტიკოვს, უთხარი, რომ თავისი ცხენებითა და ეტლით ახლოსაც არ გაეკაროს მამაჩემის მინა-წყალს“.


საშამ ეს რომ ხმამალა წაიკითხა, სალტიკოვს ხარხარი აუტყდა: „მე ველარ ავიტან ამ გზებს და ამ მთებს. ტახტზე ალექსანდრე ნიკოლაევიჩი რომ ავა, შენ მალე იხილავ შენს ზოიას და მე კი ჩემი კოლომნის გზას გავუდგები“. ესა თქვა და არაყი გადაჰკრა. მერე განმარტა: „სიხარული რომ გავიათკეცო“, და ფიქრიანად დასძინა: „ერთს კი ვიტყვი ამ ბინძურ სოროზე – მსგავსი არაფერი მინახავს. მალე აქაურობას მივატოვებ და მადლობა გამჩენს, რომ ამქვეყნად მოავლინა ჩვენი ბრიგადირი ბარონი ვრანგელი!“

ლეგიონის „ჭირვეული ბავშვი“ ეთქმოდა სალტიკოვს. ყველას უყვარდა იგი მისი კაიკაცობის გამო, მაგრამ იმ დღიდან, როცა მეეტლესავით ჩაცმული ჩამობრძანდა ლეგიონში – ცისფერმუნდირიანი, აყლაყუდა ჟანდარმის თანხლებით, ნაღდად არავინ იცოდა, სად იყო გამწესებული და როგორ მოევლინა მისთვის. სანქტ-პეტერბურგიდან მოაღწია მოკლედ შედგენილმა წარდგინებამ, რომელიც იუნყებოდა, რომ შემდგომ განკარგულებამდე სალტიკოვი უნდა მიეღოთ ნიჟეგოროდის ლეგიონის უმცროს ოფიცრად. აი, სულ ეს იყო ის ოფიციალური ინფორმაცია, რაც მიიღეს, მაგრამ გენერალი ვრანგელი კარგად იცნობდა მამამისს და თავის ფრთებქვეშ შეიფარა ახალწვეული. სწორედ გენერლის შუამდგომლობით სალტიკოვს ებოძა ნებართვა – თავისთვის შეეძინა ეტლი და ცხენები, ხოლო მოგვიანებით მოხდა შეთანხმება, რომ უნდა ემსახურა, როგორც მეკავშირეს ლეგიონსა და ბრიგადის შტაბს შორის. კვირაში სამჯერ დაატარებდა უწყებებს და ერთადერთი, რაც უმღვრევედა სიამეს, ის იყო, რომ ნება



არ დართეს, მეეტლესავით ჩაეცვა. ოფიცრის მუნდირში გამოწყობილს უნდა ეჭენებინა თავისი ცხენები სიდორთან ერთად, რომელიც ახლა მისი დროებითი მხლებელი იყო და ზურგს უკან ეჯდა ეტლში. „მართლაც რომ საუცხოო მგზავრია ეს სიდორი“, – აღმოხდებოდა ხოლმე სალტიკოვს. „თავისი მეეტლისგან ბრძანებებს იღებს და კაპიკსაც არ უხდის!“

ის-ის იყო, ჭიქა უნდა აენია სალტიკოვს, საშას თვალეში გაფანტული გამოხედვა



შენიშნა. „ვხედავ, რომ რაღაც განუხებს. ნაძღვესა ვდებ, რომ ვიცი, რაც არის და მე მგონი, მართალი ხარ. შენ იქ უნდა იყო, როდესაც ტყვეთა გადაცვლა მოხდება და, ეშმაკმა დალახვროს, სწორედ მე ვიქნები ის, ვინც იქით გაგაქროლებს!“ მერე ხელი დაადო მხარზე საშას. „აქ დამელოდე, ჩემო საშა, ვიდრე წავალ და შენი გულისთვის ყველა ღონეს ვიხმარ. ვნახოთ, რა მოხერხდება“.

სალტიკოვმა მხიარულ გუნებაზე დააყენა ლეგიონის უფროსი, რამაც ნაყოფი გამოიღო. საშასთვის ნებართვის მიცემა სიძნელეს არ წარმოადგენდა – ყოველ ოფიცერს ხომ სმენოდა ამბავი მისი სიყვარულისა ზოიასადმი, რომანტიკულ ფერებში ესახებოდათ და მზურვალედ გულშემატკივრობდნენ, მაგრამ სალტიკოვის გასამგზავრებლად არავითარი საბაბი არ არსებობდა და ლეგიონის ადიუტანტმა, ვისაც მან თხოვნით მიმართა, უკემხი პასუხი გასცა, რაზედაც სალტიკოვმა გაიღრჩა. „როგორ არ არის საბაბი, ჩემო მეგობარო, გესმის, მეც შეყვარებული ვარ!“

ადიუტანტს, ცოტა არ იყოს, გესლიანი იუმორის გრძნობა გააჩნდა. მან თქვა: „არ ვიცოდი, რომ შამილმა ტყვე ცხენიც გაათავისუფლა“.

სალტიკოვმა თავი უკან გადაიქნია და გაიცინა. „ოჰ, არა! მე უვალი გზა მიყვარს. ყველგან უვალი გზები! უვალი გზა წააგავს ქალს, ერთი შეხედვით წყნარსა და სანდომიანს, ოღონდ ფრთხილად იყავი! კოლომნის გზა, რა თქმა უნდა, ჩემი ცოლია, მაგრამ უკვე დავშორდი. გზა ბარონ ვრანგელის შტაბისკენ – ნუ მკითხავთ!“ ხელი ჩაიქნია ყასიდი სასონარკვეთით. „ყოველი მოსახვევი ზეპირად ვიცი. ყოველი პანანკინტელა ღრანტეც კი რახანია მეცნობა. კარგად მომეხსენება, როდის უნდა შევაცენო ცხენები და როდის უნდა გავაჭენო. ხანი რომ გამოხდება, ეს უკვე მოსაწყენი ხდება. ათასგვარობა გზისა, სიმრავლე ფერთა არის არსი ბედნიერებისა! ახალი გზებია ჩემთვის სანატრელი და საამური!“

როდესაც ლეგიონის მეთაურმა ეს ყველაფერი მოისმინა, იმდენი და ისე გულიანად იცინა, რომ ცრემლი ჩამოუგორდა ლოყებზე და ხანმოკლე შვებულება უბოძა ორივეს – საშასაც და სალტიკოვსაც.

ცხრა მარტს ჩააღნიეს ჰასავ-იურთში. მთელი გზა ეტლს მიაქანებდა სალტიკოვი. კოფოზე მოკალათებული დროდადრო შეძახილით ამხნევებდა ცხენებს და „იამ-შიკიტა“ ნალვლიან სიმღერებს უმღეროდა. საშას ეკავა უკანა ადგილი, გვერდით პუშ-

კა ეჯდა და პირდაპირ, საბჯენ სკამზე – სიდორი. პუშკა, თავის ნათლიმამურ ზნეთა გამოისობით, მარადუამს ხელს უმართავდა სიდორს და რადგანაც უცილობელი ავტორიტეტით მეურვეობდა ნოვოსელსკ-სალტიკოვების ჯალაბს, სწორედ მანვე იზრუნა, რომ სიდორი გამხდარიყო სალტიკოვის მხლებელი. ამბობდა: „მისი უგანათლებულესობის უწესრიგობას და ბატონკაცურ ოინებს საგანგებო თვალყური სჭირდება. ეს კარგი გამოცდა იქნება სიდორისათვის“.

გეზი აღმოსავლეთისკენ აიღეს, დადესტინის სანახებს უახლოვდებოდნენ და საშა თვალს ვერ აშორებდა მთებს, რომელთაც უნდა გაეთავისუფლებინათ ქართველი ტყვე ქალები. მთელი გზა გაატარა პუშკასთან საუბარსა და სიცილში. კრინტს არა სძრავდა ზოიასთან მოახლოებულ შეხვედრაზე. მოახლოებული სიხარული თავბრუს ახვევდა. და მაშინლა დადუმდა, როდესაც ჰორიზონტზე გამოჩნდა პატარა ქალაქი ჰასავ-იურთი თავისი დაბალი ხის ნაგებობებითა და ბალ-ბოსტნებით. ჩუმად უთხრა პუშკას: „წარმოიდგინე, ზეგ უკვე ჩვენთან იქნება!“ და პუშკამ უპასუხა თავისი ჩვეულის ალლოთი, საშას ბუნებას რომ სწვდებოდა, და სიტლანქით, რაც კიდევ უფრო ბასრი შეიქნა რომანცევოდან დაბრუნების შემდეგ. „ახლა ყველაფერი ეს მოთავდა, ალექსანდრ დმიტრიევიჩ, მე თქვენ გეუბნებით, მოთავდა-მეთქი. დაუდგრომელი ბუნებისა ბრძანდებით. ერთგულება ქალისადმი თქვენ როდი გამშვენებთ. კიდევ კარგი, რომ ზოია ივანოვნა კარგა ხანს თქვენგან შორს იმყოფებოდა. მეტი ფასი დაედება. მისთვის ტანჯვა-წვალება იქნებოდა, თორემ იმასაც კი ვინატრებდი, რომ იქ, ტყვეობაში, უფრო დიდხანს დარჩენილიყო!“

მოულოდნელმა და აუხსნელმა პანიკამ შეიპყრო საშა. მრისხანედ მიუბრუნდა პუშკას. „ენამც გაგიხმეს, პუშკა! ჯერ არაფერიც არ მოთავებულა. კიდევ ერთი სიტყვა რომ წამოროშო, იცოდე, გხეთქავ. ღმერთმანი, სწორედ ეგრე ვიზამ!“

„სანამ ამას იზამდე, ათჯერ თქვი: ჩე-

მი სახელია ალექსანდრ დმიტრიევიჩ ნოვოსელსკი“, – მედიდური გამომეტყველებით უპასუხა პუშკამ.

პანია შავმა ღრუბელმა ორიოდე წუთით დაჩრდილა მზე. მერე თავის გზას გაუდგა. ქარი მთებისკენ მიაქანებდა ღრუბელს, ნაკვთებს უცვლიდა გზაში, ვიდრე დაამსგავსებდა გრძელსა და თხელ სარტყელს, რომელიც მზად იყო, შემოხვეოდა უახლოესი მთის მწვერვალს. ამასობაში მიაღწიეს თავად დავით ჭავჭავაძის სახლს ჰასავ-იურთში და საშას თითქმის დაავინწყდა ინციდენტი.

ეს ის დღე იყო, ზოიამ კარიმატთან რომ გაატარა ნაშუადღევი.

საშა წინასწარ ტკბებოდა ჯემალედინთან ხანგრძლივი საუბრის მოლოდინით, მაგრამ, როგორც კი თვალი შეავლო მეგობარს, მყისვე მიხვდა, რომ მის სურვილს ასრულება არ ეწერა. ხორცდაყრილი ეჩვენა ჯემალი, ლოყებს ფერი წასვლოდათ, თვალეში კი მორჩილებისა და გაუცხოების ელფერი გასჩენოდა. გულახდილი საუბარი საშასთან მხოლოდ შეაცბუნებდა იმ მშვიდობას, თავის სულში რომ იპოვა. იმ დღეს ხელსაყრელი წუთიც კი არ წამოჭრილა სასაუბროდ. მნახველები უწყვეტ ნაკადად მოედინებოდნენ, რათა მიელოცათ თავადი დავითისათვის მოახლოებული დაბრუნება მისი ოჯახისა შამილის ტყვეობიდან და, იმავდროულად, გზა დაელოცათ ჯემალედინისათვის, რომელიც სამშობლოში ბრუნდებოდა ხანგრძლივი განშორების შემდეგ და იმ საღამოს ყველანი ეწვივნენ შინ თავად ბაგრატიონ-მუხრანსკის, ამ სექტორის ჯარების სარდალს, რომელიც გამოსათხოვარ წვეულებას უმართავდა შამილის უფროს ვაჟს. ქალებს ეცვათ გულამოჭრილი საღამოს კაბები, კაცებს კი ამშვენებდათ ორდენები და ჩვეული მოკაზმულობა. საშა გულდასმით აკვირდებოდა ჯემალს – ეს ხომ აღარასოდეს მოუწევდა. ჯემალი რჩებოდა მშვიდი, შესაძლოა ცოტა გულგრილიც, მაგრამ მისი ქცევა ბუნებრივი იყო და წყნარი თავაზიანობით ელაპარაკებოდა

სტუმრებს. მხოლოდ წვეულების დასასრულს გამოამუღავნა რაღაც გრძნობა.

თავადი ბაგრატიონი წამოდგა, მისი აწონილი ფიგურა კომპივით აღიმართა სუფრაზე. გრძელი, თხელი ცხვირი ხაზს უსვამდა მისი პირისახის სიგოროზე. მან მოკლე სიტყვა წარმოთქვა ჯემალედინის პატივსაცემად, მერე ფანჯრის მახლობლად მოთავსებული ტაბლისაკენ გაემართა, ხელი სტაცა და ამოინვადა ქარქაშიდან ხმალი, რომელსაც ძველი სპარსელი ოსტატის ხელით მდიდრულად შემკული პირი ჰქონდა, ეკუთვნოდა თავადის წინაპარს, საქართველოს ერთ-ერთ მეფეთაგანს ბაგრატიონთა საგვარეულოდან. ქართველმა თავადმა ხმალი ჯემალედინს გაუწოდა და უთხრა: „მიიღე ეს ხმალი ჩემი სიყვარულისა და პატივისცემის ნიშნად, მაგრამ ჩვენს წინააღმდეგ არ გააშიშვლო!“

ჯემალედინიც წამოდგა. ორივე ხელით ეჭირა ხმალი, თავდახრილს პირისახის ნაკვეთები ოდნავ ერხეოდა. იქ მყოფნი მომლოდინე და, ცოტა არ იყოს, შემფოთებული მზერით მისჩერებოდნენ, მაგრამ, როდესაც სიტყვა დაძრა, მისი რიხიანი და მჭექარე ხმა მთელ ოთახში დაგრიალდა: „მე ყველაფერში დავემორჩილები მამაჩემს. ყველაფერში, ერთის გარდა! ვიმედოვნებ და ვლოცულობ, რომ არ მიბრძანოს ავმხედრდე ჩემს მეგობრებთან საომრად და თუკი ეს მაინც მოხდა, იძულებული ვიქნები, უარი ვუთხრა. ვფიცავ, რომ ჩემს სიცოცხლეში აღარასოდეს ავისხამ იარაღს და მადლობას მოგახსენებთ, თქვენო აღმატებულებავ, მთელი სულითა და გულით. თქვენი ნაბოძები ხმალი საუკუნოდ დარჩება ჩემთან, ვითარცა ხმალი მშვიდობისა“.

ბაგრატიონმა გაიღიმა. „და რას ნიშნავს, ჯემალედინ, ხმალი მშვიდობისა?“

„ეს ის ხმალია, მარტოდენ მეგობართა მოსახიბლად რომ გაშიშვლდება“.

უბრალო და გულში ჩამწვდომი ნათქვამი გახლდათ. პანია, მაქმანიანი ცხვირსახოცები აფრიალდა სუფრის ირგვლივ – მანდილოსნები ცრემლს იშრობდნენ და

ცხვირს ინმენდნენ; და მოესმათ, რომ თავად ბაგრატიონს თითქოსდა ყელში გული მობჯენოდა. იგი მაშინვე შეუძღვა სტუმრებს მეზობელ ოთახში.

ეს იყო ვეებერთელა ოთახი, ზომით თითქმის სამეჯლისო დარბაზის ტოლი. ავეჯი კედლებთან მიეღაგებინათ და სამხედრო ორკესტრი ვალსს უკრავდა, მაგრამ საშა ცეკვამ ვერ გაიტაცა – უეცრად მიხვდა, რომ ჯემალი სამუდამოდ ემშვიდობებოდა აქაურობას და საშა, დადარდიანებული და ეული, ჩუმად მიიყუჟა ოთახის კუთხეში. ჯემალი კი გატაცებით ეცეკვებოდა იქ მყოფ ქალებს, ხან ერთსა და ხან მეორეს.

მეორე დილით საშამ და ჯემალმა ჰასავ-იურთში დატოვეს სალტიკოვი ორივე მხლებლითურთ და თავად მოშორებით მდებარე კურინსკის ფორტისაკენ გაემგზავრნენ. თავადი ბაგრატიონი და თავადი ჭავჭავაძე სწრაფად დანინაურდნენ, მაგრამ ჯემალს ენადა, რომ კურინსკში რაც შეიძლება მცირე ხნით დარჩენილიყო, ამიტომაც შესთავაზა საშას, დამგზავრებოდნენ ცხენოსანთა ესკორტს, რომელიც თან ახლდა ზოზინა ურმებს, სადაც ელაგა ქართველ ტყვე ქალთა გამოსასყიდი თანხა და ჯემალის ბარგი-ბარხანა, ანუ უამრავი წიგნი და ცოტაოდენი სხვა ნივთებიც, დიდად რომ აფასებდა. საშა და ჯემალი წინ გაუძღვნენ ამ სამ ურემს, რომელთაგან ორზე ეწყო ვერცხლის ფულით გატენილი ტომრები და ერთიც დატვირთული იყო ჯემალის ავლა-დიდებით.

იმავე დილით ასევე სამმა ურემმა დატოვა დარლო-ვედენოც, რეზიდენცია შამილისა, ოლონდ საშას გულის გასახეთქად მისი ნანდაური ზოია არ ყოფილა მგზავრთა შორის.

ჯემალი საშას მხარდამხარ მიაჭენებდა ცხენს. სადავე მიშვებული ჰქონდა. ესკორტის ჯარისკაცები მხედრულ სიმღერას აგუგუნებდნენ. საშა და ჯემალი კი დუმილით მიჰყვებოდნენ გზას. აღარაფერი იყო სათქმელი – სიტყვა ასეთ დროს ფუჭი და ლიტონი იქნებოდა.

უკვე ხუთი საათი ხდებოდა და კურინსკის მომცრო ფორტიც გამოჩნდა, როდესაც ჯემალმა თავი აწია. „საშა!“ უცრად თქვა მან. „ამბობენ, რომ მხოლოდ გამოჩერჩეტებულ დედაბრებს სჯერათ სიზმრების, მაგრამ განა ზოგიერთი სიზმარი ცხოვრებას არ წააგავს?“

საშა არ ელოდა ამგვარ შეკითხვას და გაოცებით შეხედა ჯემალს: „ეგებ მართლაც ჰგავდეს. ნამდვილად არ ვიცი“.

„ნამდვილად მეც არ ვიცი. დიახაც, ზოგიერთი სიზმარი წააგავს ცხოვრებას და ზოგჯერაც ცხოვრება ემსგავსება სიზმარს. ასე მგონია, ბინდბუნდში ვცხოვრობ. დღეს კი უცნაური წინათგრძნობანი მომეჯარა და თავი ვერ დამიღწევია. რაც არ უნდა მოხდეს, საშა, ჩემი იმედი გქონდეს“.

ნათქვამი უცნაურად ჟღერდა. ეგებ ძილ-ბურანში იყო ჯემალი ანდა ეზმანებოდა რაღაც. და საშა, ვისი რეალისტურად მიმართული ბუნება მისდევდა და იღებდა ცხოვრების თარგს ისე, რომ არც ჩხრეკდა, თუ რა იმალებოდა სიღრმეში, ლამის შეძრწუნებული დარჩა. თავისი მეგობარი ადრე არასოდეს ენახა ასეთ გუნებაზე, „მაგრამ, ღვთის გულისათვის, ჯემალ“, – წამოიძახა მან, „გამაგებინე, რა უნდა მოხდეს?“

ჯემალმა მკვეთრად გააქნია თავი, თითქოსდა მოჩვენებას იშორებდა ანდა გამოფხიზლებას ცდილობდა. „არაფერი, არაფერი! სალაპარაკოდ არცაა ღირს. ეტყობა, დავიღალე წუხანდელს შემდეგ. კურინსკში რომ ჩავალთ, ლოგინად მივეგდები და იქამდე ვიძინებ, ვიდრე მამაჩემთან შეხვედრის დრო არ დადგება“.

სიტყვა არ გაუტეხია და სალამოს საშა მიატოვა ორ ქართველ თავადთან. ნავახშმევს თარჯიმანი ისაი გრამოვი ჩამოვიდა კურინსკში და თავადმა ბაგრატიონმა თავისთან იხმო, რათა მოესმინა და განეხილა ხვალინდელი ცერემონიის ყველა დეტალი, დაგეგმილი თვით შამილის მიერ.

ამის შესაბამისად, მეორე დღით, ზუსტად შვიდ საათზე, ცხენოსანთა ორი რაზმი გამწკრივდა გორაკზე, ასიოდე მეტრის დაშორებით მთის წყალთხელი მდინარიდან,

მიჩიკი რომ ერქვა (ეს იყო რაღაც თვითნებური საზღვრის ხაზი რუსეთის იმპერიასა და შამილის სამფლობელოებს შორის). თავადი ბაგრატიონი და თავადი ჭავჭავაძე, ცხენებზე შემსხდარნი, იქ იმყოფებოდნენ. ამ უკანასკნელს ეცვა ახალთახალი, ოქრომკედით მოქარგული მუნდირი რუსეთის იმპერატორის საპატიო ფლიგელ-ადიუტანტისა. საშა და ჯემალი მათ ზურგს უკან იდგნენ. მარჯვნივ კი ჩანდა სამი ურემი, რომელთაც გრამოვი ფხიზლად ადევნებდა თვალს. მდინარის გაღმა, კილომეტრნახევრის მანძილზე გაშლილი იყო ვაკე, უცებ რომ მთავრდებოდა მთების ძირას; და მომცრო გორაკზე მოჩანდა შამილის ვეება თეთრი კარავი და მხლებელთა ჯგუფი. თავადმა დავითმა იქით მიმართა თავისი საველე დურბინი და მყისვე წამოიძახა: „დიახ, ეს შამილია, მთლად თეთრებში გამოწყობილი ჩამომჯდარა დიდრონი ქოლგის ქვეშ“.

თავადმა დავითმა დურბინი გადასცა თავად ბაგრატიონს, რომელიც ინტერესით აკვირდებოდა შამილს, მაგრამ საშას მთელი გულისყური მიპყრობილი იყო ვეება კარვის მარცხნივ, სადაც მას შეეძლო გაერჩია ქართველი ტყვე ქალებით გავსებული სამი ურემი და გრძნობდა, როგორ უჩქეფდა სისხლი ძარღვებში.

თითქმის მთელი საათის განმავლობაში უნდა ეყურებინათ მთიელ მხედართა ჯირითისთვის (რუსები „ჯიგიტოვკას“ რომ ეძახდნენ). ეს იყო ილეთებით შემკული ჭენება, რასაც დღესასწაულის დროს მართავდნენ. ასამდე გამორჩეული მთიელი, ერთიმეორის მიყოლებით და სისხლის გამყინავი ყიჟინით, ცხენს მიაჭენებდა შამილის კარვის გასწვრივ. ზოგი მხედარი უნაგირიდან ძირს ხტებოდა, ფეხებს ახლიდა მიწას და ისევ მოახტებოდა ცხენს; სხვები ჭენებისას ვითომდა კრეფდნენ მომცრო საგნებს მიწიდან ანდა თავდაყირა დგომით ჩაუქობდნენ. ამგვარ ჯირითს, ჩვეულებრივ, თან ახლდა ხოლმე სროლა, მაგრამ ამჯერად ერთი თოფიც არ გავარდნილა. შამილმა აკრძალა საზეიმო ბათქაბუთქი, ამბობდა: „ვაითუ ჩემი მეომრები უზომოდ აღიგზნენ და რუსებს

შეუტონ. მე კი რუს ხელმწიფესთან ამჟამად ზავი მაქვს დადებული და მისი დარღვევა არ ეგების“.

საზეიმო სანახაობა, როგორც იქნა, დასრულდა და მთიელები მწყობრში ჩამწკრივდნენ შამილის მეორე ვაჟის ყაზი-მაჰომას თავკაცობით, რომელსაც ზურგს უკან მედროშე ედგა. სამი ურემი ზანტად დაიძრა; მხედარი ვინმე ცხენს დააჭენებდა პირველ ურემთან. თავადი ბაგრატიონი დავით ჭავჭავაძის დურბინდით ისევ უმზერდა ურემების მსვლელობას და ანაზდად წამოიძახა: „ერთი შეხედეთ, ეს მხედარი დაფლეთილდასვრილი ტანსაცმლით როგორ წააგავს რუს ოფიცერს!“ მისი ხმა უსაზღვრო გაცივებას გამოხატავდა. მერე დურბინდი პატრონს დაუბრუნა.

დავით ჭავჭავაძე წუთით დააკვირდა მოახლოებულ პროცესიას და როდესაც დურბინდს მოსწყდა, ენით უთქმელი გაკვირვება ეწერა სახეზე. იგი მიუბრუნდა ბაგრატიონს: „ეგ ჩემი ნათესავია. ფოხალის ციხე-კოშკის მეთაური იყო“.

„მაშ ასე! დამატებით ერთ ტყვეს გვიბრუნებენ. დღეს შამილი მართლაც რომ კეთილშობილებას იჩენს“, – ხმადაბლა ჩაიბუტბუტა ბაგრატიონმა.

მეტი აღარაფერი უთქვამთ, მაგრამ დუმილი, რომელიც მოჰყვა ნათქვამს, ავის მომასწავებელი იყო. თითქოსდა სასტიკი მუქარა ჩამონოლილიყო ჰაერში. სულგაკმენდილი და მხრებში ოდნავ მოხრილი ჯემალი ცხენზე გაფითრებული და არეული სახით იჯდა და საშაჲ დაუოკებელ მღელვარებას შეეპყრო; გული ძალზე ნელა უცემდა და სუნთქვას უჭირვებდა. ვედარ უძლებდა გაჭიანურებულ მოლოდინს და დავით ჭავჭავაძეს სთხოვა საველე დურბინდი. გახედა მოახლოებულ ურემებს. ლინზებში გამოჩნდა პირველი ურემი, მისკენ მომავალი. დაინახა ბავშვები, ძიძები და პირბადიანი ქალი, ფეხზე რომ იდგა. „ეს ანა უნდა იყოს“, – ჩაილაპარაკა თავისთვის. დურბინდი მარჯვნივ გასწია და გამოჩნდა მეორე ურემი, რომელიც თითქმის ცარიელი იყო – მხოლოდ ძიძა ბავშვით ხელში და პირბადიანი

ქალი. ეს კი ბარბარე იქნებო, დაასკვნა. მესამე ურემი გადაჭედილი იყო ქალებით, ოლონდ პირბადიანი არც ერთი მათგანი არა ყოფილა. საშას ვერ გაერჩია მათი სახეები, რადგანაც თვალები დაუნიხლიანდა, მაგრამ იმას კი მიხვდა, რომ ზოიას ალიკვალიც არ ჩანდა. დიახაც მიხვდა, გონება კი ვერ იჯერებდა მწარე სიმართლეს და საშა ჯიუტად იმეორებდა თავისთვის: „ზოიაც არის ამ ქალებს შორის. რა თქმა უნდა, არის!“

სამი დატვირთული ურემი ისაი გრამოვის თანხლებით, ისევე, როგორც დავით ჭავჭავაძე – მიემართებოდა მდინარისაკენ. ანაზდად ჯემალმა მხრებში ჩაავლო ხელი საშას და თვალებში ჩახედა, გადაეხვია და გულზე მიიხუტა. „მოგვიტევე, საშა, და ჩვენი გვეროდეს!“, – უთხრა ჩურჩულით. მერე მხედრული სალამი მისცა თავად ბაგრატიონს, ხელი ჩამოართვა, თავი დაუკრა და ჭენებით გაჰყვა დავით ჭავჭავაძეს.

საშა ჩამოქვეითდა. ლოდს მიეყრდნო და მოათვალიერა იქაურობა. უკვე ყოველი წუთი ცალ-ცალკე და ნათლად გამოირჩეოდა, მკაფიო და მძაფრი აღიბეჭდებოდა მის გონებაში, თითქოს ჭუჭრუტანაში უჭვრეტსო. დაინახა, რომ ტყვეებით დატვირთული სამი ურემი შეჩერდა მდინარის გაღმა. დაინახა, რომ თავადი დავითი ჩამოქვეითდა და აღვირი გადასცა გრამოვს. ჩამოვარდნილ სიჩუმეში ლალად აწკრიალდა სალომესა და მარიამის ხმები: „დედი! შეხედე, შეხედე! ეს მამიკოა, მამიკო!“ დაინახა, რომ ჯემალმა ცხენი გააჭენა მდინარის გასწვრივ და ბარათი მიართვა კნენა ანას, რომელმაც რალაც უთხრა. ჯემალი მკვეთრად შემობრუნდა, მაგრამ ყაზი-მაჰომა მოეხვია მას და განზე გაიყვანა. ჩიტი ფრთხილებდა მინის პირას, მისი კაშკაშა, ცისფერი ბუმბული თვალში მოხვდა საშას და გონებაში ფიქრმა გაუელვა: „ამ სალამოს, ალბათ, განვიმდება“. მერე თვალი მოჰკრა, რომ ანა მდუმარედ იდგა თავისი ქმრის წინ. ბავშვები გარბოდნენ მამისკენ და ბარბარე ნელი ნაბიჯით აუყვა გორაკს. წუთით შეჩერდა, რომ თავადი ბაგრატიონი ხელზე მთხვეო-

და. პასუხად შუბლზე ეამბორა. მერე უკვე საშას წინ დადგა. მის სევდიან თვალებში, თანაგრძნობას რომ გამოხატავდნენ, საშამ ამოიკითხა მთელი სიმართლე, უღმობელი და დაუნდობელი და ხელი ყელისკენ გაექცა. დურბინდში ხედავდა, რომ ბარბარე ტუჩებს ამოძრავებდა, მაგრამ ნათქვამი, ცხადია, არ ესმოდა. სწავლისა და სამხედრო დისციპლინის წლებს უქმად არ ჩაუვლია, გასაჭირის ჟამს მხსნელად მოევლინენ. ავტობიოგრაფიად გადადგა ნაბიჯი, თავად ბაგრატიონს მიუახლოვდა და მისი ყურადღება მიიპყრო. საკუთარი ხმა მოესმა: „თქვენო აღმატებულება, ნება მომეცით, რომ ჰასავ-იურთში დავბრუნდე!“ ბაგრატიონმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია და ხელი გულითადად მოუთათუნა მკლავზე. საშამ მხედრული სალამი მისცა, მკვეთრად შეტრიალდა, უნაგირს მოახტა და ცხენი მთელი ძალით გაააჭენა.

ქარი ჩაჰზუზუნებდა ყურებში, მოსტაცა სამხედრო ქუდი. მაინც არ შეჩერებულა. კურინსკის ფორტს ჩაუქროლა და ჰასავ-იურთისაკენ მიმავალ მტვრიან გზაზე დაეშვა. საათი საათს მისდევდა. სხვადასხვა ჯურის ფურიები უწინავედნენ სულს: გააფთრება, გაგიჟება, მოსპობა-განადგურება.

აქაფებულ ცხენს ფერდები ასდი-ჩასდი-ოდა, ფრუტუნებდა, მაგრამ საშა დეზსა ჰკრავდა და მიაგელვებდა. ჩაიგრიალეს ჰასავ-იურთის ქუჩები. აქეთ-იქით იფანტებოდნენ წინილები, ბატები და იხვები. ღორი ჭყვიტინით შეგორდა ღობის ქვეშ. გამვლელ-გამომვლელნი შეშფოთებულ მზერას აყოლებდნენ საშას, ავბედითი ამბის მაცნე ხომ არ არისო.

მოსხლეტით შეაჩერა ცხენი დავით ჭავჭავაძის სახლის ეზოში. ჩამოქვეითდა და ერთხანს გაუნძრევლად იდგა. ხელი უნაგირს ჩასჭიდა, ცოტა დავნყნარდევო. თვალი შეავლო პუშკას, შეწუხებული ღიმილით ზღურბლზე რომ აღმართულიყო და ვეება ხელებში ზოიასთვის გამზადებული თაიგული ეჭირა, რამაც გული მოუკლა საშას. სულმოუთქმელად აირბინა კიბე, ერთბაშად – სამი-ოთხი საფეხური, გაუყვა გრძელ ტალანს და შევარდა იმ ოთახში, სადაც ორი წინარე ღამე გაათია. კარი მიიჯახუნა, პირქვე დაემხო დივანზე და გულამოსკვნილმა ქვითინმა შეძრა მთელი მისი სხეული.

*ინგლისურიდან თარგმნა  
თამაზ ნატროშვილმა*

### ზაზა ბიბილაშვილი

#### ჯადო

იმ ჯადომ არ მიგატოვა –  
მოვიხედავ და ისევ –

დღეა, ღამეა, სხვა დროა –  
ზიხარ და გულზე ისევ

დარდებს:

ეს ასე რატოა?  
რატო არ არის ისევ?

#### ალე

შენს თავს ახტები ყოველ ღამით, როცა იძინებ.  
შენს თავს ახტები ყოველ დილით/ყოველ შუადღით –  
როცა, ჰადაჰა, მინრეტილი სიზმრის სიმნიერეს  
ვერაფერს მატებს სინამდვილის ყუის ყუათი.

შენს თავს ახტები, როცა რისკავ, შეეპასუხო –  
კაკუნი თუა ან ფიჭური ვიბროგანგაში;  
როცა კერპივით გატიკნილ და მშიერ „ფეისბუქს“  
მჭლე ზვარაკს ტენი რომელიმე ვინრო ხახაში.

შენს თავს ახტები, როცა სტრიქონს მიაჯახირებ –  
ჩიჩქნი ზედაპირს გატკეცილი ელექტროფურცლის;  
მით უფრო – როცა მიჩანჩალებ სოფლის ნახირებს  
და მოძმე პირუტყვს რამდენიმე სიტყვასაც უცვლი;

როცა გადაკვეთ იმ ცისა და მიწის ნაკვეთებს,  
სადაც თესავენ ქარს და მერე მკიან ქარიშხალს;  
ან როცა ამცნობ მოკართანე-მინიმარკეტელს,  
ლარი და ოცი ზედმეტი რომ გიანგარიშა;

როცა სიჩუმეს პულტიანი ხელი აფუჭებს  
და თვალი ასდევს-ველარ ასდევს ახსნილ აღვირებს  
ან როცა ზემო მეზობელი თხილის ნაჭუჭებს  
შენი ფანჯრის წინ ახვავებს და არც კი აგინებს;

თუ მიაცილებ, ვისაც წერამ შემოუბალთა  
ტანზე სიცოცხლის არტახები ანდა რახტები  
(ჰო, თორემ გამოქორწილთა და იუბილეთა,  
კარგა ხანია, საკუთარ თავს აღარ ახტები)...

იქნებ, ხანდახან ჰოროსკოპის ცალფერ ბადეში  
არასახტომი დღეც გამოჩნდეს, როგორც ორი გზა –  
გადააბიჯო საკუთარ თავს ზრდილი ბოდიშით  
ან ცდა უიღბლო განიცადოს ლაჯებშორისმა.

მაგრამ სულ მალე კამარების ნაკრები მარჯვე  
თავიქითეთის გადასავალს თავიდან შეგრთავს...  
ბოლოს გამოვა – ერთი-ორჯერ ან, იქნებ, სამჯერ  
მაინც ყოველდღე, საშუალოდ, ახტები შენს თავს.

ვინ იცის, ვფიქრობ: შეგჩენია ალე-მანია,  
სტომიქუძირო – ივსება და ველარ ივსება,  
რაკი მგონია, რომ ნახტომიც არ გინანია,  
რომ არ იღლები და საერთოდ, გეხალისება. –

მაშინ, როდესაც ამის მეტი არ არის ჩარა –  
სწორედ იმიტომ, რომ დაღლილმა ვერ შეიკავე  
და რომ სიცოცხლის (გზა სადღაა, მით უფრო – შარა)  
ყველა ბილიკზე გაშოტილხარ შენ – შენი თავი;

კიდევ იმიტომ, რომ მომდგარი მრავალი წლის წინ  
თავს, ანუ დიდი გასაყარის ბილინგვა-აბრას  
აქეთ-იქიდან ჩავლებული ხელებით ციმციმ  
გადმოგახტუნეს პირველად და ყველაზე მაგრად;

ხოლო მას შემდეგ აღარ დადგა შენი ხვალ და ზეგ  
და ისე მაგრად გადახტომა ველარ გარისკე,  
თუნდაც ოთახში, რომელიმე მაღალ სართულზე,  
დავუშვათ, ღია ფანჯარასთან, ღია ფანჯრისკენ.

## ბაკალავრი

როცა სიზმარში ძალიან გაჭირდება,  
უკვე ისწავლე, რომ მიხვდე, სიზმარია.  
ამისთვის აღარ უნდა გაიღვიძო  
და არც ცოტათი გაიღვიძო.



როცა ცხადში ძალიან გაჭირდება,  
ჯერ ვერ ისწავლე, რომ მიხვდე, სიზმარია.  
ამისთვის ისევ უნდა გაიღვიძო,  
ცოტათი მაინც გაიღვიძო.

## ლოცვა

ან ამდენ ხანს როგორ დამიფარე.  
მე ხომ რაღაც შემიცვალეს –  
ბილეთი ან ათასწლეული.

ან ამდენ ხანს როგორ დამიფარე.  
მე ხომ რაღაც არ გამომატანეს –  
რაღაც მომპარეს უსულგულო მეზაყუებმა,  
ბარგი როცა ამოაქოთეს –  
უკან აღარ ჩააბრუნეს  
რაღაც ძალიან, ძალიან საჭირო.

ან ამდენ ხანს როგორ დამიფარე.  
მე ხომ რაღაც მომატყუეს  
იმათ, ვისაც პირველად ვენდე;  
თან ისე მარჯვედ,  
რომ ახლაც მჯერა.

ამდენ ხანს როდის დაგიფარავს  
ქერი – დოლაბქვეშ,  
მარილი – ნყალში,  
თევზი – ტაფაზე.

ან ამდენ ხანს როგორ დამიფარე.

თუნდაც ასე.

ყოვლადძლიერო.

## სატრფოს სამღურავი

რატომ გადმომიგდე ვარდი,  
რას ელოდი, რას მერჩოდი?  
რა ხელმწიფის ვაზირს ვგავდი  
ანდა რა ელჩს საელჩოთი?

არ გამიწყდა ვიდრე ქანცი  
იწილო და ბინილოთი,  
სიყვარულზე ვბჭობდი კაცი,  
შენ კი (ლმერთო!) იცინოდი.

### გურამ ლაცაბიძე

*„ცისკარი“ გთავაზობთ თბილისის მერიისა და საქართველოს მწერალთა კავშირის ახალგზარდა მწერალთა ერთობლივი ლიტერატურული კონკურსის ერთ-ერთი გამარჯვებულის ლექსებს.*

#### ტაოსთან

გზა გაუგრძელდა,  
დაულამდა მერე ტაოსთან  
თურმე ექვთიმეს,  
ღმერთმა იცის, რარიგ გაოცდა,  
როცა მწვერვალი,  
უმაღლესი კოშკი ტალანტთა,  
შავ სიბნელებში ძველისძველი ოშკი დალანდა.

ქარის ხმაურში წკრიალებდა სამრეკლოს ზარი,  
ცადაპყრობილი ჩურჩულებდა თავისთვის მგზავრი:

– ჩემო სამშობლოვ,  
ღმერთმა უწყის, მოგწვდები როდის,  
შენი დიდების ცათამბჯენზე მეც დავდო ლოდი.

იხვევდა ხევებს, იხავსებდა ხევებს თორთუმი,  
ტაძარი ზევით, ზეცა ტაძრით იყო მორთული.

#### პასეანსი

გათოვდა, ზეცისგან უკეთესს ნუ ელი,  
სიცივის ლექსები, თამბაქო, არაყი.  
არა ღირს ზამთართან სხვაგვარი დუელი,  
ამაზე ნაკლები სიკვდილი არა ღირს.

იხვევა ღრუბლების ცისფერი მუნდირი,  
დახუჭე თვალები – ცრემლების კარავი,  
ემვება ბურუსი და ნემსის ქურდივით,  
იპარავს სივრცეში განოლილ ქარავანს.

განყალდა დაცემის ტკივილით ხმელეთი,  
ვილაცას სიგიჟის სიზმრები აღვიძებს  
და ასე ჩაივლის რამდენი ტერენტი  
და ასე ჩაივლის რამდენი ტაბიძე.

გაუცვდა სურნელი ტიტების საკმეველს,  
მხარდამხარ იბრძვიან მეფე და პაიკი.  
ნეტავი, სიკვდილი რა ძნელი საქმეა,  
უბრალოდ, პოეტის სახელი დაირქვი.

უბრალოდ, იგრძენი დეკემბრის ვენდეტა,  
დღეების გაფრენა ან იქნებ – პირიქით...  
უბრალოდ, მომყევი, უბრალოდ, მენდე და  
გამოვჭრათ ზეცისკენ ფიფქების ბილიკი.

დანარჩენს, მერწმუნე, იგივე ფასი აქვს,  
რამდენიც რწმენაზე მოგონილ არაკებს.  
ეპოქა უთუოდ თამაშობს პასეანსს  
და გულის დასტაში პოეტებს ალაგებს.

## ლირიკა

ლამე გადამალავს იდიოტებს,  
ლამე გულწრფელობის ჭიშკარია.  
ნეტავ, შენც იქითკენ მიდიოდე,  
სადაც ჩემი გზები იჩქარიან.  
სადაც ცრემლებია განათოვი,  
ცრემლში მიმალული გალათეა.  
იქნებ, ამინდები გლალატობენ,  
იქნებ, გალაქტიკის ლალატია?!  
ზეცა წვიმებისგან ვერ დაფერთხეს,  
ვინძლო, ის წვიმები შემეწიოს.  
იქნებ, არ გეკოცნა ერთადერთხელ,  
ფრენით გაჰყვებოდი რემედიოსს.  
წარღვნას ედარები დაჟინებით,  
რა ვქნა, კიდობანი ნოესია.  
იქნებ, სტრიქონები გაშინებენ?!  
წყალსაც წაულია პოეზია!  
სულაც არ იბრუნოს, თუ საათი  
არის განშორების ეპიცენტრი.  
ერთი სიცოცხლე მაქვს, უსათუოდ  
ერთხელ მოგიკვდები, გეფიცები!

## გალა

ღვინის ცარიელი ჭიქა.  
კედელს მიყრდნობილი ხელი.  
ჭიქა – ამინდების ჭლექი.  
ჩუმი, რეფლექსური ხველა.  
სარკეს ვერ უსწორებს თვალებს,  
ახრჩობს სტრიქონების მტვერი.  
ცაზე გათხოვილა მთვარე,  
მთვარე – მოლაღატე მერი.  
წვავენ შეგრძნებები მწვავე,  
გული – პოეზიის გრდემლი.  
ღრუბელს ნუ აბრალეობთ წვიმას,  
მინამ აიორთქლა ცრემლი!  
ფიქრის დიდებული ღვეთი.  
გუდავს არტერიას ჯავრი.  
თითქოს ჯვარცმულია ღმერთი,  
უფრო ღმერთცმულია ჯვარი.  
სივრცის გაჭრილია ლენტი,  
მეტი ფიქრითა და გზნებით.  
გზები გავიარეთ, ნეტავ,  
თუ ჩვენ გეშორდებიან გზები?!  
ყელში დაირაზმა გალა-  
ნტური ხმადაბალი ხველა.  
რჩება აივანზე გალა,  
ვხტებით დანარჩენი ყველა.

## თაფლისთვალეზავ

თაფლისთვალეზავ, ო, ნეტავ,  
რად გეშინია მარცხის?!  
როგორც ნაპოვნი მონეტა,  
არც ჩემი ხარ და არც სხვის.  
თმათა თამამი სონეტი  
და სიფაქიზე მარწყვის  
(მე დავიბადე პოეტად  
და სტრიქონები მანვიმს).  
თაფლისთვალეზავ, ო, ნეტავ,  
არ გეშინოდეს მარცხის!  
სული ბახთა და მონეთა  
და სურნელება ცაცხვის,  
როგორც ნაპოვნი მონეტა,  
არც ჩემი ხარ და არც სხვის.

გია არგანაშვილი

## ალუდას თოფი არ უნდა

(ინტერპრეტაცია ვაჟა-ფშაველას „ალუდა ქეთელაურის“ თემაზე)

*„ახლა შენ იყოს, რჯულდადლო,  
ხელს არ ჩავარდეს სხვისასა“.*

...თოფი ხომ ისედაც ალუდასია. ხანჯალიც, ხმალიც. ფარი და აბჯარიც გამარჯვებულს ეკუთვნის. მაშ, რაღა აზრი აქვს მუცალის სიტყვებს, ვითომ, სხვამ არ დაისაკუთროს?! მაინც ვის ხელში უნდა ჩავარდეს, ვინ ჰყავს მოცილე? ირგვლივ, მის გარდა, არავინ ჭაჭანებს, არც ვინმეს მოსვლაა მოსალოდნელი, სროლის ხმაზე დამფრთხალი ცხენები კლდის პირას მიყრილან, მოშორებით მუცალის ძმა გდია, მკვდარია. მის პირდაპირ კი – თვითონ მუცალი... ჯერ ისევ კანკალებს და თითქოს მიწას ეჭიდება წასაქცევად. კლდეებიდან მომწყდარი ექო ხეობიდან ხეობაზე გადადის. აქ დარჩენილ სიჩუმეს კი მხოლოდ თოფის დაცურებით

დო მუცალმა. უფრო სწორად, თოფიც ხელივით ჩაიქნია და ქვიშამდე უწია.

დილის მზის სხივზე გაბრწყინდა სალტა თოფისა, თუმცა მანამდე მთის მწვანე ბალახი მოგლიჯა და ჭრილობაზე დაიფინა. იქნებ, როგორმე სისხლის დენა შეეჩერებინა.

შესაძლოა, მომავალში ბალახის სიმწვანე ვინმემ მუცალის სულის უკვდავების ნიშნად მიიჩნიოს, მაშინ წყლულში ჩაფენილი ეს ნედლი მასაც ისეთივე საცთური გახდება მკითხველის გონებისთვის, როგორც შურთხის დარეკილი ზარი (ახალი ცხოვრების მაცნე?) ან შატილს ვერჩანდომილი შუადლის მზის შუქი (შუა საკუნეების



გამონვეული ქვიშის ჩხრიალი არღვევს. თოფიც ხომ საკუთარი ხელით გადაუგ-

სიბნელე?), თუმცა ნუ გავასწრებთ ქვიშაზე დაცურებულ თოფს, ნურც ალუდას შინაგა-

ნი წუხილის გამძაფრებას შეეცდებით. ის ხომ ისედაც ცდილობს, როგორმე მუცალის ნათქვამის აზრს ჩასწვდეს:

„ახლა შენ იყოს, რჯულძალლო...“

როგორც კი თოფი ფლატესთან ჩამუხლულ ალუდას ფეხებამდე მიაღწევს, ხვესური ასაღებად დასწვდება (სხვა რა უნდა ქნას?!), გადაიკიდებს თავის ხირიმთან ერთად, აჰყრის მუცალს და მის ძმას იარაღს, მარჯვენას მოაჭრის ორთავ ლილველს, დაჰკიდებს უნაგირის ტახტას, შემოაბრუნებს ცხენების რემას და გამარჯვებულის თავმომწონებით დაადგება შატილის გზას.

ეს იმ შემთხვევაში, თუ მოვლენების ამგვარი განვითარება არაფერმა შეაფერხა, თუ მოულოდნელობამ არ იჩინა თავი. მაშინ ეს ერთი ამთქნარება დროც კი საკმარისი იქნება ამ დროებითი უმოქმედობის დასაძლევად.

„ალუდას თოფი არ უნდა...“

არა, არა... ეს ჯერ ადრეა, მეტიმეტად ადრე, თანაც, ამას ხომ ტირილი უნდა მოჰყვეს, მერე მიცვალებულის გაპატიოსნება... ალუდას ამჟამინდელი სულიერი მდგომარეობა რომ ამ კონდენციამდე მივიდეს, ამას მეტი დრო სჭირდება. ბევრად უფრო მეტი დრო სჭირდება, რომ გულმა გონებასთან ზავი შეკრას და შურისმაძიებელ მეზრძოლს შეუნყნარებლობის რისხვა დაუცხროს, ფიქრმა სინანულის მორევში ჩაითრიოს და მკითხველი კაცთაგან თითქმის შეუძლებელი ფერისცვალების მონმე გახადოს.

ერთი შეხედვით, თუ ზოგადემოციურმა ფონმა ხელი შეუწყოს, შესაძლოა, ტირილი („ატირდა როგორც ქალია“), მართლაც, დამაჯერებელი გახდეს, მაგრამ ის დრო, რომელიც მიჯრით მიყრილ სტრიქონებს შორის თავისთავად იგულისხმება, მაინც ძალიან ცოტაა, ანდა სრულიადაც არ არის საკმარისი ალუდაში მოსახდენი ცვლილებებისთვის. ამიტომ აქ დროის შეჩერება მოგვიწევს. ამისთვის კი ნიავემა ქოლა უნდა შეწყვიტოს, მდინარემ – დენა, თოფიც სადღაც შუა გზაზე უნდა გაჩერდეს... უნდა გაიხიდოს, რათა ალუდამ საკუთარ თავში

მასზე უარის თქმის უფრო დამაჯერებელი საბუთი მოიძებნოს, თუმცა ის უეცარი ფერიცვალება, რომელიც ალუდას მუცალის მკლავის მოჭრაზე უარს ათქმევინებს, მაინც შეუძლებელი ჩანს. ასეთ ცვლილებას ხანდახან მთელი სიცოცხლეც არ ჰყოფნის. ამგვარ სასწაულს დამასკოს გზა და ზეციური ხმა სჭირდება. ლიტერატურა კი ცხოვრება არ არის, იქ სასწაულები არ ხდება. ლიტერატურას მკაცრი ლოგიკური ხაზი და მტკიცე მოტივაცია სჭირდება. ხუმრობა საქმე ხომ არ არის? შატილიონი რომ ამ გადაწყვეტილებამდე მივიდეს, მის გონებაში ჯერ ეპოქალური რყევები უნდა დაიწყოს. ჯერ ცალკეულ კადრებად უნდა გაირბინოს კაცობრიობის განვლილმა გზამ უძველესი ანტიკური ხანიდან მეჩვიდმეტე საუკუნემდე. აქ, გზაზე, დროის რომელიც მონაკვეთში, ღვთისშვილთა თუ ნახევრად ღმერთების გვერდით, საკუთარი თავიც უნდა ამოიცნოს ალუდამ და, როგორც შეხორცებულ ტყუპებს ამორიშორებენ ქორურგიული ჩარევით, ისე გაჰყაროს ძველი და ახალი კაცი ერთმანეთისგან... მაგრამ ეს უნდა მოხდეს ძალდაუტანებლად, ცოცხალი სურათების პარალელურად, ზმანებებისა და ცხადის დაშორიშორების საფუძველზე, თუმცა ისეთივე მარტივი ხერხით, როგორც პატარა ღობემძვრალა ჩიტი დახტის ტოტიდან ტოტზე, ვიდრე ხის კენწეროს არ მიაღწევს.

ასეთ მძაფრ შეგრძნებებში ჩაღრმავება ჩვილის პოზას მოითხოვს და მუხლებზე მკლავებზემოჭდობილი ალუდაც რაღაც შინაგანი ძალის კარნახით ცდილობს, დღევანდელი დღის მონაკვეთი ცხოვრების განვლილი გზის წრფივ ხაზთან მიმართებაში გაიაზროს.

მისი წარსულიც ხომ ასეთი ბრძოლებითაა სავსე. საერთო ფონი თითქმის არასოდეს იცვლებოდა: გატაცება, დევნა, მდევარი. ჩასაფრება, თავდასხმა. დაძაბული ბრძოლა. შეჯახება და შერკინება. ანაზღად თოფის ხმა და ხმლების ჩახაჩუხი. თითქმის ყველგან გამარჯვება და თითქმის ყოველთვის დამარცხებული მონინააღმდეგის

წყველა-კრულვიანი ყვირილი, სულის ამოხდომამდე კენესა.

ალუდამ ხმლის ვადაც მოსინჯა უნებურად – რატომღაც ძალიან მოუნდა ღირსეულ მეტოქესთან ბრძოლის გაგრძელება.

ჰო, საწყენია, ხმალში რომ ვერ გამოსცადა ეს ღიღღველი.

თოფით მხოლოდ ხელის სიმტკიცე და თვალის ზომა გამოიხატება. ხმალი სულ სხვაა – ხმალში ვაჟკაცის ხასიათიც იცნობა. დღემდე მონინალმდეგეთა უმრავლესობა სწორედ ხმალში ჰყავდა დაჯაბნილი. თოფში კი... ჯერ არავინ შეხვედრია, რომ თანაბარი წინააღმდეგობა მაინც გაენია – თოფს ჯერ არ უმტყუნია ალუდასთვის.

აი, მუცალის თოფიც. სულ ცოტაც და, ხელითაც შეეხება.

– ახლა შენ იყოს, რჯულძაღლოო...

საკუთარი თოფის კონდახს დაეყრდნო ალუდა წამოსადგომად და ისე მიანვდინა ხელი გრძელ რკინას. ისიც გახურებული იყო ბრძოლისგან. სველ ქვიშაზე ცხელი ლულა შიშინებდა. რამდენიმე ნაჭდევი შენიშნა ალუდამ მის კონდახზე. ზოგი ისეთი მკრთალი, რომ დანახვაც კი ჭირდა და კიდევ ათამდე ღრმა კვალი, თითქოს სახნისს გადაეველო ზედ. იცოდა ალუდამ, ეს რასაც ნიშნავდა – მის თოფსაც სწორედ ამდენივე ნაკეჭნი ჰქონდა და დღეის შემდეგ კიდევ ორი დაემატებოდა...

ალუდა მიხვდა, რომ მონინალმდეგის ცხოვრებაც ამ ნაჭდევების სიმრავლედ, მარჯვენების სიმრავლედ ქცეულიყო. ეს უკანასკნელი მაინც მთაში ერთადერთი ნივთიერი საბუთი იყო, ვაჟკაცობის დამადასტურებელი. შატილშიც ხომ სიტყვაზე არავინ გენდობოდა. სახლებიც კი ისე იყო დაგეგმარებული, რომ სტუმარს ჯერ ქავის კარზე უნდა გაეველო და საკუთარი თვალით ეხილა მარჯვენების ხიდი, თუმცა დათვლა რად უნდოდა? ისედაც ყველამ ზეპირად იცოდა, რომ მინდიას თორმეტი ხელი ეკიდა, ალუდას – ათი, ბერდიას – შვიდი, ნადირას – ხუთი...

ხელის მოჭრის ტრადიციას უძველესი ჩვეულება ედო საფუძვლად. თავდაპირვე-

ლად მონადირეები ცხოველს ყურს ან ეშვს აჭრიდნენ, რათა უღრან ტყეში დაგდებულ ნანადირევს სხვა მონადირე ან შემთხვევითი მგზავრი არ დაპატრონებოდა. შემდეგ განუწყვეტელმა ომებმა და თავდასხმებმა კიდევ უფრო განამტკიცა ეს წესი, რადგან წყალობა ომშიც დამსახურების მიხედვით გაიცემოდა – სხვაზე მეტი გარჯისა და მამაცობის საბუთი აქაც მოჭრილი თავი ან მკლავი იყო. მართალია, თარეშის დროს მდეგარში ჯილდოს არავინ აწესებდა, მაგრამ სახელს სახელი ემატებოდა და ხატობაში მინვდილი საკარგემოც არანაკლებ საძევარი იყო ხევსურისთვის.

– ხელ მასჭერ, ნასკვაურისძევ, – დარიგებასავით ისმოდა ხალხური მელექის გაფრთხილება.

– ივანე, ხელსა ნუ მამჭრი, – იხვენებოდა ქალუნდაური.

თუმცა ხელის მოჭრაზე ჯერ, ალბათ, არც ფიქრობს ალუდა. ჯერ თოფის ალება-არალების გადაუწყვეტელი საკითხი დგას მის წინაშე. არადა, თოფი მართლაც მას ეკუთვნის – დამარცხებულის იარაღი ოდიტგანვე გამარჯვებულისა იყო... აქილევსმაც აართვა მძლე ჰექტორს საჭურველი, ჰექტორმა – პატროკლეს, პატროკლემ – სხვას და ასე გაუწყვეტილი... მართალია, ალუდამ ამის შესახებ არაფერი იცის, მაგრამ მან კი კარგად იცის, ვინც ალუდას სახე მითოლოგიური წარსულიდან გამოიხმო და თავისი ეპოქის მძიმე ტვირთი აჰკიდა სატარებლად.

ღიახ, ალუდა თითქოს რაღაც უფრო მეტისთვის არის მოწოდებული. ამიტომ, ავტორი მას თავის ტკივილამდე ფიქრს აიძულებს იმაზე, რაზედაც აქამდე არც დაფიქრებულა ხევსური. სხვა დროს ალუდა არც დაუშვებდა, რომ ასეთ პირობებში მონინალმდეგის თოფის ალებაზე უარი ეთქვა – კაი ყმის მორალი არ ითვალისწინებს ნადავლზე უარის თქმას. განა ეს რაიმე კაცურ წესს ეწინააღმდეგება?! ჰო, თურმე ეწინააღმდეგება... სწორედ იმ თქმულებებში, მითებში, ფოლკლორულ გადმოცემებში, რომლებშიც სიმამაცზე, შიშის

დაძლევაზე, ბოროტების დათრგუნვასა და შურისძიებაზე იყო საუბარი, ეს სიტყვებიც ისმოდა:

„ – ნუ, ამირან, შენსა მზესა, ნურა გინდა, ნურა სხვისა,

თორემ მტრები დაგძრახავენ, მკვდარი გაუძარცვავს სხვისა ...“

ალუდა დღემდე ვერ ხვდებოდა, რატომ უშლიდნენ ძმები ამირანს ცამცუმის იარაღის აღებას (მან ხომ პირნათლად შეასრულა ანდერძის პირობა). ვერ ხვდებოდა, მაგრამ ახლა, უნებურად, მგონი, თვითონაც ემორჩილება ამ წესს, ემორჩილება შინაგან ხმას, რადგან მორჩილება მისი გაგებითაც რწმენის საკითხია. რწმენა იმისა, რომ მუცალისთვის უფრო ალალია მისი იარაღი, ალუდაში ტრადიციული შეხედულებების ადგილს იკავებს და შატლიონს საჭირისუფლოდ განაწყობს.

ამ წამიდან ალუდა უკვე ამირანის გზაზე დგება (ის ხომ მართლაც მითოსიდან არის გამოხმოხილი) და, ალბათ, ბოლომდე გასვლასაც ეცდება. ეცდება შურისძიების ჯაჭვის განწყვეტას და შეძლებს კიდევ ამას, როდესაც მითოლოგიური დეეკაციის სახესთან გაიგივებულ თავისი განვლილი ცხოვრების მეტაფორულ გააზრებას იხილავს სიზმარში (მართალია, გზადაგზა ამ „გამარჯვებით“ გამოწვეული ამპარტავნებაც ექნება დასაძლევნი, მაგრამ ეს პოემის შემდეგ თავებშია სარკვევი).

ახლა კი მთავარი ის სიბრალულის განცდაა, რომელიც ალუდაში მუცალის სიკვდილის გამო აღიძვრის, რომელიც დააფიქრებს და ხელის მოჭრაზე უარს ათქმევინებს, თუმცა ეს განცდა მხოლოდ მუცალის გაპატიოსნებისთვის თუ ეყოფა, მუცალის ძმისთვის კი აღარ იკმარებს... ამიტომ ალუდას მხოლოდ გული კი არ

უნდა აუჩვილდეს, არამედ მთელი ტანით უნდა დაიძრას, რომ მასში დატრიალებული განცდები იმავე დეეკაციის ძალმოსილებით ალელდეს და ჩაკეტილი წრე გაარღვიოს. ყველაფერს თავისი სახელი უნდა დაერქვას. ალუდა უნდა მიხვდეს, რა აკვლევინებდა დღემდე ასე დაუნდობლად. მიხვდეს, რაა მიზეზთა მიზეზი ამ შეუწყნარებლობისა. ამისთვის კი მას მზერა სჭირდება, რომელიც გარედან აღწერს მის მდგომარეობას, რომელიც დაანახევებს შურისძიების გაბმულ ჯაჭვს, რგოლებად მოჭრილი ხელები რომ აქვს ასხმული. მიახვედრებს, რომ ხელის მოჭრა ერთგვარი საკონტროლო გასროლაა, რომელიც რაინდს ავაზაკად, ხოლო მებრძოლს მკვლელად აქცევს, მაგრამ ჩაკეტილ სივრცეში დამოუკიდებლად ამის გაცნობიერება ძალიან ძნელია. აქ ხომ წესების რევიზია არ ხდება. ამისთვის დამატებითი იმპულსი და ცოდნაა საჭირო. იქ კი, სადაც უძველესი მითები და თქმულებებია ჭიუხის ფიქალივით ერთმანეთზე მიწყობილი, პირველი ფენის მორღვევაც საკმარისია, რომ მეხსიერებაში დაღექილმა ინფორმაციის ნაკადმა წყაროს წყალივით წვეთ-წვეთად, თავისთავადი დენა დაიწყოს. ამის შემდეგ მითოლოგიურ ლაბირინთებში ალუდაც მოახერხებს დამოუკიდებლად გზის გაკვალვას.

...ამირანი დევების სახლში შეიჭრა და





სამკვდრო-სასიცოცხლოდ შეება ბოროტ ძალას. სისხლი წყალივით იღვრება. გუბდება სახლში და ლამისაა დაარჩოს დარეჯანისძე. დევები კი ხელახლა ცოცხლდებიან და ხელახლა აკვლევინებენ თავს შურიძიებით ანთებულ დევკაცს. სწორედ ესაა მათი დევობა – მათ შეძლეს და ამირანი შურისძიების გრძნობაზე წამოაგეს. ახლა კი ეს დაგუბებული სისხლი მას უეჭველ დაღუპვას უქადის და მხოლოდ შემთხვევის წყალობით თუ გადაურჩება უეჭველ სიკვდილს.

ამ სურათის გახსენებაზე ალუდას გონებაში ჩნდება ნათელი აზრი, რომელიც მოგვიანებით ნაცნობ სტრიქონებად დალაგდება პოემაში:

- ვისაც მტერობა მასწყურდეს...
- სისხლ დაიგუბოს კერაში...
- სისხლშია ჰქონდეს ქორნილი...

ამბის მდინარე კი თანდათან უფრო მატულობს და მეხსიერების ღრმა შრეებიდან გამოაქვს ამირანის სიზმარიც:

„შეგვიპატიჟეს, შევედით, ამირანს პური ჰშიოდა,

დედობილების ნაცხობი ქადა კეცებში მხოდა,

შამაჰჭრეს, შამაყენეს, კაცის თავფეხი დიოდა,

სალვინით ღვინო მოგვართვეს, შიგ გველბაყაყი წიოდა,

უსმელ-უჭმელად დავძებით, ყელშიაც ამოგვდიოდა,

ამირანს შემოვხედნოდით, ცრემლები ჩამოჰდიოდა...“

ცაზე კი უკვე ყორნადქცეული ბაყბაყდები მიფრინავს და, როგორც ადრე ცამცუმის ლემის შესაჭმელად ეშურებოდა („ცამცუმი მომკვდარა და იმის შესაჭმელად მივდივარ“), ისე ისწრაფვის მუცალის სხეულის დასაკორტინად:

- „მამკვდარა ქისტი მუცალი,
- თვალ უნდა ვსჭამნე ყმისაო,
- გულ-ღვიძლი ამოვარიდო,
- კალთა დავხურო მხრისაო“.

ლიტერატურული პერსონაჟი თანდათანობით თავის პირველსახეს, თავის მითოლოგიურ არქეტიპს უბრუნდება, მაგრამ,

როგორც ვამბობდით, ეს უნდა მოხდეს ძალდაუტანებლად, ცოცხალი სურათების პარალელურად, ზმანებებისა და ცხადის დაშორიშორების საფუძველზე; ისეთივე მარტივი ხერხით, როგორც პატარა ლობემძვრალა ჩიტი დახტის ტოტიდან ტოტზე, ვიდრე ხის კენწეროს არ მიაღწევს.

ჯერ კი ალუდას უჭირს აზრების თავმოყრა და „შაკრული“ გულის ახსნა. უჭირს იმის თქმა, რასაც (მომავალში) ივანე კოტორაშვილი ასე მარტივად აყალიბებს:

„მკვდარს რო მარჯვენა მოვაჭრა,  
რა ჭკვაში მოსახდენია?!“

აი, ფრაზა, რომელიც ალუდას არ ახსენდება. მართალია, გულის კარნახი წინ უსწრებს გონების გადაწყვეტილებას, მაგრამ ასე მოხდენილ სტრიქონად ჯერ ვერ წურავს სათქმელს, ვერც ახლა და ვერც მაშინ, როცა ხელის მოუჭრელობისთვის ხევსურების წყრომას შეეჯახება.

ალუდა ხელის მოჭრაზე უარს ამბობს, თუმცა არც ისეთი მიაშიტიანა, ვერ მიხვდეს, ამით ადამიანების ურთიერთმტრობა არ წყდება. მუცალი ახლაც ალუდას მტერია, ისევე, როგორც თოფის გადაგდებად იყო, როგორც კურატის დაკვლის შემდეგ იქნება... არც მუცალს უთქვამს ალუდასთან მტრობაზე უარი, მაგრამ ისინი მხოლოდ მაშინ შეებრძოლებიან ერთმანეთს, თუ ლილველი ან შატილიონი მომავალში ერთმანეთს კიდევ ნაუსხამენ ცხენებს...

ამგვარად, მტრობა კი არ უნდა მოისპოს ქვეყნად, არამედ ადამიანებმა მტრის სიყვარული უნდა შეიძლონ.

„გიყვარდეს მტერი შენი, ჰბრძოდე მტერს მამულისას და გაძაგდეს მტერი უფლისა“.

ქართული ლიტერატურის მკითხველს კი არ უნდა გაუკვირდეს ალუდას საქციელი, რადგან უფრო საკვირველი და „გაუგებარი“ აქტი ჰუმანიზმისა ჩვენში უკვე გამჟღავნებულია და მას ნიკოლოზ გოსტაშბიშვილის საქციელი ჰქვია.

გოსტაშბიშვილი ათავისუფლებს თათარს, რომელმაც ყველას თვალწინ (თუმცა კი თანასწორ ბრძოლაში) რამდენიმე გა-

მორჩეული ქართველის სიცოცხლე შეინი-  
რა. ალბათ, ყველას გასაკვირად (შეგვიძ-  
ლია წარმოვიდგინოთ ხალხის რეაქცია), მის  
ვაჟკაცობას სიცოცხლეს ჩუქნის და გვრჩე-  
ბა იმედი, რომ შეწყალებული ხვალ თავა-  
დაც გახდება შემწყალებელი. ბრძოლის წე-  
სებს კი რაინდული ეთიკა განსაზღვრავს და  
არა შურისძიება, თუმცა (ვიმეორებ) ეს არ  
ნიშნავს მტრობაზე უარის თქმას. ეს არის  
ძალზე მაღალი საზომის დამკვიდრების  
მცდელობა, რომელიც გზას უხსნის მონი-  
ნააღმდეგეთა შორის ურთიერთობის ახალ  
ეტაპს.

გოსტაშაბიშვილის, ქეთელაურის, კო-  
ტორაშვილის, ნასკვაურიძის საქციელი  
მთელი კაცობრიობის წინაშე შეთქმულება-  
სავით იკითხება. ეს რაინდები, კაი ყმები,  
კარგი მეომრები ერთურთის დანდობაზე  
თანხმდებიან. ისინი უარს არ ამბობენ მოყ-  
ვასის, მამულის დაცვაზე (ეს მათი მოვალე-  
ობაა), მაგრამ თანხმდებიან, რომ ღირსეუ-  
ლი მეტოქის მიმართ მეტ შემწყნარებლო-  
ბას გამოიჩინენ და უკადრისი საქციელით  
არ შებლაღავნენ ერთმანეთის ხსოვნას.

უფრო გასაგები იქნება, თუ ასე ვიტყ-  
ვიტ: როდესაც ისინი უარს ამბობენ ხელის  
მოჭრაზე, ამით უარს ამბობენ საკონტრო-  
ლო გასროლაზე და ემიჯნებიან დაქირავე-  
ბულ მკვლელებს.

უფრო მეტიც, ისინი საკუთარ თავში  
პოულობენ ძალას, რომ გულწრფელად და-  
იტირონ ბრძოლაში დაღუპული მეტოქეები.

მთელი ამ ხნის განმავლობაში ალუდა  
ჯერ კიდევ გაუცნობიერებლად (თუმცა კი  
თავდაჯერებულად) ეპაექრებოდა ანტიკურ  
სამყაროს. მან თავისი გადანწყვეტილებით  
(მუცალის დატირება) პასუხი გასცა ძველ  
დროს (აქილევსისგან ჰექტორის გვამის შე-  
ურაცხყოფა); ახალი ადამიანის სახელით  
აჯობა ძველ ადამიანს, თუმცა ჯერ არ ვი-  
ციტ, შეძლებს კი ალუდა მომავალში რჯუ-  
ლის საკითხებში უშიშასთან კამათს? თუ  
დამარცხდება და ისევ ისე დაიბნევა, რო-  
გორც მაშინ, როცა მუცალის ძმას სჭრი-  
და ხელს და უნაგირის ტახტაზე ჰკიდებდა?  
და თუ დამარცხდა, ეს ხომ არ გამოიწვევს

შურისძიების განცდას (ახლა უკვე თანა-  
მოძმეთა მიმართ), რომელიც ერთხელ უკ-  
ვე დაგუბდა მის კერიასთან და დარჩობას  
უქადდა?

ჯერჯერობით კი მხოლოდ იმის თქმა  
შეგვიძლია, რომ ალუდასა და მუცალის  
ღირსების ნიშნით გაერთიანება მაღალი  
საზოგადოებრივი ერთობაა, რომელიც სა-  
კუთარ თავში ურთიერთდანდობას, შემ-  
წყნარებლობას, პიროვნული თვისებების  
ამაღლებას, მორალური კოდექსის დაცვას  
გულისხმობს. ეს ერთობა არსით კოსმოპო-  
ლიტური იდეის განხორციელებაა, მაგრამ,  
განსხვავებით იმ უიღბლო მცდელობების-  
გან, რომელთა საფუძველში ათასგვარი იზ-  
მებით გამაგრებული ფსევდოჰუმანიტური  
იდეები დევს, ეს ყველაზე უფრო საიმედო  
ერთობაა და ყველაზე ახლო დგას ისეთ გა-  
ერთიანებასთან, რომელსაც „ახალი ადამი-  
ანები“ ქმნიან.

როდესაც მუცალმა თოფი გადმოუფ-  
დო ალუდას, მან სწორედ ამ ერთობისკენ  
უბიძგა ხევსურს.

ალუდამ შეძლო მისი ფიქრის წაკითხვა.

ჰო. თოფი, მუცალის თოფი...

მარჯვენა ხელი ისე ძალიან უჭერს თი-  
თებს კონდახს, რომ ლამისაა ფრჩხილები  
ხეში ჩაემტვრეს, მარცხენა ხელისგული კი  
თოფის ლულას შეზრდია – ერთბაშად ხე-  
ლის გაშვება რომ მოინაღინოს, შესაძლოა  
რკინას ტყავიც გაჰყვეს. არადა, უნდა მოი-  
შოროს, ვიდრე თოფის სასხლეტს ჯერ კი-  
დევე მუცალის ხელის სითბო შერჩენია. უნ-  
და დაუბრუნოს პატრონს. ცოდოა ამისთანა  
ვაჟკაცისთვის იარაღის აყრა, ხელის მოჭ-  
რაც ცოდოა...

როგორც ღრუბლები იბერტყება წვი-  
მად და ამით ცასა და დედამიწას შორის  
არსებული ათასობითი ვოლტის მქონე  
ელექტრონული ველი განიმუხტება, ისე  
თავისუფლდება კიდურები დაძაბულობის-  
გან, როდესაც თოფი ისევ მიწაზე ვარდე-  
ბა, თვლებიდან კი თავისთავად მოჰონავს  
ცრემლი. უბეებს ასველებს...

თურმე არც ისე ძნელი ყოფილა ვაჟკა-  
ცის ტირილი.

ნინო გუგეშაშვილი

სამ საათზე გავდივართ

დილის ყავას ვსვამთ მე და ედგარსი.

ედგარსს, ქართული წყევლით დაწყებული და ქართული უთავბოლო ყავის სმით დამთავრებული, ყველაფერი აინტერესებს: ენა, ტრადიციები, ფოლკლორი... დავატარებთ აქეთ-იქით მე და ლექსო. ძილის წინ, როგორი დალილიც არ უნდა იყოს, დაჯდება და წერს. საგაზეთო სვეტი აქვს ლატვიაში – ხალხურ ტრადიციებზე გზავნის მასალებს. საქართველოში ისეთ საბადოს მიაგნო, აღარ გვშორდება...

ეზოდან მიმოზა მეძახის და ედგარსიც თვალებს აცეცებს – ყველაფერში ეროვნული ტრადიცია ელანდება. დაწყნარდი-მეთქი, ვეუბნები,

უბრალოდ მეზობელი მეძახის, ეს არაა არავითარი რიტუალი. მაინც მომყვება.

– კაი ლამაზი ვაზა რომა გაქვს შენ, დიდი, ხრუსტალნი, ის მათხოვე ერთი! – ჩქარობს სადღაც მიმოზა.

შევბრუნდი ლარნაკის გამოსატანად. ედგარსი დამყვება თვალებადქცეული, ფინჯნით ხელში – ვერ გაიგო, მეზობლისგან ლარნაკის თხოვება რაღა ტრადიციაა.

– რატომ უნდა ვაზა? – მეკითხება.

– არ ვიცი, უნდა და... – ლარნაკი გამოვიტანე, ისევ გამომყვა ედგარსი.

– მიმოზა, თქვენ რაღაც კაი ამბავი გაქვთ, ეტყობა, – ედგარსის ხათრით ვეკითხები და ვაძლევ ლარნაკს.

– გაიგებთ, გაიგებთ! – ტუჩის კუთხეებში ეშმაკური ღიმილი რაღაცნაირად ნერვულად უთრთის მიმოზას. მიდის აჩქარებული, მარცხენაბეჭჩამოგდებული. ჩვენ სამზარეულოში ვბრუნდებით ...

– რატომ უნდა ვაზა მეზობელი ქალი?

– ვერ ისვენებს ედგარსი.


– არ ვიცი, ალბათ დაბადების დღე აქვს რომელიმეს. გაიგებთო, და შეიძლება დაგვპატიჟონ საღამოზე.

– აჰჰაა, დაბადების დღე! საინტერესო, ქართული დაბადების დღე, ქარგია.

საჩუქარი უნდა, წამო მარკეტი.

– არ უნდა მარკეტი. აგერ ამ კედლის საათს ვაჩუქებ... საათი არა აქვთ სახლში, დროს სულ მე მეკითხებიან...

ეს ვთქვი და საშინელმა კვილიმა ფინჯნები გაგვაყრევინა ხელიდან. კვილი მიმოზას სახლიდან მოდიოდა. ჯერ მიმოზას ეზოში შევცვივდით, მერე სახლის ფართოდ მოღებულ კარში. ზალიდან გამოჰკიოდა მიმოზა და ჩვენც პირდაპირ ზალაში შევიჭერიით. შევიჭერიით და ეს რა დაინახეს



არა მარტო ედგარსის გაცემულმა ლურჯმა, არამედ ჩემმა, საქართველოში მრავლისმნახველმა თაფლისფერმა თვალბმა: ზალის შუაგულში დგას ხალიჩაგადაფარებული ტახტი, ტახტზე გულხელდაკრეფილი ასვენია მიმოზას ან უკვე თურმე გარდაცვლილი ქმარი, ბუხო, მიმოზა და მისი მაზლის ცოლი, ალიონა, დასდგომიან თავზე ბუხოს და კივიან და თმებს ინიწნიან. ბუხოს თავით უდგას პატარა მაგიდა, მაგიდაზე – კანდელი, თითო ჭიქა წყალი და ღვინო, ლოცვანი და ყვავილები ჩემი ლარნაკით.

გამთენიისას მომკვდარა ბუხო. მიმოზამ და ალიონამ გააპატიოსნეს, ტახტზე დაასვენეს, გულხელი დაუკრიფეს, ქალაქში წავიდნენ, ყვავილები იყიდეს, შავი ჩაიცვეს, სარკეებზე ტილოები ჩამოაფარეს, შეცხადების სრული სერვისისთვის ლარნაკილა აკლდათ, ჰოდა ლარნაკი ჩემგან წაიღეს და შეცხადებას შეუდგნენ.

ედგარსის თვალბებში ერთდროულად იმდენი კითხვა აირ-დაირია, რომ თვალი ავარიდე. მეზობლები შემორბოდნენ, მატულობდა კივილი და შეკითხვების ცქმუტვა ედგარსის გამოხედვაში. „ეს ტრადიცია...“ დაბალ ხმაზე დაიწყო და ხელის აწევით გააჩუმე.

– რა მოუვიდა უბედურს? ასე ახალგაზრდას რა სიკვდილი მოერია? – მოაკვივლებდნენ მეზობლის ქალები, თუმცა ორინფარქტგადატანილი ლოთი ბუხოს სიკვდილს ყოველდღე ელოდნენ მეზობლებიც და განსაკუთრებით მისი ძებნით დაღლილი ცოლშვილი, რომლებიც ხან სკოლის უკან თხრილში ჩავარდნილს პოულობდნენ ანგარდაცვლილს და ხან ქუჩაში, მესე-

რის ძირში უგონოდ მიგდებულს. „როდის მოკვდება ერთი, თვითონაც დაისვენოს და ჩვენც დაგვასვენოს?“ დღეში სამჯერ ხელაპყრობილი ეკითხებოდა ზეცას მიმოზა...

ქალებმა მიმოზა დაანყნარეს, მის მიერვე წინასწარ გამზადებულ სკამზე დასვეს და თვითონაც ჩამომწკრივდნენ კედელთან მიდგმულ სკამებზე. შეცხადებათა პირველმა ტალღამ რომ გადაიარა და ქალები ტირილნარევი ხმით გარდაცვალების დეტალების და წუხანდელი სიზმრების განხილვაზე გადავიდნენ, ედგარსი უცებ გონს მოეგო და დაბალ ხმაზე მკითხა:

– რომელი საათია? ფოსტა უნდა გავზავნო რედაქცია.

– არა აქვთ საათი, – ჩუმადვე ვუპასუხე, – გავიდეთ...

– გვაქ უკვე საათი, გვაააქ! – აქვითინდა უცებ მიმოზა, – ბუხოს უკეთია საათი! მაჯის საათი უყვარდა უბედურს და სულ მეხვეწებოდა, მაჯის საათი მიყიდეოო. ვუყიდეთ ამ დილას, დედაა! ახლა ხომ გექნება საათი, ბუხუტი, გენაცვალე, დაიხედე ხოლმე და გვითხარი, რა დროააა... მიდი, შვილო, ედგარს, დახედე, ბუხოს დროით რომელი საათია, ნენააა!...

ედგარსი მორჩილად მივიდა და დახედა.

– პირველი აკლია ათი ცუთი! – თქვა ედგარსმა.



ქალები ისევ აქვითინდნენ. გავიდეთ-მეთქი, ედგარსს ვუთხარი და გამოვედი. ლექსო მოსულიყო და სამზარეულოში ყავას იმზადებდა. ედგარსი ლექსოს მიეჭრა და მიცვალბულის დროით მუშაობის ტრადიციის შესახებ მშფოთვარე ქართულ-რუსულ-ლატვიურ-გერმანული სიტყვა წარმოთქვა.

– მაგენი მე მკით-

ხე, ედგარსიე, ძამია! – ამაყად გაიჯგომა ლექსო და სიგარეტს მოუკიდა. მერე თითებზე ჩამოთვალა, – მამა იმერელი მყავს, დედა გურული, ერთი ბებია სვანი და მეორე ბებია – მეგრელი. იმფერ ქელეხებს განახებ და მოგიყვები, რომე... საქართველოს, ძმაო, რომ უყურებ, პატარაა, მარა ყოველ 30-40 კილომეტრში სულ სხვადასხვა ქელეხია! ფოლკლორია ეგეც...

ედგარსი გაფაციცებული უსმენდა და ისეთ აზარტში ჩავარდა, რომ ყოველდღე დამყვებოდა მიმოზასთან პანაშვიდზე და მერე პანაშვიდის რეპორტაჟს გზავნიდა ლატვიაში. გავდიოდით, როგორც კარის მეზობლები, ცოტა ხანს ვჩერდებოდით... ედგარსი აკვირდებოდა ახალ-ახალ მოტირალთა დელეგაციების მოსვლას და შეცხადებებს, სამზადისს. მთელი ამ სამზადისის დროს, თუ ვინმე იკითხავდა, რომელი საათიაო, მიმოზა წამსვე ბუხოსთან აგზავნიდა, ბუხოს უკეთია საათი, დახედეთო. ბუხოს დროით მიმდინარეობდა სამზადისი. რამდენიმე ჭირისუფალმა თავისი საათი ბუხოს საათზე გაასწორა კიდევაც... ხარშავდნენ, წვავდნენ, აჭაშნიკებდნენ თუ საყიდლებზე მიდი-მოდიოდნენ, ხომ არ გვაგვიანდებაო, ბუხოს საათზე სწორდებოდნენ. ისეთი შეგრძნება გექონდა, რომ ბუხო თავის სამზადისს თვითონვე ხელმძღვანელობდა. ცოტალა აკლდა, საათზე ხელს დაგვირტყამდა და შემოგვიღრენდა, გაინძერით, თქვენ მე დამაგვიანებთო...

ხუთი დღე ბუხოს დროით იმუშავა ოჯახმა და უბანმა. ბუხოს დროით სამ საათზე გავდივართო, ლექსომ გააფრთხილა კუბოს ამწევი ბიჭები.

მართლაც, ბუხოს დროით სამ საათზე გავასვენეთ ბუხო.

ბუხოს დროსთან ერთად დავასაფლავეთ...

გასვენების მერე ედგარსი სადღაც გაქრა და დაახლოებით ერთ საათში დაბრუნდა შეფუთული კედლის საათით, უსაათოდ დარჩა ოჯახი და უნდა დავუკიდო კედელზეო.

– მაგ ლოგიკით, ედგარსიე, ბებიაჩემს

რო საკერავი მაშინა ჩააყოლეს ზუგდიდში, კერვა უყვარდაო, მაშინ „ზინგერი“ უნდა უყიდო ოჯახს, „უზინგეროდ“ დარჩა ოჯახი, – დაახითხითა ლექსომ.

– „ზინგერი“?!

– აბა, შენ რა გეგონა?! ბებიაჩემის ძმას კიდო ქვევრი რო ჩოუდგეს საფლავთან და ღვინოს უყენებენ ყოველ შემოდგომაზე, ქეიფი უყვარდაო, ხრიკოლა რო ოუყუდეს გვერდზე, ხელს გადმოყოფს და ღვინოს ამეილებსო, იმ ჭურის თავზე უნდა გაქეიფო დოლ-გარმონით. ეეე, შენ არ იცი, რა გელის.

– ქვევრი?! – ახლა მე მომიბრუნდა გაოცებული ედგარსი.

– საქართველოა აქანე, ძამია. ეს ცალკე ფოლკლორია კიდო. იმფერ დაცემა ქელეხებს მოგავლევებ, ის შენი საგაზეთო სვეტი ნაქცეული დაგხვდება, რო ჩახვალ ლატვიაში...

## დედოფლის ქონი

ყორეს ჩაუარა, გაჰყვა, თითების წვერები გადაატარა თბილ ქვებზე:

– ციხე-კოშკებო, იცოდეთ, არავინ გადმოფრინდეს ბროლის გალავანზე, ფასკუნჯის გარდა!

ქვებს შორის ამოზრდილ კესანეებს, ბავშვებო, ჩემ მოსვლამდე დახუჭობანა ითამაშეთო, დაუბარა.

გოჭებს ჩაუარა და, ნაზირ-ვეზირნო, ჩემი მოსვლისთვის მუქი მწვანე ფიანდაზები დააფინეთო.

დიდვეზირს ფხიზლად ყოფნა დაავალა. დიდვეზირმა ირიბად გამოხედა, ბიბილო გვერდზე მოიგდო:

– გველემაპი და დევი რომ გამოჩნდნენ, მაშინ რა ვქნათ? – გოროზად ბოლთას სცემდა დიდვეზირი.

– სუფრა გაუშალეთ და ნანადირევი მიართვით. ეს კეთილი სამეფოა. ისაა... დევიც კეთილია და გველემაპიც, რო იცოდევმეგობრობთ ჩვენ, სათამაშოდ დადიან ჩემთან. დიხაც!..

მერე ქლიავის ხეს გაუარა, ქლიავის ფი-

ლის ამობურცულ კოკრებზე პანანა თითები მიაჭირა. ქარვები შემაგრებულყვენ, ოდნავლა იდრიკებოდნენ. თვალ-მარგალიტი ღარიბებს დაურიგეთო, ასძახა ქლიავის ხეს.

– მსახურებო, გახსენით ჭიშკარი! – მარცხენასანდლიანი პანანა მარჯვენა ფეხით დაბალ კარს მიაწვა და ეზოდან გავიდა. – დახურეთ ჭიშკარი! – ბრძანა. კარი თავისით მიიხურა.

ბაბუას ნიქარა და ქერუჩა კარს გარედან მოსდგომოდნენ. ქერუჩას მოერიდე, ავი ხარიაო, ბებია ამბობდა, ნიქარაა ჭკუიანიო. სულაც არ იყო ქერუჩა ავი. მხოლოდ თავს აქნევდა და ფრუტუნებდა. არავინ არაა ავი, ყველა კეთილია. ზოგს თავის ქნევა და ფრუტუნი უყვარს, ზოგს – რძის დაღევა და კნავილი, ზოგს – ღვინის დაღევა და სიმღერა, ზოგს – ცაზე გადაგორება და გრუხუნი, ზოგს – ადიდება და ხიდების წაღება.

უბრალოდ, ნიქარას უფრო ადვილად ჩამოეკონწიალები რქებზე – თავს დაბლა გიხრის, გყნოსავს... ყელზე მოსახვევადაც მისწვდები და, როცა თმებს გილოკავს და ყურში მთის წვერიდან წამოღებულ ნიავს ჩაგქმენს, მაშინ შეგიძლია დრუნჩხეც აკოცო...

ქერუჩამ ერთი მოხედა და ცოხნა განაგრძო. ნიქარამ შეაჩერა ცოხნა, შუბლზე

დაცნოსა და სახეში ბალახის სურნელი რომ შეასუნთქა, ლილემ პანანა ხელებით დაიჭირა მისი დრუნჩი და აუხსნელი წყურვილით ანკლაპუნებულმა, დრუნჩზე მსუბუქად უკბინა. რალაც სწყუროდა: თან ის ბალახი პირიდან გამოეჭამა ნიქარასთვის, მაგრამ ბალახი არ მოუჩანდა ნიქარას, მარტო ბალახის სუნი მოუჩანდა; თან თითქოს თხევადი ბალახი უნდა დაეღია ხარის დრუნჩიდან... ნეტავ თვითონაც ხბო იყოს და ასე ბალახის სუნით სუნთქავდეს – კეთილი სამეფოს დედოფალი წამში წითელ ხბოდ გადაიქცა. დახედა ბაიებს და მრავალძარღვებს...

უცებ „წინწკ!“ „წინწკ!“ – დაწინწკლა მრავალძარღვას ფოთოლი და არსაიდან, ცხელი დღის სალამოდან, სამიოდ ღრუბლის მიფანტულ—მოფანტული, დასავლეთისკენ ნაზიდული თხელი ნაფლეთიდან, ჩამავალი მზის ირიბი სხივებიდან, ცის სილურჯეში ხელდაბანილი ღრუბლის წამცვრევივით მსუბუქი წვიმა წამოვიდა. ლილემ პირი დაალო და წვიმას შეუშვირა იმ უცნაური წყურვილის მოსაკლავად, თხევადი ბალახის, თუ თხევადი სამყაროს დაღევას რომ სთხოვდა. მაგრამ ცოტა წვიმა იყო, ფირფილა, სახეზე სიფრიფანა ხილბანდივით ეფინებოდა ნოტიო აირი და ვერ არწყულებდა – ტყუილად ისვლევდა პანანა ტუჩებს...

უცებ გაახსენდა, რომ სახლში უნდა გა-



იქცეს, ან სადმე ხურვილს შეეფაროს, როგორც კი წვიმა წამოვა. ჰოდა წავიდა სახლში – ნიქარას ყელქვეშ შეუძვრა ჯერ, ჩაცუცქდა. მერე ისევ ადგა, ფეხებზე ხელი ჩაავლო და როგორც მეჩხერ მესერში, ისე გაძვრა ხარის წინა ფეხებში. შეინვიმა ხარის ქვეშ. ახლა იქ ჩაცუცქდა, სახურავს ახედა – ვეება ქვევრივით მუცელი სუნთქავდა და მფეთქავ ტალღებად უგზავნიდა სითბოს.

ნიქარამ მოხედა, დაყნოსა, მერე წინ გაიხედა და ცოხნა განაგრძო. ლილემ სათამაშო ბელი ბალახზე დაანვინა და ეს ჩვენი სასახლეაო, უთხრა. სასახლის ოთხ სვეტს ახედა, მონყვიტა თიკნიყურას ფოთოლი და რიგ—რიგობით გაუპრიალა ხარს ოთხივე ჩლიქი – სასახლის მარმარილოს სვეტები უნდა პრიალებდეს.

მერე აქ ფასკუნჯი მოფრინდება, ლამეს გაუნათებს, ფრთებზე შეისვამს და მთვარისკენ გაფრინდება. დროდადრო ნიქარა თავს მოიღებდა, ეს რაღააო? – ჩლიქებსაც პირველად უპრიალებდნენ თიკნიყურას ფოთლით და ხარის ქვეშ შეწვიმებულ-ჩაცუცქულ ბავშვსაც პირველად ხედავდა...

...მერე მარმარილოს სვეტებს მორთავს გადამრეველას ხვიარებით და, როცა უფლისწული მოვა, დასხდებიან და ერთად უყურებენ წვიმას... ლილე ბალახზე წამოწავა, რომ უკულმათალოვანი ჭერი უკეთესად ეთვალეებინა. ხარის ქვეშ შეწვიმებულმა ისეთი სიმყუდროვე იგრძნო, რომ სასახლე ქონით შეცვალა. ქონშია, ტყის ქონში! ტყეში კეთილი დევები ცხოვრობენ და პატარა დათვის ბელები. მერე დათვის ბელებს ქონში შემოიყვანს და ... ერთი აგერ არ ჰყავს? ...

ლილეს თვალი უჭრელდება – ცრის წვიმა – ცვივა მზის აღმაცერ სხივებში გაბრჭყვიალებული ბრილიანტის ნამსხვრეები...



– წვიმა იწყება, გიო! ჩირი რო მაქ გაფენილი შრამელაზე და ჭანჭურის ტყლაპი, შემოიტანე. ხბოს ამოვიყვან მე.

– ქალო, რავა სულ ხბო და ტყლაპი გელანდება! ბოვში სად არი, ბოვში?

– ბასილაანთსა გავიდა, მარიამასთან თამამობს.

– რა ბასილაანთსა?! აგერ ახლა ეზოში დაბოდილომბდა, ქლიავს ელაპარიკებოდა თავისებურად და მამალს.

– შენ მასწავლი, კაცო, მარიამასთან გავალო და გავიდა. აგერ დადე ეგ ტყლაპი, სტოლზე. ჩირი ხაპის სახურავზე დაფინე თავის კლიონკით, ასკილის გვერდზე... მერე ხარებიც შემოუშვი, ძაან რო ინვიმოს ამაღამ...

– ძაან რამ უნდა ინვიმოს, ქალო, ღრუბელი არსად არი!

– ღრუბელი თუ არ არი, აპა რა წვიმს? მე ვწვიმავარა?

– ეგ რა ღრუბელია?! ეგ ღრუბლის ფტვერია! – გიომ ეზოს კარები გაალო და გამობრუნდა. – სვეი, ნიქარა, სვეი!

ქერუჩა ცოტა ხანს დაელოდა... რადგან ნიქარა არ იძვროდა ადგილიდან, თავის ქნევით და ფრუტუნით დაიძრა, ნიქარას გამოუარა და, მის ცხოვრებაში პირველად, უფროსზე ადრე შემოვიდა ეზოში.

– სვეი, ნიქარა, სვეეეი! მოდი, აპა!

კაცმა უხმოდ მოაგროვა ეზოში მიყრილ—მოყრილი ნაჯახი, სახრე და ჭაპანი. მერე გიდელი და თოკი შეიტანა საბძელში, ჭაპანი ძელზე გადაკიდა. უღელი ხურვილში მიაყუდა, ფოჩხ-ფინალთან.

– წინილეებმა თუ შეიბუდეს, ნეტავი?... კაცო, რატო არ შემოდის ე ხარი? სვეეი, ნიქარა, აპა, მოდი!

– შემოვა, აპა სა წავა?

– გამოიხედავს, მერე დაბლა დაიხედავს, მერე ისევე აქით გამოიხედავს და თავს აქნევს. ფეხი ხო არა ტკივა?

– ფეხი კი არა, ისა კიდე, კუდი!

– მე შენ გეუნები, ხარს გახედე. ან ფეხი ტკივა, ან გამოედო რასმეს და დაბორკილია. სვეი, ნიქარა, სვეეეი!

– დაბორკილი კი არა, დახორკილი კიდე! მე შენ გეუნები, ქალო, ბოვშს გახედე, არ წამოვიდეს წვიმაში.

– რას ამბობ, ახლა წვიმაში გამოუშვებს ელზა ხუთი წლის ბოვშს? ხარს გახედე—თქვა, მე მითქვია!

– ბოვშს გახედე—თქვა, მე მითქვია!  
ოლიამ თავისი ქალიშვილობისდროინდელი, ხის ჩხირებიანი, ცალფერდამოვარდნილი შავი ქოლგა აიღო და ეზოს კარისკენ წავიდა. მიჰყვა გიოც:

– სვეი, წიქარა, დაყრუვდი, თუ?

პირველი ოლია გავიდა კარში. უცებ პირზე ხელი აიფარა და ხელსზემოთ აპარპალელებული ფართო თვალებით ქმარს მოხედა. თმენას ნაჩვევი ქალი იყო – არ იკივლა. ხარის ქვეშ, მშრალ ბალახზე, ბელჩახუტებული ინვა ლილე. ნაბლისფერი სწორი თმების ნაპრალიდან თეთრი შუბლი და ლამაზი, ღიმილდაფენილი ტკბილი ძილი მოუჩანდა. მისი ქოხი კი იდგა სუნთქვაშეკრული, წვიმას უსახურავებდა და თვალებით ამბებს ყვებოდა. ქოხმა ჯერ გიო და ოლია დაყნოსა, მერე ლილესკენ მიიხედა. რალაც უცნაურმა ზაფრამ და სიხარულმა ჩამოიარა სამთა შორის და ოლიას ქოლგა უხმოდ გადააწოდა გიოს, ბავშვი ქაფივით ფრთხილად აიყვანა ბებიას ხელებით, გიოს ხელებით ქოლგა მოუჩარდახა და ლილეს ბელი აიღო. ეს უცნაური, ფრთხილი პროცესია სახლისკენ ისე დაიძრა, რომ წიქარას „სვეი, წიქარა!“ აღარ დასჭირვებია...

როცა ლილე უხმოდ ჩაანვინეს ლოგინში და გარეთ გავიდნენ, მაშინლა ამოიღეს ხმა:

– რალა ვქნა, ხო არ გაცივდება?

– რა გააცივებს, მინაც თბილია და ბა-

ლახიც. ქოხიც საიმედო მოუნახავს. – ჩაიცინა გიომ. ხარს მიეფერა.

– მიდი, ქვა-მარილი გამოუტანე, ცოტახანს ტლიკოს, დაიმსახურა... მერე ქატოც მიეცი ორივეს.

– აპა ამას საქონელი უნდა ერქვას და დათუკანთ მამონტის – გამგებელი? ქვა-მარილი კი არა, თაფლი და შაქარი ეკუთვნის ამას და ღირსების ორდენი.

– მაგისი თაფლი და შაქარი ქვა-მარილია და ღირსების ორდენი კიდე – ქატო. ორდენი ჭამოს?

სანამ გიომ ორი ქვამარილი გამოიტანა, ოლია შევიდა და ბავშვს დახედა... ერთხანს უყურეს, როგორ ლოკავდნენ ხარები ქვამარილს. წვიმა ნელ—ნელა სულ გაიცრიცა და ნოტიო ეთერად იქცა.

– ხო გითხარი, ხარს გახედე—თქვა!

– მეც ხო გითხარი, ბოვშს გახედე—თქვა!

რალაც უმადოდ ლოკავდა წიქარა – შფოთვის შლეიფი გამოჰყვა იმ სასახლიდან, თუ ქოხიდან.

ამდენი არასდროს უნერვიულია, უჰ! -

რა აღარ უნახავს: მეხი უნახავს, ღვარცოფი უნახავს, მენყერი, დათვი...

ქვაფტკარში ზურგულით მდგარა სამ ხართან ერთად მგლების მოსაგერიებლად.

აი, ხარის ქვეშ შეწვიმებული ბავშვის ქოხად კი პირველად იდგა.





## ცირა ყურაშვილი

ბორის გაპონოვი გამორჩეული სახელია, როგორც ქართული, ასევე ებრაული კულტურის ისტორიაში. მან ფასდაუდებელი წვლილი დასდო ქართულ პოეზიას – ივრითზე თარგმნა „ვეფხისტყაოსანი“ და მისი ნაღვანი უპირობოდ აღიარეს კონგენიალურ თარგმანად.



ბორის გაპონოვი ყირიმის ქ. ევპატორიაში დაიბადა. 1941 წელს, ომის დროს, ოჯახთან ერთად საქართველოში ჩამოვიდა და ქუთაისში დასახლდა. 1953 წელს დაამთავრა ქუთაისის მე-9 საშუალო სკოლა. იმავე წელს ჩაირიცხა მოსკოვის აღმოსავლური ენების ინსტიტუტში, მაგრამ უსახსრობის გამო იძულებული გახდა, სწავლისთვის თავი დაენებებინა და 1955 წელს ქუთაისში დაბრუნებულიყო. მუშაობდა სხვადასხვა გაზეთის რედაქციაში. 60-იანი წლებიდან ენეოდა მთარგმნელობით საქმიანობას. მან კარგად იცოდა ქართული, ასევე ივრითი, რომელსაც ბაბუა (რაბინი) ასწავლიდა. სწორედ ამ ზედმიწევნითმა ცოდნამ და უტყუარმა მთარგმნელობითმა ნიჭმა განსაზღვრა მის მიერ ებრაულ ენაზე შესრულებული „ვეფხისტყაოსნის“ მაღალი მხატვრული დონე. პოემის გაპონოვისეული სრული თარგმანი 1969 წელს გამოიცა ისრაელში და მიენიჭა ისრაელის ორი ეროვნული პრემია: შაულ ჩერნიხოვისა (1969) და პრეზიდენტის (1971) სახელობისა; გარდაცვალების შემდეგ კი, 1989 წელს – შოთა რუსთაველის სახელობის პრემია. 1971 წელს ბორის გაპონოვი ისრაელში გადავიდა საცხოვრებლად.

„ვეფხისტყაოსნის“ გარდა, გაპონოვმა თარგმნა ილია ჭავჭავაძისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსები. მან მსოფლიოს საუკეთესო მთარგმნელთა შორის დაიმკვიდრა სახელი.

ბორის გაპონოვი ისრაელში, ქალაქ რამათგანში გარდაიცვალა.

2014 წელს ქუთაისელმა ლიტერატურულმა საზოგადოებამ ბორის გაპონოვის დაბადებიდან მე-80 წლის იუბილე აღნიშნა.

მწერალ ცირა ყურაშვილის ორი მოთხრობა, ბორის გაპონოვს ეძღვნება, რომლებსაც „ცისკარი 1852“ გთავაზობთ.

## მეწამული მაგნოლია

წითელი ხიდის თავში, ფისონის პირას, გაბაშვილის გორის გადმოსახედზე, ბარქაიების ეზოში, მეწამული მაგნოლია ამოზრდილა, ფესვებით მდინარის გულს ჩასჭიდებია,

სიმაღლით ხიდსაც ამოსცდენია და კი არ დგას, სიცოცხლის ხედ მკვიდრად ბინადრობს.

გაზაფხულზე, სითბო და ტენი ერთად

მოქალაქეა თუ არა, მოგრძო ყვავილები მენამული სისხლ-ხორციით დაიტენება, საკმევლის სურნელით აივსება, გაიშლებ-გაბუჟუჟდება და კი არ ყვავის, თითქოს მთელი ქალაქის თვალწინ მენამულვარსკვლავიანი კარავი დასცაო პირველმქმნელმა დასავანებლად. ისე მფეთქავი, ალერსიანად მოყვავილე ხდება ამ მზისქვეშ, როგორც სულის მობერვა ლუთისა მიერ კაცთა მართ. ფოსონიც ხომ ამასვე ნიშნავს, ამ მაღლფენას, ანაც სხვაგვარად, სტუმართ საჭურვლის დაცვა-შენახვას.

ბარქაიების სახლის მეორე სართულიდან ქალი ჩამოდის – ქრისტინე და მენამული მაგნოლიის ქვეშ გაბმულ მავთულზე თოვლივით უმტვერო თეთრეულს აფენს. საბნის თეთრ საპირეთა გაღელილი გულეები მდინარის გრილ სუნთქვას ისრუტავენ, მუცელში იმწყვდევენ, კვიტაისის ქარებით ორსულდებიან, დაკუდნულ-ბოლომოფცქენილი დედლების ყრუ კუთვასა და გაბმულ კაკანში ქარებს ასდევ-ჩასდევნ მარადისი ფრიალ-ფრიალით.

ეზოში ონკანი დგას, ვითარცა იაკობის ჭა, თუმც ლითონის მილია უბრალოდ მიწიდან ამომართულ-ჩამოკაუჭებული, ინდაურის თავ-ნისკარტ-ჩიჩახვივით. თუ უწყლობაა და ეს ხშირად ხდება, მთელი უბანი ამ ონკანით სულდგმულობს, აქ გამუდმებით არის წყალი და ოფლმოდენილ, მონყურებულ მგზავრს შეუძლია ითხოვოს – „მასუთ მე წყალი...“

აქ იყრიან თავს საშინაო ხალათებით თუ პიჟამებით, ფოსტლების ნელი ფლატუნით, მასლაათით და ემალის სათლების რაკუნ-რაკუნით. საჩქარო არაფერია, ხვალინდელი დღეც ამ კვირისაა და ონკანიდან კარგა მოცილებით, 100 ნაბიჯზე, მაინც იჭიმება მწყურვალთა რიგი, რადგან ყველაფერს მოიკლებს ადამიანი, წყალს ვერ მოიკლებს, თუმც „ყოველი, რომელი სუმიდეს წყლისა ამისგან, სწყუროდის კვალად...“

ნითელ ხიდს აქეთ, ყოფილ ბერიას ქუჩის დასაწყისში, ეგუდიელ თავდიდიშვილის სახლია, ტანდაბალი, მკვირცხლი იერის რკინის ხელოსნის, ნიკელის საწოლების ხა-

რატის. გასაბჭოების ტალღას ქვედა სართული ხელიდან გამოუცლია ხელოსნისთვის – იქ დასუფთავების ტრესტისთვის მიუჩენიათ ბინა, მეორე სართულზე კი ცხენი გაჭენდება, ხუთი ოთახის ბარიერი რომ არ აკავებდეს. ეზოც დიდია, უამრავი სათავსოთი და რკინის მასალა-იარაღით.

ქუჩას ეგუდის ვაჟის, მაისე თავდიდიშვილის ოთახის ფანჯრები გადაჰყურებს. 21 წლის მაისე ფრონტზეა დაღუპული, მაგრამ მამას არ სჯერა მისი გარდაცვალების ამბავი, ამიტომ ათწლეულებია, მაისეს ოთახს არავის აკარებს. ოთახის მოსახმარისად აქ კარს ვერავენ შეხსნის, ხელუხლებელია, ისევეა განყოფილი, როგორც მაისეს ომში განწვევამდე იყო: შუაგულში დათვისფეხებიანი ძველებური სანური მაგიდა დგას, მაგიდაზე თეთრხელსახოცგადაფარებული საბეჭდი მანქანაა, აღმოსავლეთით, კედლის გასწვრივ, ეგუდის მიერ გამოხარატებული ორი ნიკელის საწოლი დგას, იქვე, თავითი, ძველებური „შიფანერკა“ – კაკლის ხის მოჩუქურთმებული, მუქი ყავისფერი კარადაა, რომლის თარო-საკიდებზე ეგუდის ცოლს – მირიამ-დებორას ათწლეულობით მზეუნახავ-გამოუმზეურებელი შიფონის კაბები თუ სხვა პენიანი ტანთსაცმელი მოუთავსებია, პირადი ნივთებისთვის მიუჩენია ადგილი. 14 წლამდე იერუსალიმში გაზრდილი, ივრითის კარგად მცოდნე განათლებული ქალის გემოვნებით აღბეჭდილა ეს ნივთები, თუმც მათი სიღბო და ფერადოვნება ფრონტზე წასულ და ვერდაბრუნებულ შვილზე მგლოვარე ქალისთვის სამუდამოდ გახუნებულა. დასავლეთის კედელთან მონმობის კიდობნის მსგავსი, კაკლის ხისგან დამზადებული და სპილენძის ფირფიტებით შემკულ-მოჩუქურთმებული კიდობანი დევს, რომელშიც მაისეს საკონცერტო ტანსაცმელი ინახება. კიდობანს დიდი გასაღები აქვს, გადაატრიალებ, თუ არა, მელოდია ახმიანდება, ამიტომ მას „მომღერალ კიდობანს“ არქმევენ ოთახში ჩუმად შეპარული ეგუდის შვილიშვილები. მასზე მწვანე ხავერდისყდიანი დიდი საოჯახო ფოტოალბომი დევს. აი, მაისეც, ქუთაისის ფილარმონიის ადმინის-

ტრატორი, კონფერანსიეც საჭიროებისას – უდრტვინველ თვალთა მზერით, დატეხილი წარბებით, წითური, ტალღისებურად გადავარცხნილი ქოჩრითა და მოკლედ დაყენებული წითურივე უღვაშით. კიდობანში მისი ან უკვე დაუქმებული სამოსი ინახება: თეთრი პერანგები, თეთრი ხელთათმანები, მეზღვაურის „მატროსკა“, ფრაკი, ბაბთა, ცილინდრი, ხელჯოხი...

და ამ ყველაფერს ზემოდან უზარმაზარი ჩინური ლამპა გადმოჰყურებს. ასე უნდა იყოს, ასეც არის... მაგრამ ახლა ვიღაც დახრილა დათვისფეხებიან საწერ მაგიდასთან და ხელნაწერს უკირკიტებს, დროდადრო საბეჭდ მანქანასაც უკაკუნებს. პატარა გოგონები კარის ღრეჭიმალოდან გაფაციცებით ადევნებენ თვალს უცხო კაცის ხელის მოძრაობებს, მის წერა-ბეჭდვას, იმასაც, ხელის ერთი მოსმით როგორ მოხვეტმოკუჭავს ნაწერ ფურცლებს და სანაგვე ყუთში ჩაუშვებს. გოგონები ბებია-ბაბუის საუბარსაც აყურადებენ უნებლიეთ.

– ბორიას ოთახი ნახევრად სარდაფია, მირიამ, მზე არსაიდან უდგება, ისედაც არ აქვს კარგი ჯანმრთელობა, აქ იმუშავებს ხოლმე, მაისეს ოთახში, თან ივრითის სრულყოფილად შესწავლაშიც დაეხმარები – „ვეფხისტყაოსანს“ ისე ვერ თარგმნის, ხელშეწყობა სჭირდება.

სალამოა... ღია სარკმლიდან მენამული მაგნოლიის სუნთქვა მოაქვს კვიტაისიოს, საწერ მაგიდაზე „ვეფხისტყაოსნის“ ფურ-

ცლებს და თარგმანის ხელნაწერებს აშრი-ალებს, წინასწარმეტყველთა და მახარებელთა პირისპირ გარინდულ მთარგმნელს ყოფს და აშორებს ხილულისგან, მენამულ კარავში აბინადრებს.

– ბორის გაპონოვი ყოფილა ეს კაცი! – კარის ჭუჭრუტანასთან ეჩურჩულება უფროსი გოგონა დაიკოს.

ბულვარს გადმოღმა, არქივთან, „მსახიობთა ტირიფის“ ქვეშ სპექტაკლიდან თავისუფალი მესხიშვილის თეატრის მსახიობი ქალები: მარი, თინათინი, შურა, ნინა და თამარა ტაბურეტებზე ჩამომსხდარან, საუბრობენ, ტკარცალებენ, აქვეა მაისეს დაც – რუთი, თოჯინების თეატრის მსახიობი, სხვებიც ნელ-ნელა ემატებიან, აქეთ მოიჩქარიან განზე დაჭერილი, თუ ილღიაში ამოდებული თავთავიანთი ტაბურეტებით. ხანგადასულ ტირიფს გრძელი თმები დაუშვია და სანახევროდ უმაღავს კიდეც ტაბურეტებზე მსხდარ ქალებს გამვლელ-გამომვლელთა მზერას. თეატრის უკანა მხარეს, კულტურის სახლიდან დოლ-აკორდეონის ხმა ყრუდ გამოისმის. ოპერის მხრიდან მოცეკვავე და ქორეოგრაფი დავით უშვერიძე გამოდის ქალების თანხლებით, აზიაცკებსა და ბლუზაში გამონკეპილი, ხელში ბოხოხით, ხანჯალი აკლია, ცერებზე რონინით კი ისედაც მოდის.

კვიტაისქარი აშრიალებს მენამულ მაგნოლიას. სისხლ-ხორციით დატენილი მენამული ყვავილები მკრთალდებიან, ილევიან, იშრიტებიან და სტრიქონებად, ფოტოსურათებად, მოძრავ და ხმოვან კადრებად სხეულდებიან. ფისონი გამოედინება ღვთის ბაღიდან, რწყავს ფესვებს მენამული მაგნოლიისას; ფერავს, აპრიალებს, ინახავს სტუმართ საჭურველს და სტოვებს სევდას გადაყვავილებულ თაობებზე.

ბრიტანელ ენათმეცნიერთა ჯგუფი, პატრიკ კრიგერისა და ალან ლინდსეის



წარმომადგენლობით, ქუთაისში, საფიჩხიაზე, გენიალურ პოეტს სტუმრობენ და იმდენი რამ ხდება, ჰორაციო!

პატრიკ კრიგერმა შენობა შეათვალიერა. საკმაოდ ფართო და ჭერმაღალი, თეთრი ფიქალით ნაგები, თუმცა ადამიანის თვალისთვის მაინც უსიამო, სწორკუთხა, ცივი... ის პრაქტიკულადაც გამოუსადეგარი სჩანდა.

– ყაზარმას ჰგავს, – გადაულაპარაკა ალან ლინდსეის.

– სხვა სახლთა ფონზე სასახლეა, – მიუგო ლინდსეიმ და სათვალე შეისწორა. – რაც მთავარია, პოეტის გენიალურ შრომას არ ეტყობა ეს პირქუში გარემო...

ბრიტანელ მეცნიერთა დელეგაცია კიბეებს აუყვავა.

წინ პოეტი მიუძღოდათ, საშუალო სიმაღლის ბექებანიერი ახალგაზრდა კაცი. ხშირი, სწორი, შავად აპრიანებული თმა უკან გადაეყარებოდა. ის სასახლის ზღურბლზე შედგა და კარი მოკრძალებით გამოაღო.

სასახლის შიგა ინტერიერმა, სიხალვათემ, ფერწერული ტილოებით მორთულმა დარბაზმა კარგი შთაბეჭდილება მოახდინეს სტუმრებზე. ამას დამატა გრძელი სუფრაც მაღალი ფუფურებით, შამპანურის ქაფქაფით და საუცხოო მომსახურე პერსონალით, თუმცა სტუმრებმა ვერ გაარკვიეს, ისინი პოეტის მოსამსახურენი იყვნენ, საგანგებოდ ამ დღისთვის სტუმრებთან შესაგებებლად შემოკრებილი კოლეგები, თუ უბრალოდ, ნაცნობ-მეგობრები...

მასპინძლის მაღალი შუბლი და სათვალის ქვეშ ოდნავ მოჭუტული თვალები სტუმართა ყურადღების ცენტრში მოექცა.

– მოხარულნი ვართ თქვენი გაცნობით და ოჯახში სტუმრობით, მისტერ ბორის დოვ! გავეცანით თქვენს ლექციებს ბიბლიური მოტივების შესახებ, ასევე ცვი ზოჰარის რედაქტორობით გამოცემულ თქვენს კონგენიალურ თარგმანს ქართული პოემისა. ტექნიკური გაფორმებაც კი წიგნისა საოცარია: ქალაქის ფაქტურა, ფერი ეტრატსა ჰგავს, ილუსტრაციაც, მინიატურები

თავაქარაშვილისა, მშვენიერი... აი, წიგნიც, ინებეთ...

ბორისი იღიმის. მაღალი შუბლი უნათდება. სათვალის ქვეშ ოდნავ ეჭუტება თვალები: – გამოცემული წიგნი პირველად აბრაამ ბელოვმა გადმომცა ლექციის წაკითხვის შემდეგ. ეს ერთი წლის წინათ იყო, აზიის ხალხთა ინსტიტუტის ლენინგრადის ფილიალში... სასიამოვნო საჩუქარია... ამ თარგმანზე მუშაობისას ჩემ წინ ორი ამოცანა იდგა: ქართულ დედანთან სიახლოვე და ებრაული ლექსის პოეტურ-გამომსახველობითი ფორმების დამორჩილება პოემისათვის. ვფიქრობ, თავი გავართვი.

– ბრწყინვალედ, ბრწყინვალედ... არათუ თავი გაართვით, თქვენ ზეამოცანა შეასრულეთ, საულ ჩერნიხოვსკის პრემიაც ამის დასტურია. თქვენ საოცარი გმირობა ჩაიდინეთ, ბორის დოვ, თქვენ მსოფლიო პრესა ააღაპარაკეთ...

სტუმრები კმაყოფილი არიან. მშვენიერი დღეა, თბილი... გარემოც არაჩვეულებრივ იერს იძენს, ისედაც ფართოა, ნათელი... პოეტი და მთარგმნელი მასპინძელი საუცხოო ადამიანია, უნიჭიერესი, მისთვის გამოვლილი გზა ამაღ ღირდა, მასთან საუბარი ერთი სიამოვნებაა. რამდენიმე ენა იცის, ლაპარაკობს დაკვირვებით და შეუცდომლად. ისიც სასიამოვნოა, რომ მის სახლში შამპანური წვიმს, ფუფურები წკრიალებს, მომსახურე პერსონალი ყურადღებანიანია. გავრცელებული ხმების მიუხედავად, ჩანს, საბჭოეთში პოეტის შრომას აფასებენ. ასეც უნდა იყოს, ბორისი ხომ გენიალური მთარგმნელია... სხვას ვის ძალუძდა ამხელა საქმე – ხუთი წლის რუდუნებით, ხუთი წლის თავდაუზოგავი შრომით, ივრითზე ამეტიყველებინა პატარა, უჩინარ ქვეყანაში შექმნილი სწორუპოვარი პოემა ვეფხისტყაოსან რაინდზე. ამიტომ ივრითული თარგმანი სულ ახლახან ორიგინალურ მოვლენად შეირაცხა მეცნიერთა მიერ და ის თანადროული ებრაული პოეზიის სერიოზულ შენაძინად ცხადდება. ბორისის თარგმანი ხომ ისეთივე მომწუსხველი და იდუმალია, როგორც ძველებურ განძთსაცავში ნაპოვ-

ნი ძველებრაული ხელნაწერის გაცრეცილი ფოლიანტები.

სტუმრებს ყველაფერი აინტერესებთ: ექსკურსები ბიბლიურ ტექსტში, ნათარგმნი ტექსტის სიახლოვე ქართულ დედანთან, ივრითზე თარგმნის სტილი და ტექნიკა... საუბარი გრძელდება, ბრიტანელ მეცნიერთა სათვალის შუშები საბოლოო კეთილგანწყობას და იმ სიმშვიდეს ირეკლავენ, მყარი გონებრივი და მატერიალური საფუძვლის მქონე, თვითმკმარ, დინჯ ადამიანებს უცებ რომ გამოარჩევთ მასისგან.

გაცხოველებული საუბარი გრძელდება, თავის აპოგეას აღწევს და დროებით წყდება. ყველაფერი მშვენიერია, ოღონდ ბორისის „ნაცნობ-მეგობრები“ მომსახურე პერსონალის ამპლუით კმაყოფილდებიან, ისინი რატომღაც საუბარში არ ერთვებიან, მხოლოდ ბეჯითად ემსახურებიან სტუმრებს, დიდი ყურადღებით ისმენენ და ადევნებენ თვალს ირგვლივ ყველაფერს. ნასიამოვნები სტუმრები ან უკვე ქალაქის დათვალიერებას ეპირებიან, მასპინძელს დროებით ემშვიდობებიან: – საღამოს ისევ შევხვდებით, მისტერ ბორის!

და სასახლის ჭერმაღალი, ფართო დარბაზიდან, გიდის წინამძღოლობით, აივანისკენ იღებენ გეზს, იქიდან კი კიბეზე ეშვებიან.

ბორისიც აჩქარებული ნაბიჯით ჩადის სასახლის კიბეზე.



– რა ხდება, დიომიდე, ბრეგაძეებში?

– მეცნიერი სტუმრები არიან ინგლისიდან. კოლია, ერთი ეს ნაჭერი ამინონე და გადამინახე, ეგ არა, ნამეტანი ძვლიანია, კაცო...

– ბეჩა, ინგლისიდან? ეგი ბორია არაა? ქვემოთ, ჯაფარიძეზე ხომ ჰქონდა ბინა ნაქირავები? აქეთ ხომ არ გადმოსულა?

– ის არის, კი, ბორიაა, გადასულია ჯაფარიძიდან, იოსელიანების ბინაში ახლა სხვა ვიღაც არის, „პიანბაზართან“ უქირავებია ბინა, ამას წინათ შემხვდა... არც ის ბინა დიდი ხვითო, ისიც ნახევრად სარდა-

ფია, მზე არსაიდან უდგება. ალბათ, სამსახურს რომ დასწვდეს, ამისთვის წაინია წინ, რას გაიგებ კაცისას. აქ სტუმრებს თარჯიმნობდა, ალბათ, ბრეგაძეებში და ახლა შინ მიდის. ენები მაგან იცის თუ იცის... ა, ბატონო, თუ არ ჰყავს გამორჩეული ადამიანები ღმერთს: ეს ქართული, რუსული, ძველებრაული ენა – ივრითი, ხომ? იქით ევროპული ენები: ინგლისური, გერმანული, ესპანური, აქეთ აფხაზური, სვანური და მეგრულ-ჭანური, რას იტყვს ამდენს ამ კაცის ტვინი, ა, კოლია, რას იტყვი შენ?

– დიომიდე, შენ რავა მეთვალყურეავით ლაპარაკობ, კაცო, დაგნიშნა ვინმემ გაპონოვის მეთვალყურედ თუ რაშია საქმე? მაგას კი არ აკლია დამსმენები, ისე...

– გაგინყვა თავი, შენ, კოლია, ჩემნაირი გულშემატკივარი, ნეტავ, ბევრი ჰყავდეს ამ კაცს. მწერალთა კავშირში რომ მუშაობდა პოეტი, დომენტი ხომ გახსოვს, ის ნახევარი წელი გაგდებული ჰყავდა სამსახურიდან ვასიკია მათხოვარს, რას ჰქვია ჩემი ნებართვის გარეშე ბეჭედი დაურტყი გაპონოვის დახასიათებას და ლენინგრადის ლიტერატურულ-სამეცნიერო წრეებს დააკავშირო. ალექსანდრე ბარამიძე ეხვეწა მაგათ: ვასიკიას და ბესარიონ ფლენტს, დახასიათებაზე ხელის მოწერას, მაინც არ აღირსეს ბორიას მწერალთა კავშირის წევრად გახდომა, შეწვევა დაენიშნებოდა, ცოტა სულს მოითქვამდა კაცი, ადამიანურ ცხოვრებას ეღირსებოდა. ფული უნდოდა, ალბათ, ამაშიც ვასიკიას, ფული... კაცი უნდა იყო ჯერ, კაცი და მერე მწერალი... არაკაცი მწერლის ნაწერები დაწვნი ცეცხლში...

– სხვანაირად არის, დიომიდე, საქმე, ეგვიპტე ისრაელს ეომება, „საიუზი“ ეგვიპტეს ამარაგებს იარაღით, ისრაელს ამერიკა უჭერს მხარს, ვის ინტერესშია ახლა ძველებრაულ ენაზე პოემის თარგმნა, მიხვდი შენ... თან ის ლექციები ლენინგრადში, ამ უღვთო და ღმერთდაკარგულ ქვეყანაში... რა ბიბლიის ძიება აუტყდა ამ კაცს, იმ ხალხსაც შარს გადაჰყრიდა, ბესარიონ ფლენტს რავა შეეშლებოდა მაგ, ტვინია ცარიელი. ბორიას კაი სამსახური და კაი ცხოვრება კი

არა, კარგად გადარჩა, ტყვია რო არ მიაჭედეს შუბლში.

– ტყვია, ჰო... სანამ კაცის სიცოცხლე- შივე მის დაფასებას არ ვისწავლით, კოლია, ჩვენი საშველი არ იქნება... ამისთანა გონების პატრონ კაცს სამსახური და ასპარეზიც შესაფერი ესაჭიროება, თვითონაც რომ ადამიანურ პირობებში იცხოვროს და ქვეყანასაც უკეთ გამოადგეს. საცოდაობა არაა, ამ გონების პატრონი იმის სათარგმნად მოაცდინო, ავტოქარხნის რომელი-ღაცა საამქრომ რამდენი დეტალი გამოჩარხა? სანამ გაუძღვებს სუსტი ჯანის ადამიანი ასეთ გამომფიტველ საქმეს?

– დიდი სამსახური დიდ დროს და ძალისხმევასაც ითხოვს, დიომიდე, დიდ ხელოვნებას ვერ ეთავსება. ან ერთი უნდა იყოს, ან მეორე... სოსოია მაკარიძემ შემოიარა ამას წინათ და... მთელი დღის სათარგმნს ორ-სამ საათში მოიღვეს ბორია, რომ დარჩენილ დროში სხვა რამეზე იმუშაოს, შესვენებაზე სასადილოშიც კი არ ჩამოდის, შინიდან წამოღებულ ბუტერბროდს ამოიღებს, ცოტას ჩალუქმავს და ასე თავაუღებლად მუშაობსო. „ვეფხისტყაოსანიც“ ისე თარგმნა, არავინ იცოდა, მერე შეიტყო უცებ ყველამ... – ა, მოაყვირა კიდეც ტყიბულიდან სახალხო მატარებელმა, ოთხი გამხდარა უკვე, შე კაცო...

●  
ბრეგაძეების აივნის გადაღმა, მარცხნივ ხილია. ხიდქვეშ ვეება რცხილა დგას, ტოტებით ხიდსაც აცდენილი, მის ღონიერ, მკვირივ ფოთლებს მზე ალაპლაპებს. მღუარი მზეა, თბილი, თვის საბუდარზე დასმული კრუხივით. ხიდს იქით სამორიგეოა, წინ კი, ხიდის პარალელურად, უფრო დაბალში, ისევ ხილია მაზუთიანი შპალებით – რელსები ქუთაისის რკინიგზის სადგურიდან ირიბად, მთვრალივით მოემართება, ამ ხიდს გადივლის და მოწამეთისკენ, ტყიბულისკენ მიეშურება. დილის 10 საათზე ტყიბულისკენ ჩავლილმა სახალხო მატარებელმა ნაშუადღევს, 4 საათისთვის, უკან მოაქროლა მგზავრებით სავსე ექვსი ვაგონი, მანამ კი, მატარებლის და მგზავრთა უსაფრთხო-

ბისთვის, საფიჩხიის ცენტრთან დამაკავშირებელი გზა მორიგემ სულ რამდენიმე წუთით გადაკეტა შლაგბაუმით. ვაგონებიდან ტყიბულის შახტში ცვლებში მომუშავე მამაკაცები გამოიშალნენ. სახალხო მატარებელს ნახევარ საათში ნახშირით დატვირთული სატვირთოც მოჰყვა და ქუთაისის რკინიგზის სადგურის მიმართულებით შეუჩერებელი დგანდგარით გაუყვა გზას...

სტუმართა დელეგაციას ჩამოშორებული პატრიკ კრიგერი და ალან ლინდსეი ხიდზე დგანან, ფოტოაპარატმომარჯვებულნი რელსებგადაღმა ოქროსფერ ლაღ-შაფტს ათვალიერებენ. ხიდქვეშ, თავქვეზე, დაფერდებულზე მოასფალტებული გზაა, იქით რა არის? ხიდზე მიმავალ სტუმრებს სტუდენტი გოგონა პასუხობს, რომ იქით წყალნითელა და გოდოგანია, Ckalwitela, Godogani – იმეორებს ალან ლინდსეი რიტმულ და იდუმალ ტოპონიმებს... „და ოდილაური, ჭოგნარი ენდ კვახჭირი“, ამატებს მატარებლის პანია ბაქანთან მდგარი, უცხო სტუმრების ხილვით გახალისებული ჭარმაგი მორიგე, ხელებს ფართოდ შლის და მომიჯნავე სოფლების ადგილსამყოფელს შემოსწერს, „Chognari and Kvakhchiri – რთულად წარმოსათქმელი ტოპონიმები...“ – ღიმილით ამბობენ ინგლისელი ლინგვისტები.

ხიდს ქვემოთ გაბრიელ ეპისკოპოსის მიერ 1893 წელს ნაკურთხი ამაღლების ტაძარი დგას. მის ქონგურს მტრედები შესევან, ნისკარტები ბუმბულში ჩაუყვიათ, თითქოს ფიქრს მისცემიან. ეკლესიის შიგა კედლები იატაკიდან ერთი ხელის გაშლაზე მარილით არის ამოჭმული. იქ ახლა ბიბლიოთეკაა გახსნილი. წიგნის თაროები ძძიმეა და სავსე ლიტერატურით. სტუმრები ათვალიერებენ ბიბლიოთეკას, რომელსაც გასაკვირი არქიტექტურა აქვს – ფიქალითაა მოპირკეთებული, გუმბათიანია, ეკლესიას ჰგავს, მაგრამ შიგ რატომღაც წიგნები და გაზეთებია. „ბიბლიოთეკის“ სტენდზე კედლის გაზეთია. გაზეთში ფელეტონია სახელწოდებით: „წმინდა მამა“ და მასზე მეუფე ნოემია გამოსახული – გამხდარი, გრძელი თმა-

წვერით, ისეთი გამხდარი, ლამის ლანდი გასდის. ანაფორაზე დიდი ჯვარი ჰკიდია, გვერდით მორწმუნე ქალი უდგას შავხილაბანდგაკრული და შავით შემოსილი. მუხლები შავი კაბით აქვს დაფარული ქალს. სტუმრები ინტერესით ათვალიერებენ კედლის გაზეთს. „ბიბლიოთეკის“ გამგე, დინარა ვ-ც ამჩნევს მათ განსაკუთრებულ ინტერესს საეკლესიო მსახურის ფოტოსურათის მიმართ, სურს სტუმრებს რუსულად უთხრას საზეპირო ვოლტერის რეპლიკიდან, რომელიც მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტში ლექციისას „აზრთა კონაში“ ჩაინერა: „ყველა ცხვირითა და ხუთთითიანი ხელით იბადება, მაგრამ დაბადებით ღვთის იდეა არავის დაჰყოლია“, მაგრამ საზეპირო ავინყდება, თან ვოლტერი ვიქტორ ჰიუგოში ერევა, ვიქტორ ჰიუგო – პასკალში. იბნევა და წითლდება ქალი, ქალაღდის პარკში ჩაყრილი მარილი ახსენდება, დილით, გამთენიისას რომ მიჰქონდა ხოლმე ოჯახში გათოშილს.

ალან ლინდსეი დინარა ვ-ს რაღაცას ეკითხება რუსულად, დინარა ვ. ვერ იგებს, რა სურს უცხოელს და მხოლოდ უღიმის, თავს უქნევს სტუმარს. უნდა უთხრას, რომ ამ ეკლესიაში ადრე, ომის დროს, მის ბავშვობაში, მარილის სანყოფი გახსნეს, მთელი ღამე მარილის უგრძეს რიგში იდგა სიცივით ხელ-ფეხგათოშილი გოგონა, რომ გამთენიისას ქალაღდის პარკში ჩაყრილი რამდენიმე კილო მარილი წაეღო შინ, მრავალსულიან ოჯახში, როცა ყველას ეძინა. მერე მარილს თევზიც დაუმატა ქალაქის ხელმძღვანელობამ, თევზის დასაწყობებას – სხვა სურსათიც. ახლა, 7-8 წელია, წიგნები გადმოიტანეს აქ, ბიბლიოთეკა გაიხსნა, მშობლიურმა პარტიამ სათავეში ჩაუყენა ამ ბიბლიოთეკას, რადგან პარტია ზრუნავს ახალგაზრდობის აღზრდაზე. ეს უნდა უთხრას... ის, რაც ევალება დინარა ვ-ს, მაგრამ ქალი რატომღაც ღელავს, წითლდება და რაღაცას ბუტბუტებს სტუმრებისთვის გაუგებარ ენაზე.

ალან ლინდსეი უყურებს ქალს და ფიქრობს: „ეკლესია მარილით და თევზით და

ბოლოს წიგნებით... არის რაღაც კანონზომიერი ამ ცნებების ურთიერთკავშირში...“

ტადრიდან ხელმარჯვნივ, გზის გადაღმა, მე-5 საშუალო სკოლაა. სკოლიდან თეთრ პერანგებში, მუქ ქვედაბოლოებსა და შარვლებში გამონყოფილი, წითელყელსახვევებზე მოსწავლეები სკოლის პირდაპირ, 26 კომისრის სახელობის დეკორატიულ ბაღში გადარბიან. აქ კინოთეატრია. სტენდზე სანახევროდ მიწებებულ აფიშას წარწერით – „შავი ტიტა“ ქარი აფრიალებს. კინოჟურნალის ჩვენება დაწყებულია. მაყურებელი, ძირითადად ახალგაზრდობა, ცმუკავს, კინოჟურნალი მას არ აინტერესებს, ჩაქუჩით და ნამგლით გადაჯვარდინებული იდეოლოგიური ძალადობა აღიზიანებს, კისერს უკან, ოთხკუთხა სარკმლიდან გამომკრთალ სხივთა ნაკადისკენ მიიქცევის და დაუსტვენს, „მეხაშე, ოე, მეხაშე, გამოუშვი „შავი ტიტა“!

„შავი ტიტას“ დაწყებამდე ყმანვილები უქმად არ ცდებიან, კინოჟურნალის შუქზე დანით ჭრიან კინოთეატრის სკამთა საზურგებს და ზედ ასეთ ინიციალებს სტოვებენ: გ+ბ= შ. – შეყვარებულებს.

გარეთ თბილა, ქარი ოდნავ უსინისილებს ხეებს... და კიდეც იმდენი რამ ხდება, ჰორაციო:

ქუჩის ბოლოში, მოედანთან, ზედ პედინსტიტუტისა და უშიშროების თავზე, ორსართულიანი სახლის „გამონყოფა“ გრძელდება და რეზო ჭეიშვილის „მუსიკა ქარში“ ინასკვება წიგნად...

მილიციის მეორე განყოფილება რეიდებს ატარებს შაუმიანის ქუჩაზე.

რადიოეთერი ფხრინინებს. რადიოხულიგნები: „კაროლ თბილისი“ და „ქუთაისელი ჯოჯო“ „ფანტომასებით“ „აჭუჭყიანებენ“ რადიოეთერს.

ნიკოლოზ კვიციანი „ევროპულ სიღამპლეს“ (იდეოლოგიური ბრძოლის პათოსი ფუტკართა ოჯახებზეც ვრცელდება) გადარჩენილი სკები ბოტანიკური ბაღიდან ნამახვანში მიჰყავს.

სამაჯურების ოსტატს – ხაიმ თ-ს სამაჯურების წარმოებისთვის, ანუ კერძო რენ-

ვისთვის მილიციის მეორე განყოფილება სისხლის სამართლის საქმეს უდგენს.

მეორე აბანოს ქალთა სალონის მანიკურის ხელოსანი სარკის წინ მოძრავ სკამზე ჩამომჯდარ თმის მოდელიორ-ხელოსანს ახალ ამბავს უყვება: ხსნადი ყავა დაუმზადებიათ ყავის მარცვლებისგან... გემოთი და არომატით ოდნავ ჩამოუვარდება თურმე ნატურალურ ყავას.

აბრეშუმკომბინატის მოწინავე მგრეხავი იზოლდა გვალია „ნინოშვილის“ უნივერსიტეტში ფაიფურის პირსაბანს ათვალეირებს.

შატალოვი და ელისეევი „ინტერკოსმო-სით“ მიფრინავენ...

აზერბაიჯანის ქუჩაზე ნინა ჟ. საკუთარ სახლში 100 წყვილ იმპორტულ ქალის „ჩულქს“, ხოლო ზინაიდა მ. 20000 წყვილი ფეხსაცმლის ნაღს მალავს.

ქუთაისის საკონსერვო ქარხანა 8 მილიონის ნაცვლად 10 მილიონ 792 ათას სხვადასხვა სახის კონსერვს უგზავნის საბჭოეთის ქალაქებს.

რეჟისორი გიორგი დანელია სცენარისტ რეზო გაბრიაძეს პოულობს კინოსტუდიის სასადილოსა და ბულალტერიას შორის.

– დაემშვიდობე პატრონს! – ფიქრობს მილიციის მეორე განყოფილების ინსპექტორი, ნოშრევან აბგაძე და მამაკაცის ოქროს საათს სეიფში ინახავს.

...და ის, ვინც ყველგან არის: ბილბორდებზე, 26 კომისრის დეკორატიულ ბაღში, კინოჟურნალებში, მხატვრულ ფილმებში, მარქსიზმ-ლენინიზმის უნივერსიტეტში, ხარიტონ ვარდოშვილის და ხუტა ბერულავას ლექსებში, ახალგაზრდა მწერლების შეკრებებზე, სკოლებსა და ბაღებში, ტროლეიბუსების სადისპეტჩეროებში, ალექსი ერმალოს ძე ფრუიძის მიერ ქალაქის ცენტრალურ მოედანზე ნაპოვნ და ნოშრევან აბგაძის მიერ სეიფში შენახულ მამაკაცის ოქროს საათში, ნიუ-იორკში მოშიმშილე ანჯელა დევისის ჯენჯილა თმაში, „სოიუზპეჩატის“ ჯიხურებში, გაზგამანაწილებელი სადგურების ცისფერ ალში, საავტომობილო ძრავებში, მინისტარის ქარხნის ვახტიორ – ნარგიზა ქიმუცაძის მიერ გამოშვებულ

ბულ ბროლის სახილვეზე, სასტუმრო „ქუთაისის“ ვესტიბიულში დაკიდებულ გარდამავალ წითელ დროშასა თუ ხსნადი ყავის ფხვნილში... ეს ლენინია.

60-იანი წლების მიწურულის ქუთაისია ეს.



ბებია დინას ეძინა, მოხუცის ჭკალარა, გამოფიტული თმა ბალიშზე ეფინა. ბორისმა საღებავაფცქენილი, გაურკვეველი ფერის ძველისძველი ტაბურეტი გარეთ, მზისგულზე გაიტანა და ზღურბლთან იქვე, ბეტონის ბილიკზე დადგა. მზემ მაშინვე შემოხვია თბილი თითები გალიგვებულ სკამს. ოთახში შებრუნებული ბორისი დაიხარა და ზამბარებიან სანოლზე ჩამომჯდარ, ძველ ფოსტლებში ფეხებნაყოფილ, გახუნებული ფლანელის ხალათში გახვეულ გამხდარ ქალს კალთაზე ფრთხილად ჩამოაყრდნო მკლავები.

– დედა, აი, ხომ გჯეროდა ჩემი, დასავლეთსაც მისწვდა შენი შვილის სახელი!

საკუთარ თავში მზერაჩაბრუნებული ქალის თვალეებში მოსიყვარულე სხივი გამოკრთა, მკრთალად გაიღიმა და ისევ საკუთარ თავში ჩაბრუნდა.

– მზის გულზე გავიტანე ტაბურეტი, დედა, ცოტა ხნით გარეთ ჩამოჯექი, რამდენიმე საათში სტუმრებიც წავლენ, მეც აღარ დავყოვნებ, მაშინვე წამოვალ.

ბორისი ოთახიდან გავიდა. ოთახის ზღურბლთან დასხმულ ბეტონის ბილიკზე რამდენიმე ნაბიჯი გადადგა და დაჟანგული ჭიშკარი ღრჭიალ-ღრჭიალით მიხურა.



– დათიკო მეირიჩი დაუჭერიათ? გაიგე, კოლია? ბროსეს ქუჩა, დათიკო... ხაიმზეც სისხლის სამართლის საქმე აღუძრავთ, საათის სამაჯურებს რომ ამზადებდა, კერძო რენვააო. ლიზა რომ არის, ლიზა, აბემის ქალი, იმპორტული „ჩულქები“ უპოვიათ, ქალის ჟაკეტები და კაბები, 1200 მანეთი წაურთმევიათ. ვილაცას კიდევ 20 ათასი წყვილი ფეხსაცმლის ნალი ჩამოუტანია



სასპეკულიანტოდ. შავი ორშაბათი გაუთენათ მილიციის მეორე განყოფილებამ. შენც გაფრთხილდი, კაცო, ყოველ ახალ მთვარეზე იცის მილიციამ ასე და მაშინ თითო კაპიკს მიჰყვებიან ღდინში.

– შენს სადალაქოს მიხედვით შენ და მავ დათხუზნილი ხალათიც შეიცვალე, დიომიდე, იმ ჭოკივით ინგლისელებმა მანდაც არ შემოახედონ თავიანთი ფოტოაპარატი, თორემ საფიჩხიელთა ყბაში ჩავარდნა მერე ნახე.



თეთრ პერანგსა და შავ პიჯაკში გამონყოფილი მასპინძელი სტუმრებს ისევ გულლიად დაუხვდათ. ამჟამად საუბარი „ვეფხისტყაოსნის“ ბიბლიურ ალუზიებს, უღრმეს სიუჟეტურ მოტივებს, ასოციაციებს, პარაფრაზირებებს შეეხო. სტუმრები ბორისის სამომავლო მონოგრაფიითაც დაინტერესდნენ.

– ბიბლია და „ვეფხისტყაოსანი“, ამ ურთიერთკავშირზე აიგება წიგნი, – უთხრა მათ ბორისმა.

საუბარში გართულებმა ვერც კი შეამჩნიეს, ისე ჩამოხვდნენ დარბაზში.

– უცნაური, შეიძლება ითქვას, უაზრო ეკონომიაა! – გაიფიქრა ალან ლინდსეიმ, სათვალე მოიხსნა და შუშებს წმენდა დაუწყო.

– მისტერ ბორის დოვ, გთხოვთ, შუქი ანთოთ! – მოუთმენლად წარმოთქვა სტუმარმა ქალბატონმა და კოლეგების ფიქრიც გაახმოვანა. ბორისი გამოერკვა, წამოდგა, ვრცელი დარბაზის მაღალ კედლებს განივად გადააყოლა მზერა, ჩამრთველს ეძებდა... სტუმრები უხერხულად შეიშმუშნენ, საუბრის ხალისი უცებ ჩაცხრა. „– რას ნიშნავს ეს? – გაიფიქრა პატრიკ კრიგერმა. – კაცი, რომელმაც ივრითის სულს მიაგნო და უღრმესი ბიბლიური შრეებიც იპოვა, საკუთარ სახლში ვერ პოულობს შუქის ჩამრთველს?“

ბორისი უცხოსავით ათვალეერებდა კედლებს, ჯერ ერთგვარი გაოგნებით, შემ-

დეგ ხაზგასმითაც კი, თითქოსდა დემონსტრაციულად ეძებდა ჩვეულებრივ, საბჭოურ ჩამრთველს და ვერ პოულობდა... მოსამსახურე პერსონალიდან ერთ-ერთი სწრაფად შეიჭრა დარბაზში და ბორისს საყვედურით სავსე მზერით იქვე, კარის ჩარჩოსთან დაყენებულ შავ კოლოფზე მიანიშნა. ბორისი ცერა თითით მისწვდა ჩამრთველის ჭრილზე თავამოყოფილ ოთხკუთხა ლილაკს. ლილაკმა მკვეთრად გაიტკაცუნა და შუქი ანთო. შეცბუნებული სტუმრები მალე აიშალნენ.

სასტუმრო „ქუთაისის“ ჰოლში, გარდამავალი წითელი დროშის ქვეშ, სავარძლის მოაჯირზე ტყავის მაგარყდიანი ბლოკნოტი გადაშალა პატრიკ კრიგერმა და იმ ადგილას, სადაც დღის შთაბეჭდილებები ჩაენერა, ლურჯმელნიანი ავტოკალმით გაკრული ხელით მიამატა: *The house in Sapichkhia, where we were invited, didn't appear to be Boris Gaponov's own.*<sup>1</sup>

P.S.

ლონდონის გარეუბანში 1972 წელს, 25 ივნისის საღამოს, პატრიკ კრიგერის სამუშაო კაბინეტში, ტელეფონმა დარეკა. ისრაელის ბრიტანული ცენტრის თანამშრომელი ატყობინებდა, რომ თელ-ავივის მახლობლად, რამათ-განში სრულიად ახალგაზრდა, 38 წლის ასაკში ტვინის სიმსივნით გარდაიცვალა გენიალური პოეტი და მთარგმნელი ბორის გაპონოვი. პატრიკ კრიგერმა თვალი გაუშტერა ფანჯრის მიღმა ოქროსფრად მოელვარე, მცოცავი წვიმით გაჩირაღდებულ გარეუბანს. ორი წლის წინანდელი შეხვედრა გაახსენდა საბჭოეთის ერთ პატარა ქვეყანაში, უცნაური ქალაქის გარეუბანში, რომლის სახელწოდებაც იყო სიტყვა „ფიჩხი“.

ის დიდხანს იჯდა უძრავად, მერე პულტი აიღო... გადაიფიქრა, კედელთან მივიდა და შუქის ჩამრთველი თითის დაჭერით გამოართო.

<sup>1</sup> სახლი, რომელშიც მიგვიპატიყეს საფიჩხიაზე, ბორის გაპონოვისა არ აღმოჩნდა.

მანანა პაიჭაძე

რენე ჯლერი. „უბაჰის ხიზლი“

რენე ჯლერის სახელი მსოფლიო კინო-ხელოვნებაში ასოცირდება როგორც ავან-გარდთან, ასევე ტრადიციასთან. უფრო მეტიც, რენე ჯლერმა შექმნა საავტორო ტრადიცია – პოეტური რეალიზმის პრინციპებზე დამყარებული მელოდრამატული ტრაგიკომედია, რომელიც უხვად არის გაჯერებული ირონიით, პაროდით და ლირიზმით. 1950 წელს გადაღებული კინო-ფილმი „ემმაკის სილამაზე“ („La Beauté du Diable“) ამის საუკეთესო ნიმუშია. ცნობილი ამერიკელი კინომცოდნე ჯეიმზ მონაკო აღნიშნავს: „მხატვრული ფილმის ნარატიული პოტენციალი ისეა სტრუქტურირებული, რომ მან ყველაზე მჭიდრო კავშირი დაამყარა არა მხატვრობასა და დრამატურ-გიასთან, არამედ რომანთან. ფილმიც და რომანიც დეტალების სიუხვით გაჯერებულ ვრცელ ამბებს მოგვითხრობენ, თანაც ამას მთხრობელის პერსპექტივიდან ახერხებენ“.

„ფაუსტი“ კი ის იშვიათი გამონაკლისია, როდესაც დრამატული ნაწარმოები ხდება კინონაწარმოების არა მხოლოდ ინსპირაციის წყარო, არამედ მისი სიუჟეტური, იდეური, სტილისტური აქციონალობის საფუძველი და, საერთოდ, ირკვევა, რომ „ფაუსტი“ პირველი ლიტერატურული ნაწარმოებია, რომლის საეკრანო ვერსიის, ანუ ადაპტაციის შექმნას ცდილობდნენ კინორეჟისორები.

**რატომ? იმიტომ, რომ „ფაუსტი“ უნივერსალური დრამაა!**

გოეთეს „ფაუსტს“ წინ უძღოდა 1500-იან წლებში მრავალრიცხოვან გრიმუარებ-

ში – ჯადოქრულ ნიგნებში მოთხრობილი ლეგენდები თუ თქმულებები, რომლებიც ვინმე იოჰან ფაუსტს უკავშირდებოდა, 1587 წელს კი გერმანიაში გამოქვეყნდა ხალხური ნიგნი (Volksbuch) დოქტორ იოჰან გეორგ ფაუსტზე – „Historia von D. Johann Fausten“ (ცხოვრების წლები, სავარაუდოდ, 1480-1540), რომელიც იმდენად პოპულარული გახდა, რომ მოხეტიალე მსახიობთა დასები ასრულებდნენ სცენებს ამ ნიგნიდან, მართავდნენ თოჯინების/მარიონეტების თეატრალიზებულ წარმოდგენებს... 1588-1611 წლებში ეს ნიგნი ითარგმნა ინგლისურ, ჰოლანდიურ, ფრანგულ და ჩეხურ ენებზე. ასე გასცდა ფაუსტური სიუჟეტი და თემა გერმანიის ფარგლებს.

1588 წელს, ნიგნის ინგლისური თარგმანის გამოსვლისთანავე, ინგლისში ქრისტოფერ მარლო წერს პირველ ლიტერატურულ დრამატულ ნაწარმოებს ფაუსტურ თემაზე. მისი თავდაპირველი სათაურია „ბალადა დოქტორ ფაუსტუსის ცხოვრებასა და გარდაცვალებაზე“ („A Ballad of the life and death of doctor Faustus the great conquerer Doctor Faustus“), 1589 წელს კი გამოდის მისივე „დოქტორ ფაუსტუსის ტრაგიკული ისტორია“ („Historie of the Damnable Life, and Deserved Death of Doctor Iohn Faustus“ ორივე ვარიანტი 1589 წელს დაიდგა ლონდონში ჰენსლოუს ვარდის თეატრში – Henslowe’s Rose Theater).

მარლოს დრამაში ფაუსტის სახემ გარკვეული გარდატეხა განიცადა – ის აშკა-

რად რენესანსული ტიპის ლიტერატურული ფიგურა გახდა. ქრისტოფერ მარლოს დრამა შეიცავს ფაუსტის მონოლოგებს, რომლებშიც ფოკუსირებულია მისი დაინტერესება მეცნიერებით და, ზოგადად, სწრაფვა ცოდნის გაღრმავებისაკენ. ეს სიახლეს წარმოადგენდა ფაუსტზე აქამდე არსებულ ყველა სხვა ვერსიასთან შედარებით, სადაც ფაუსტი გამოყვანილი იყო, როგორც ალქიმისკოსი, ჯადოქარი და შარლატანი. მარლო იყო პირველი ავტორი, რომელმაც ფაუსტს დადებითი თვისებები შესძინა.

1600 წელს ინგლისელი მსახიობების დასმა მარლოს პიესა გერმანიაში ჩამოიტანა. ეს დადგმა მაშინვე აიტაცეს გერმანელმა მოხეტიალე დასებმა. მარლოს ტექსტი, რაღა თქმა უნდა, დაქუცმაცდა და ბევრი კომიკური სცენაც დაემატა. ფაუსტი დაემსგავსა გერმანული სპონტანური თეატრის (Stegreiftheater) ცნობილ გამირს, კასპერლს (Kasperl).

ქრისტოფერ მარლოს დრამა პირველად გერმანულ ენაზე ითარგმნა 1604 წელს (მთარგმნელი ადოლფ ზეზასი), გოეთეს შთაგონების წყაროც, ხალხურ წიგნთან ერთად, სწორედ ქრისტოფერ მარლოს გენიალური დრამატული თხზულება „დოქტორ ფაუსტუსის ტრაგიკული ისტორია“ გახდა.

გოეთე „ფაუსტზე“ მუშაობას იწყებს 1772 წელს და მთლიანობაში ეს მუშაობა 60 წელიწადს გრძელდება. გოეთეს „ფაუსტი“ შემდეგი ვერსიებისა თუ ნაწილებისგან შედგება:

„ურფაუსტი“, ანუ „პირვანდელი ფაუსტი“ – „Urfaust“ (დაინერა 1772-1775 წლებში, გამოქვეყნდა 1887წ.).

„ფაუსტი. ფრაგმენტი“ – „Faust. Ein Fragment“ (დაინერა 1788 წ., გამოქვეყნდა 1790 წ.).

„ფაუსტის“ I ნაწილი – „Faust, Der Tragödie erster Teil“ (დაინერა 1797-1806 წლებში, გამოქვეყნდა 1808 წ.).

„ფაუსტის“ II ნაწილი – „Faust. Der Tragödie zweiter Teil“ (დაინერა 1806-1831 წლებში, გამოქვეყნდა 1832 წ.).

„ურფაუსტში“ წინა პლანზეა წამოწეული

ლი გრეთხენის ტრაგედია. აქ არ არის პაქტი მეფისტოფელთან, არც ალქაჯის სამზარეულოსა და ვალპურგის ღამის სცენები მასში შესული.

„ფაუსტის ფრაგმენტში“ დამატებულია ერთი დიალოგი მეფისტოფელთან, თუმცა მათ შორის პაქტი კვლავ არ შემდგარა. სამაგიეროდ, დამატებულია ჯადოქრის სამზარეულო, თუმცა აკლია ფინალური სცენა გრეთხენის საკანში. გრეთხენის ტრაგედიასთან ერთად აქ უკვე თავს იჩენს დაეჭვებული და იმედგაცრუებული მეცნიერის ტრაგედიაც.

სრული სახე (დამატებული სცენებით: მიძღვნა, პროლოგი თეატრში, პროლოგი ზეცაში, ვალპურგის ღამე, კლასიკური ვალპურგის ღამე) გოეთეს „ფაუსტმა“ მიიღო I და II ნაწილებში.

„ფაუსტის“ I ნაწილში გოეთე კონცენტრირებულია ისტორიული ფაუსტის ფიგურაზე, II ნაწილში კი ფაუსტურ თემას მთლიანად საკაცობრიო პარაბოლად აქცევს. I ნაწილში გაერთიანებულია ორი თემა: მეცნიერი ფაუსტისა და გრეთხენის ტრაგედიის თემა. მოქმედების ადგილია გერმანია, ლაიფციგი, ჰარცის მთები; მოქმედების დრო, სავარაუდოდ, ნამდვილად არსებული ფაუსტის ცხოვრების წლები უნდა იყოს (1480-1538), შესაბამისად, მოქმედება ორი ეპოქის გასაყარზე ხდება – შუასაუკუნეებსა და ახალ დროებს შორის.

ფაუსტი მარტინ ლუთერის თანამედროვეა და ამდენად, მის ცნობილ პირველ მონოლოგში მეტად საგულისხმო და სიმბოლურია ბიბლიის თარგმნის მონაკვეთი. შუასაუკუნეების ტრადიციისამებრ, ფაუსტი ალქიმისკოსია, მაგრამ ალქიმის კრიტიკულად უდგება. ის იძახებს სულებს, კითხულობს შელოცვებს, მსგავსად ნოსტრადამუსისა (ფაუსტის მეორე დიდი თანამედროვე).

კითხვები, რომელიც აუცილებლად ჩნდება გოეთეს „ფაუსტის“ ტექსტთან დაკავშირებით:

ვინ არის მეფისტო? რომელი ძალის ნაწილია? არის ის დამოუკიდებელი თუ მხოლოდ ინსტრუმენტი სხვა უფრო მაღალი

ძალების (ლუციფერისა და ღმერთის) ხელში? რა არის შემთხვევითობა და კანონზომიერება? რა არის მარადქალური? ვის გამოაქვს ფაუსტის ხსნის განაჩენი? რატომ იხსნეს იგი? რატომ აღარ ფიგურირებს ღმერთი II ნაწილის ფინალში? ხომ არ იმალება ის ანგელოზების გუნდის მიერ წარმოთქმულ ნაცვალსახელში „ჩვენ“ – „wir“?

ვერავინ იტყვის, რომ ფაუსტი უდანაშაულოა: მას ბრალი მიუძღვის 14 წლის გრეთხენის შეცდენასა და სიკვდილში, ის ვერ იოკებს ხორციელ ვნებებს, იგი მონაწილეობს გრეთხენის დედის, ძმის და შვილის სიკვდილში, იგი თანადამნაშავეა ფილემონისა და ბავკიდეს სიკვდილში, მისი საქმიანობა იმპერატორის კარზე დუბიოზურია და ბოლოს... მას ბრალი მიუძღვის იმაში, რომ ეშმაკს მიჰყიდა სული, რათა შეენარჩუნებინა მარადიული ახალგაზრდობა, იმისთვის, რომ ხელახლა გაეგლო ცხოვრებისეული გზა და ხორცი შეესხა თავისი აუხდენელი ოცნებებისთვის. წესით, ის ჯოჯოხეთში უნდა მოხვდეს, მაგრამ ფაუსტი არის უნივერსალური ტიპის სწავლული. თავის სამუშაო ოთახში ჩაკეტილი იგი თვითმკვლელობაზეც კი ფიქრობს, რადგან ვერ ეზიარა ყოვლისმომცველ ცოდნას. თვითმკვლელობას ფაუსტი ცოდვად არ აღიქვამს (ვერთერის პარალელი) და მხოლოდ სააღდგომო წირვის ზარების ხმა გადააფიქრებინებს ამ საბედისწერო ნაბიჯის გადადგმას, მაგრამ შემდგომ სცენაში ის ისევ უბრუნდება თავის მძიმე ფიქრებს და იძახებს ჯერ მინის სულს, შემდეგ კი – ბოროტ სულს. ჩნდება მეფისტოფელი, რომელიც მომენტს იხელთებს და პაქტს დაადებინებს ფაუსტს. მათი ცნობილი შეთანხმება მაშინ შევა ძალაში, თუ ფაუსტი იტყვის, რომ ბედნიერია და სურს, ეს წამი გაახანგრძლივოს ან შეაჩეროს: „შეჩერდი, წამო!“ (ორიგინალის თანახმად, უნდა იყოს: „შეყოვნდი, წამო!“ – „Verweile doch! Du bist so schön!“). ფაუსტური პარადიგმის ეს ქვაკუთხედი სტრუქტურული და სემანტიკური ელემენტი უკვე დიდი ხანია მეტაფორად და ფრთოსან გამოთქმად გადაიქცა.

ამდენად, ფაუსტის ხსნა/შენწყალება ხდება შემდეგი მოსაზრებებით:

1. Apokatastasis panton, ანუ საყოველთაო შემწყნარებლობა/შერიგება, რის თანახმადაც ყველა არსებას, ეშმაკსაც კი, ეძლევა შესაძლებლობა ეზიაროს შემოქმედს;
2. მიუხედავად ფაუსტის უამრავი ცოდვისა, მას სიკვდილის შემდეგ ეძლევა ენციკლიკური მონადის შანსი;
3. რადგან ფაუსტს სიყვარული განუცდია, მას გადაარჩენს „მარადქალური“, როგორც სიყვარულისა და შეწყალების ქრისტიანულ-ეთიკური პრინციპი.

ფაუსტის ტრაგედია სცილდება ერთი კონკრეტული პიროვნების ტრაგედიას და საყოველთაო საკაცობრიო მასშტაბს აღწევს. სწორედ ეს ქმნის მის უკვდავებას.

„მიუხედავად იმისა, რომ „ფაუსტი“ 60 წლის მანძილზე იქმნებოდა, მიუხედავად მისი თეატრალური და პოეტური მრავალფეროვნებისა, ნაწარმოები წარმოადგენს ერთ მთლიან დრამატულ სტრუქტურას, რომლის მოქმედების მიზანს განსაზღვრავს ღმერთისა და მეფისტოს ნიძლავი: დაბნეული და დაეჭვებული ადამიანი აუცილებლად ეზიარება ნათელს, შემცდარი და დამაშვრალი ადამიანი კვლავ პოეზებს პირველწყაროს, კარგი ადამიანი თავის ბნელ ზრახვებშიც შეიცნობს მართალ გზას. მეფისტო ადამიანს ცილს სწამებს მაშინ, როდესაც ღმერთს წამს ადამიანის სიკეთისა. მიუხედავად ამისა, მსოფლიო წყობამ სწორედ ეშმაკს (უარმყოფელ და დამანგრეველ პრინციპს) დააკისრა ადამიანის ბუნებრივი პასიურობიდან გამოყვანის ფუნქცია, რასაც ეშმაკი თავისი ნების საწინააღმდეგოდ სჩადის“.

გოეთესეული ფაუსტის სახის უკეთ გაგებას გვიადვილებს მისი შედარება დიდი გერმანელის სხვა გმირებთან – ვერთერთან, ტორკვატო ტასოსთან, ჯადოქრის შეგირდთან – ყველა მათგანს აერთიანებს ნარცისიზმის სიმპტომები.

ფაუსტის სახის ინტერპრეტაციები გაკეთდა მრავალ პლანში: ფსიქონალიტი-

კურ, დიალექტურ, სტრუქტურალისტურ, დუალისტურ, პოსტსტრუქტურალისტურ დონეზე.

„ფაუსტის“ ინტერპრეტაციის სირთულეს, ერთი მხრივ, წარმოადგენს ამ ინტერპრეტაციების სიმრავლე და მათი ურთიერთგამომრიცხავი ხასიათი, მაგრამ უმთავრესი მიზეზი კი მდგომარეობს იმაში, რომ „ფაუსტში“ გოეთე შეეხო უსაზღვროდ ბევრ და რთულ საკაცობრიო თემას: ბოროტება, სიკეთე, ჭეშმარიტება, რეალობა, ილუზია, შემეცნება, საქმის ერთგულება, ღწვა, პასუხისმგებლობა, ადამიანისადმი ერთგულება, ტყუილი, თვალთმაქცობა, სიყვარული, გულგრილობა, ფანატიზმი, რაციონალიზმი, ნების თავისუფლება, მორჩილება, რწმენა, ურწმუნობა... სწორედ ამიტომ არის „ფაუსტი“ უნივერსალური ტრაგედია. ამიტომაცაა მისი ხიბლი ესოდენ დიდი. ამიტომ იზიდავს იგი ხელოვანთა ყურადღებას. ამიტომაც იქმნება მის მიხედვით ნაწარმოებები ხელოვნების სხვადასხვა დარგში, და მათ შორის (და არცთუ უკანასკნელ რიგში) კინოში.

#### ორიოდ სიტყვა ფაუსტურ ეკრანიზაციებზე

„ფაუსტის“ პირველი ეკრანიზაცია 1897 წელს შეიქმნა. მისი რეჟისორები იყვნენ თავად კინოს დამაარსებლები – ოგიუსტ და ლუი ლუმიერები. ფილმი 1-ნუთიანია და წარმოადგენს მეფისტოფელის გამოჩენის სცენას (Faust – Apparition de Méphistophélès).

1897 წელსვე ჟორჟ მელიესი იღებს მოკლემეტრაჟიან ფილმს „მეფისტოფელის კაბინეტი“ (Le cabinet de Méphistophélès), სადაც მეფისტოფელის როლს თავად ჟორჟ მელიესი ასრულებდა. ფილმი, სამწუხაროდ, დაკარგულია. იმავე წელს არის გადაღებული მელიესის ფანტასტიკური მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ფაუსტი და მარგარიტა“.

1903 წელს ჟორჟ მელიესმა გადაიღო „ფაუსტი ჯოჯოხეთში“ (Faust aux enfers) და შემდეგ, 1904 წელს უფრო ვრცელი ვერსია სათაურით „ფაუსტის გასამართლება“ (La

Damnation de Faust). აშშ-ში მას ეწოდებოდა „ფაუსტი და მარგარიტა“, დიდ ბრიტანეთში „ფაუსტი“. ეს 15-ნუთიანი ფილმი, რომელშიც კონდენსირებულია დოქტორ ფაუსტის ტრაგედია, მუსიკალურად შარლ გუნოს ოპერის თემებითაა გაფორმებული. ჟორჟ მელიესი აქაც თავად თამაშობდა მეფისტოფელს. ამ ფილმში მან უხვად გამოიყენა პიროტექნიკური ეფექტები. საფრანგეთში ამ ნაწარმოებს მიიჩნევდნენ ფანტასტიკურ პიესად, 20-სურათიან დიდ სანახაობად და ტიტრებშიც მითითებული იყო, რომ ფილმი გოეთეს „ფაუსტის“ მიხედვითაა გადაღებული. ამ ფილმის დღეისთვის შემონახულ ვერსიაში რამდენიმე სცენა აკლია.

რალა თქმა უნდა, ეს ფილმები არ წარმოადგენენ კანონიკურ ადაპტაციას გოეთეს ურთულესი ორიგინალისა, თუნდაც ქრონომეტრაჟის სიმცირის გამო, მაგრამ იმხანად კინოს ტექნიკური შესაძლებლობები შეზღუდული იყო. მხოლოდ 1909 წელს გახდა შესაძლებელი ფილმების უფრო დიდი ქრონომეტრაჟით გადაღება.

#### „ფაუსტის“ შემდგომდროინდელ კინო-ადაპტაციებს შორის უნდა დავასახელოთ:

1. ფრიდრიხ მურნაუს „ფაუსტი – გერმანული ხალხური თქმულება“, 1926. (Friedrich Murnau. „Faust – eine deutsche Volkssage“);
2. რენე კლერის „ემმაკის სილამაზე“, 1950 (Rene Clair. „La Beauté du Diable“);
3. პეტერ გორსკის და გუსტავ გრიუნდგენის „ფაუსტი“, 1960 წ. (Peter Gorski, Gustaf Gründgens, „Faust“);
4. რიჩარდ ბარტონის და ნევილ კოგილის „დოქტორი ფაუსტუსი“ ქრისტოფერ მარლოს დრამის მიხედვით, 1967. (Richard Burton, Nevil Coghill, Doktor Faustus);
5. პიტერ უსტინოვის გოეთეს „ფაუსტის“ I ნაწილის თავისუფალი ადაპტაცია სათაურით „ჰამერსმიტი გასულია“, 1972 (Peter Ustinov, „Hammersmith is out“, 1972);
6. დიტერ დორნის გოეთეს „ფაუსტის“ I ნაწილის ეკრანიზაცია „ფაუსტი – ზეციდან

სამყაროს გავლით ჯოჯოხეთამდე“, 1988 (Dieter Dorn, „Faust – Vom Himmel durch die Welt zur Hölle“);

7. იან შვანკმაიერის „ფაუსტი“, 1994 (Jan Švankmajer, „Faust“);

8. ჰაროლდ რეიმისის „ემმაკით შეპყრობილი“, 2000 (Harold Ramis „Bedazzled“);

9. ტერი გილიამის „დოქტორ პარნასუსის იმაგინარიუმი“, 2009 (Terry Gilliam, „The Imaginarium of Doctor Parnassus“);

10. ალექსანდრ სოკუროვის „ფაუსტი“, 2011 (Александр Сокуров «Фауст»).

XX საუკუნის დასაწყისში კინორეჟისორები ფილმებისათვის სიუჟეტებს ეძებდნენ იმ კლასიკურ ლიტერატურულ ტექსტებში, რომელთა გადასაღებად საჭირო არ იყო საავტორო უფლებების მოპოვება. ლიტერატურული ტექსტის მიხედვით, კინოფილმის გადაღების პროცესი ყოველთვის როდი იყო მარტივი და წინააღმდეგობებისგან თავისუფალი. ლიტერატურაში უკვე ცდილობდნენ კინომონტაჟის ტექნიკის გამოყენებას. მაგალითად, ალფრედ დიობლინის ცნობილი რომანის „ბერლინი. ალექსანდერპლაცა“ კონცეფციაში უკვე ჩადებულია კინომონტაჟის ტექნიკა. ასევე ივან გოლის კინოდრამა „ჩაპლინიად“ მთლიანად ამ პრინციპზეა აგებული. გრიგოლ რობაქიძე წერს კრიტიკულ წერილს „აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“, როგორც კინო-რომანი“. ბევრი სხვა მაგალითის მოყვანა შეიძლება.

XX საუკუნის 20-იანი წლების გერმანიაში ლიტერატორები (მაგ. ა. დიობლინი, ბ. ბრეხტი) მუნიჯ კინოს განიხილავდნენ, როგორც ხელოვნების ისეთ ჟანრს, რომელიც უფრო ახლოს დგას კაბარესთან და ცირკთან, ანუ კინო მიაჩნდათ პოპკულტურის ნაწილად. ისინი ლიტერატურაში კრიზისის სიმპტომებს ხედავდნენ. მწერლებსა და პოეტებს თავიანთი დანიშნულების დაკარგვის ემინოდან. სრულიად განსხვავებული ვითარება იყო ანგლოამერიკულ სივრცეში. ძალიან ბევრი მწერალი მუშაობდა კინოინდუსტრიისთვის. ამერიკული რომანი იძენს

ახალ ნარატიულ მოდუსს – ახალი აღქმა-გააზრების საფუძველზე იქმნება „პოლიფუნდური რომანი“, როგორც ლიტერატურული ჟანრი, რომელშიც დომინირებს მსხვილი ხედები და მონტაჟის ტექნიკა. რომანულ სივრცეში კინოს მიიჩნევენ ახალ მედიად, რომელსაც შეუზღუდავი შესაძლებლობები აქვს. ვერბალური კულტურა ვიზუალურმა კულტურამ ჩაანაცვლა. ესე იგი, კინოფილმი არის კონკურენტული მედია, რომელიც ახალ ლიტერატურულ ფორმებს წარმოშობს, მაგრამ... ლიტერატურის პრიმატი უწყვეტი რჩებოდა.

რენე კლერი სწორედ რომანული სივრცის წარმომადგენელია.

პოეტური რეალიზმის პრინციპებზე დამყარებული მელოდრამატული ტრაგიკომედია პოლისინთეზური ჟანრია, რომლის სემანტიკაც და ესთეტიკაც ძალზე დახვეწილი და დამაჯერებელი უნდა იყოს იმისათვის, რომ ამ ჟანრში შესრულებულმა ნაწარმოებმა ადრესატზე წარუშლელი ეფექტი მოახდინოს. სწორედ ასეთ ეფექტს ახდენდა და ახდენს მაყურებელზე რენე კლერის ფილმები, ხოლო მისი „ემმაკის სილამაზე“ უფრო ემმაკის მაცდურ ხიბლზეა ფოკუსირებული, რომელსაც ანრი ფაუსტი (ანრი გერმანული ჰაინრიხის ფრანგული ეკვივალენცია) ეწინააღმდეგება გარკვეულ მომენტამდე. ფილმის მოქმედება გადატანილია XIX საუკუნის შუა პერიოდის ფსევდოსაფრანგეთში. შესაბამისად, პერსონაჟების ყოფა, ჩაცმულობა და ცხოვრების ტემპორიტმიც ამ ეპოქის შესაფერისია.

ფაუსტურ თემაზე შექმნილ კინოადაპტაციებს შორის ამ ფილმს განსაკუთრებული ადგილი უკავია, რაც განპირობებულია, პირველ რიგში, იმით, რომ რენე კლერი გვთავაზობს არა მხოლოდ გოეთეს „ფაუსტის“, არამედ ასევე ფაუსტური თქმულებისა და ქრისტოფერ მარლოს „დოქტორ ფაუსტუსის ტრაგიკული ისტორიის“ ადაპტაციას. ამდენად, რენე კლერის „ემმაკის სილამაზე“ არის რეჟისორის საავტორო კინო-იგავი, რომლის სიუჟეტის ძირითადი ლერძი, მართალია, გოეთეს დრამაზეა

აგებული, მაგრამ ამავე დროს იგი სახსრად თქმულებისა და მარლოს ფაუსტის სიუჟეტური კოლიზიებითა და ალუზიებით.

### **ფილმის სიუჟეტურ-სემანტიკური ანალიზი**

რენე კლერის ფილმში „ემმაკის სილამაზე“ მეფისტოფელი გამოჩნდება მაშინ, როდესაც უნივერსიტეტში ანრი ფაუსტის საპატივსაცემოდ გამართულია სხდომა, რომელზეც დეკანი ლაუდაციოს კითხულობს. ლაუდაციოში დეკანი ამბობს, რომ ფაუსტმა უარი თქვა სიცოცხლის ხორციელ მხარეზე, რომ მას თავისი სიცოცხლის **არც ერთი წუთი არ დაუკარგავს** ფუჭად, რათა მეცნიერებისთვის ემსახურა, აი, სწორედ ამ სიტყვების („**არც ერთი წუთი!**“) წარმოთქმისას გამოჩნდება მეფისტოფელი აუდიტორიის კარებში (**ალუზია გოეთეს „ნამთან“ და ზოგადად, ფაუსტის მიერ უშედეგოდ დაკარგულ დროზე**).

ჟერარ ფილიპის მეფისტოფელის ირონიული ღიმილი, მთელი მისი ატიტიუდი, მისი სარკასტული სიცილი განუმეორებელ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებელზე. მიშელ სიმონის ფაუსტი ბებერია, დაბნეული და უმწეო ცხოვრებისეულ საკითხებში, როგორც ეს შეჰფერის ჭეშმარიტ ასკეტ მეცნიერს.

ჟერარ ფილიპის მეფისტოფელის ხმა ფაუსტს ესაუბრება და ეუბნება, რომ მას ეშინია, რომ იგი ამაოდ და უშედეგოდ კარგავს ცხოვრების უკანასკნელ წუთებს, რადგან წიგნებიდან ვერაფერს შეიტყობს სიცოცხლის ენერჯის დაუშრეტელი წყაროსა და ძალის შესახებ. მეფისტოფელი მას ეცხადება თავდაპირველად ფაუსტისვე გარეგნული იერით, ოღონდ ამ იერში ეშმაკი იმალება. ფაუსტი ეუბნება თავის ორეულს: „ნადი, ლუციფერო!“, მაგრამ პასუხად ესმის, რომ ის ლუციფერი არ არის, მხოლოდ ერთ-ერთია ლუციფერის მრავალრიცხოვანი მსახურებიდან და მას მეფისტოფელი ჰქვია. ამ სიტყვების შემდეგ ორეული ქრება და ისევ ჩნდება ჟერარ

ფილიპის მეფისტოფელი. მას კვლავ ორეული მეფისტოფელი ცვლის, რომელსაც ამიერიდან მიშელ სიმონის მეფისტოფელს დავარქმევთ. ეს მეფისტოფელი ჰპირდება ფაუსტს ახალ სიცოცხლეს, სანაცვლოდ კი საჭიროებს მის ხელმოწერას ეტრატზე, მაგრამ ფაუსტი მერყეობს, რადგან ხვდება, რომ ყოველივე ამის უკან რაღაც მზაკვრული ჩანაფიქრი იმალება. მეფისტოფელი ფაუსტს თავის ახალ იერს უჩვენებს სარკეში (**შებრუნებული ალუზია: გოეთესთან გრეთხენი – სამკაულების სცენაში – სარკეში ტკბება თავისი გამოსახულებით, აქ კი ამას აკეთებს ფაუსტი**) და ამგვარად ხდება მოხუცი ფაუსტის მეტამორფოზა ახალგაზრდა ფაუსტად, რომელსაც ჟერარ ფილიპის მეფისტოფელის გარეგნობა აქვს.

მეფისტოფელი სთავაზობს ფაუსტს ნაძღვეს: „ამ ეტრატს ხელს მაშინ მოაწერ, როცა მოისურვებ. არ გაჩქარებ, რომ შენი უკანასკნელი საქმე დაასრულო. აქ შენი მსახური ვიქნები, იქ კი – შენ მემსახურები!“

ფაუსტი-ჟერარ ფილიპი დაბნეულია. მეფისტოფელი გაქრა, მაგრამ ფაუსტს კვლავ ჩაესმის მისი სიტყვები: „ეტრატს ხელი მოაწერე და შენი მსახური ვიქნები, მანამდე კი კარგად გამოიყენე ჩემი ახალგაზრდობა!“

პირველი, რასაც შინიდან გამოსული გაახალგაზრდავებული ფაუსტი ხედავს, ეს არის მოხეტიალე ცირკი, სადაც ახალგაზრდა მსახიობი ქალი თამაშობს. ეს მარგარიტაა. მსახიობები გონივრულად ფაუსტს მოასულიერებენ, არაყს დააღვინებენ. ფაუსტი პირველად შეიგრძნობს თავისი სხეულის გაახალგაზრდავებას, ის მარიონეტით აამოძრავებს ხელებს და ფეხებს, შემდეგ კი შიმშილის გრძნობა შეიპყრობს და თავის ახალ მეგობრებთან ერთად დუქანში მიდის. დუქანში ფაუსტი სვამს იმ პიროვნების (ორიგინალში – პერსონაჟის) სადღეგრძელოს, რომელმაც შესაძლებელი გახადა მისი გარდაქმნა, თანაც ისე, რომ ამაში საფასური არ აუღია (**ირონიული ალუზია გოეთეს მეფისტოფელის სიტყვებისა: „Ich bin**

**ein Teil von jener Kraft, die stets das Böse will, doch stets das Gute schafft” – „მე ვარ ნაწილი იმ ძალისა, რომელსაც მუდამ ბოროტება სურს, მაგრამ მუდამ სიკეთეს სჩადის“).**

ეპიზოდის კომიკურობას აძლიერებს ის გარემოებაც, რომ მედუქნე ამ სიტყვებს მისი მისამართით ნათქვამად მიიღებს, ანუ იმის მინიშნებად, თითქოს ის ამ ვახშამში ფულს არ გამოართმევს. შეშინებული მედუქნე სასწრაფოდ მოსთხოვს ფაუსტს ანგარიშის გასწორებას, მაგრამ აღმოჩნდება, რომ მას ფული არ აქვს. ფაუსტი მიდის შინ და იღებს ფულს, მაგრამ მსახურები ვერ იცნობენ და ქურდად მიიჩნევენ. თავის ახალ მდგომარეობას ფაუსტიც ხვდება, როდესაც პოლიციელთან საუბრისას ამბობს: „ღიახ, ჩემი არსებობა კანონით დამონმებული არ არის. ბინა მაქვს და არ მაქვს კიდეც“. ფაუსტს მარგარიტა თავის ფურგონში შეიფარებს. საუბარში ირკვევა, რომ მარგარიტას კარტზე მკითხაობის სჯერა, ფაუსტი კი გამოუტყდება, რომ არც ღმერთის სწამს, არც კარტის, მხოლოდ ეშმაკის სჯერა. საინტერესოა მარგარიტას მარჩიელობის სცენაც, სადაც ის ფაუსტს სიმართლეს ეუბნება: თითქოს მისი სიცოცხლე შეწყდა და შემდეგ თავიდან დაიწყო. ფაუსტი ქალაქს ტოვებს და მიჰყვება მოხეტიალე ცირკს. ის ბედნიერია მარგარიტასთან. მათი სიყვარული მეფისტოფელის ჩაურევლად დაიწყო (ამის შემდეგ გარკვეულ დრომდე მარგარიტა ფილმის სიუჟეტიდან ქრება – ფილმის ქრონომეტრაჟით 27-ე წუთზე).

იგაშპყ არგყლარა ზეგყ ატატუ იარგანი იკან, აკდყ ეიწშ იშაპაზა, იკყაყა იკაზ იხადა ატაკა, იგაშპყ აგაატცაყკყ, ამაყააზ ეიწშ იგყყყა ამაგანი, აჯყაყეი ანყნ, რყაბაგყ ეილარსნყ” .

Акы уаеихэаны уиргэаар, агэхьаа умкын, лхэит Като дансывсуаз, ахэчы длыман егы ауатахь ахь снеипхэа леныназылк, илахаит:

– Вы хотите изучить стрелять, Иасе?

– Господин, я не могу сделать этого. Я – ребенок...

– Вы шутите? В Вашем возрасте я убил человека, и Вы не можете поднять оружие? иааყეიშყაზშა იეყკიტყტ არუაფყ.

Аҧсуа ҧымт дтэаны крифон. Ахэра зныз ихафы акны хэычык игэамтцуара анубаалон. - Приезжайте сюда и выпейте водку. – дихэеи аҧсуа дызфызыхаз, насгы иҧхоушьаша ажэақэак схэоит хэа иеазикит.

– Конечно, но ему придется стрелять из оружия!.. – абцъар Иасе ижэахыр инықэикит, адэы акны ихэырхэыро иқэыз ажыа иақэикырц идитеит. Ашэақь атқьара абжы, аурыс игэыалаканы ажэаҧқа ахэареи иакын:

– Лучше позже, чем никогда!..

Нас атакэажэ лахь дынхьахэын ус баша инлеихэит:

– Как работает ваш раб, тетя Катя?

– Не могу сказать, что недовольна.

– Мы нашли горючее, поэтому и машину увезем, а на следующей неделе начнутся военные сборы, так что в дивизию, какуюнибудь, мы запишем и тех кто сейчас находится у вас. – Иесе ихы инапы нықэишьын, игэы иалсны ихэит: – Понимаешь ли, так или иначе, жизнь сама научит тебя военным действиям!

Аҧаҧылка акны иаанханы иказ ауатка, аруаа иаразнак иржэит... □ Ақэылацэа! – даамармарит Като, ауаама иақэшэаз

ვიდნენ და მოკლული კურდღელი ჯვალოს ტომარაში ჩადეს..

– ავაზაკები! – ჩაიბურტყუნა კატომ და ელდანაკრავ შვილიშვილს საძინებლამდე მიმავალი გზა ლამპით გაუნათა...

### ნაწილი მეოთხე

ბაბუის შეგონებისამებრ, საშემოდგომო ყინვების დადგომამდე, 20-25 დღით ადრე, ცელის პირი ავლესე და ეზოში სათიბად გავედი.

ფოთოლცვენაა. წითელ კოლერს გენიოსი შემოქმედი პალიტრაზე აზელილ ყვითელს უზავებს. ჯადოსნურ ფერთა გამაში აგონიაში მყოფი დედამინა სიკვდილს ივედრებს. მალე ზამთარი გაა(ბუ)რუსებს მის მშვენიერებას, თუმცა არც მის ბრწყინვალეობა დეკემბერ-თებერვალს უწერია ხანგრძლივი ბედნიერება.

ბავშვობაში რომ შეგონებებს ჩამჩინებდნენ, ყოველი სიტყვა ენის წვერზე მადგება და მინდა ვიყვირო, ვიტყო! დიას, იმიტომ, რომ არასწორად მზრდიდნენ, ბავშვურ ბედნიერებას მიმაღავდნენ, მარტოოდენ სამყაროს შავ-თეთრ გამოსახულებიან, გაბღენილ ტელევიზორში მანახებდნენ, ისიც შეზღუდულად, მხოლოდ განსაზღვრული დროით!.. ჯვარს იმისთვის არ ვატარებდით, რწმენა სა(ყოველ)თაოდ აღიარებული რომ არ იყო. საადღგომო კვერცხი, ასოციაციით, ფრინველთა გამოჩეკილ მატერიკი, ნებისმიერი ფერი შეიძლებოდა ყოფილიყო, გარდა წითლისა!..

პირად განცდებზე როდი მოგიტნობთ. ბავშვობადაკარგულ თაობაზე ვწერ. ბავშვობა, რომელიც მდინარე ენგურზე ცურვის დაუფლებით, თევზაობით, ათასგვარი თავგადასავლებით, საპოვნელას, ნიშხანიშხასა და კუკუმალობანას თავშექცევით დაიწყო და უსასრულო უბედურებამ ჩაანაცვლა. სულ სხვა ქალაქში, გარემოში, საზოგადოებაში აღმოვჩნდი გაურკვეველი სტატუსით (ხან ლტოლვილი, ხანაც დევნილი). ფესვებს მომწყდარი ყოველდღე იმას

ლმთა აცეარა დახეცოზ იმოა ლამპალა იააღრლაშეიტ...

### Ацъшьбатәи ахәтә

Сабду икнытә исаҳахъан, тагалан ацаа иналагаанза, 20-25 мшы загыз, аебыга аеу схит, агәарџ архразы сдәылтцит.

Абџыкаџсаран. Ацәыкаџшыы џштәы, агении иказаратә политра акны аеажь џштәы алубаауан. Ицәоушьаша аџштәкәа реилазаара акны, аџсхыхра иаеу адгьыл аџстазаара иахәоит. Иаарласны азынра иархәашьуеит уи ахазынара, аха уи аџшзара азынгыы џхынчкән-жәабран, усқангы аџшзара ацәызуам. Схәычра аан еснагь слымха итархәоз ахымәаџгарақәа, ажәақәа зегы сыбз икәгылоуп, скаар стахуп, сцәыуар! Ааи, избанзар ииашамкәа сраазон, ахәычратә анасыџ сымырхит, исцәырцәахон, акызацәык аиқәацәеи-ашкәакәеи аџштәхәы змаз аџстазаара, ателевизор акны исдырбон, уигы еипакын, уи азы чыдала иалхыз аамта аан акәын !... Ацәар зныкәхамыгоз, анцәа ихатара азхатара тбаа аимуырц ауп. Мшаџы аныхәа акутаџ асоциациара ала аџсаатә иахылтуаз аматерик акәын, аџштәкәа зегы калон, акаџшь ада! ...

Схатәы аацәаныррақәа азы ишәасхәар стахуп. Зхәычра зцәызыз абиџаразы исыәуеит. Ахәычра, азиас Игры акны азсра атареи, аџсызкреи, зкыла ахтысқәеи, аџшаареи, аеытәахреи, хәланцәыла, гәырџарала иалагаз, нцәара змам агәакра иаџсахит. Зынза даеа қалақк, џстазаарак, уаажәларрак ркны х нанагит, еилкаам статуск ала (зны ахцәа, нас икәырцаз). Здацқәа ркнытә иџырхыз еснагь сазхәышуеит, икаспарызеи, 1993

ვფიქრობ, რას გავაკეთებდი, რომ არა 1993 წლის სამოქალაქო ომი? დიახ, მე სხვისგან ხელოვნურად დაწერილი გეგმის ნაწილად ვიქეცი და კვლავ ხელოვნურად, ისე მივეყვებოდი მდინარის დინებას, როგორც მქონდა ნაბრძანები!..

ჭისკენ ტაატით მივდივარ, ვცდილობ, წყურვილი მოვიკლა.

იძულებით „გასაბჭოებელი“ (სსრკ) ღრუბელთა ჯგრო წვიმას პროგნოზირებს.

ქანდარაზე ყვავი გადმოზნეკილა და ყრანტალით ბოინობს.

სოფლის მყუდროებას იმის „ყვავა“ არღვევს.

გუბესთან რუსული ჩექმა აგდია – ბედად დახეული.

ახალი ნურც ღირსებიათ!

...

შორიახლო თოფი გავარდა.

ფრინველს ბუმბული აებურძგლა, სიტყვა(ა) წამოსცდა ავსიტ(ყვა) (ყვა)ვს, ფრთები შეისწორა და სხვა ქანდარასთან გადაფრინდა.

საზარელმა ექომ ფაცხის კედლებიდან გამოაღწია და თავზარდამცემი კივილი გაისმა.

წყლის სათლი ხელიდან გამივარდა, ოდისკენ გავიქეცი და...

ჰოი, საშინელებაჲ!..

ეს რა მოიმოქმედა წყეულმა ჯარისკაცმა?!

### ნაწილი მეხუთე

აჰდუ, ისიც მომიკლეს, ავაზაკებმა, მომესმა კატოს ქვითინი. მუხლმოყრილი მოხუცი დასისხლიანებულ ბავშვს იხუტებდა და ჯაჭო-ჭროლა თვალებს უკოცნიდა.

„ბედნიერად უნდა მეცხოვრა მე, მოხუცს და შენი შვილების აკვანი მემწყემსა, ახლა კი კუბო-საფლავთა გუშაგობა მომიწევს!.. შენ უმანკოებას კრეფდი ცის ტატნობიდან და უფლისგან განწმენდილს მთავაზობდი. მე კიდევ კლდის ნაპრალში მომწყვდეულ ჯიხვივით გითვალთვალებდი, ზუსტად ისე, როგორც მოზარდთა მიმართ ზედმეტი გუ-

შყკასათეი აიბაშრა ჯამლატგყ? ააი, სარა აჯყე იქნყთე იქსაბარათყმკჳა იღყ აპლან ახჳთა საკჳხიტ, იახყაგყ იქსაბარათყმკჳა, საშყტან აჯიას აპარტა, უს ეიქყშ ადტა სყმან!...

Атець ахь аныга сыманы сцит, сшыра еикъыскырц.

Мчыла “ирсаветыз” ( СССР) аѳткѳа реизга ақѳа ланашьтцит.

Амахѳ ақны ақѳраан аѳырбабаны икѳтѳан, имақаруа.

Ақыта атынчра еитах “Қыррр” еиланагон.

Азаѳа ақны аурыс амагѳы илагылан-насыѳла иѳжѳан

Аѳыц дахымзааит.

...

Усқак ианскъамгакѳа абѳыр атқъара абжы геит.

Апыс ахѳы ѳагылит, ажѳа амхаѳцит, иеимз ақѳр (аан), амтѳыжѳѳақѳа аариашан, даѳа махѳык ахь инықѳѳრაаит.

Абыжыныѳ каамет, аѳацха атызқѳа ирыдуааит, угѳы ытყызшыаашаз ахѳѳабжы геит.

Азтыхга снапы иамтѳѳрит, ақѳасқъа ахь сеихейт аха...

Ааи абааѳс акааметра!...

Икаитцаз закѳыи, ишѳихаша аруаѳы?!

### Ахѳбатეი ახჳთა

Ооо хазшаз ахдუ, уигყ дысѳყრшьцит, ақѳылаѳѳѳа, Като лгѳынқъра сахаит, атакѳажѳ дшыамхышгылан, ашыаарѳყр зѳашыз лмѳта дылгыдкыланы, ихы-иѳы, иблѳкѳа дрыгѳзон.

“Анасыѳ бзиала сынхар ақѳын сარა, сажѳны, уара ухылт ргара хьчо, уажѳы ақѳыба- ақъашана ахьчара сықѳჳთე!... Уара уцқъара еизугон хыхь ажѳан ақнытѳ, хазшаз иქნყთე уцқъара сыугон. Сарა ашыха аѳқъара иაѳахаз абѳаб еиქყშ

ლისყურის მიპყრობა სჩვევიათ ხანდაზმულელებს. მეშინოდა, როგორც ქორი გეპარავდა წინილს, წყალსაც იმგვარად არ გაეტაცე, ხიფათი არ გეწვინა, მუხლები არ გადაგეტყავა... ახლა კი... უბედურო კატო, დარდის ძაფი უნდა გაჭიმო დედამინიდან იმ უცხო განზომილებამდე, რომელსაც პირობითად გარდაცვლილთა საუფლო ჰქვია. რომ ყოველი მონატრებისას, ჩემი ჯვრითა და ადამიანური ტკივილით ზურგდამძიმებულმა, ბონჩაში უნდა შევახვიო რძისა და მანვინის ქილა, ერთი ვინროყელიანი წითელი ღვინით სავსე ბოთლი, ცოტაოდენი მარილი, ზეთი, პური და ისევ ისე მადლიანად დაგაპურო, ის დრო რომ მოგაგონდეს, ბალში ჩამომსხდრები ხორბალს რომ დავეყრიდით ხელისგულებზე და მშეირ მტრედებს ვაკენკინებდით. ჩვენი ოდის საძირკველიდან მიწას ავიღებ და ამასაც გაგატან. კილიანტარსაც დავამზადებ, საკურთხსაც დროულად დავდგამ... არაფერს დავზარდები ბებო, ოღონდ ძილში მინახულე ხანდახან და ნუ მოგერიდება მოხუცის გაღვიძება. გაუბედურებული ბევრჯერ დავხუჭავ თვალს, მაგრამ ნუ იფიქრებ, რომ ეს ძილის ნეტარებაა“.

იასე საზარლად ხროტინებდა და ძვირფასი სახელმძღვანელო ხელებში ჩაებლუჯა.

რუსმა სალდათმა თოფი დამიმიზნა და ზურგსუკან მომესმა:

– Книгу прочитай ты балда!..

სისხლიან ფურცელზე პატარა ლექსი ეწერა:

„ჩვენ ვბრუნდებოდით  
სამშობლოში სისხლიან მინდვრით  
(გამოუცდელი  
და უხეში ჩვენი ჩანგებით),  
სადაც ჯვარს ვეცვით,  
სად უგონოდ კაცის სისხლს ვღვრიდით,  
ომის ფრინველი  
სად სულს წენდა ცეცხლის ქანგებით“.  
სიტყვა სამშობლო მომხვდა ყურში.

– За это убил невинного ребенка? – შევძახე და მისკენ გავიწიე.

– Ты научил его говорить на языке

сеытәахны, сара сеиҭш иҭоу атакәажәцәа аҭар рахь иаадырҭшо аҭлымҭарала. Сшәон, ахьшь акәчаркәа шаҭыҭчуаз еиҭш азы уара уамгарц, машәырк умыхьырц, ушьамхәкәа цәымҭьарц азы... Уажәы... Арыҭҭацәгьа Като, бгәаҭратә арахәыҭц бырххар ауп, адгьыл инаркны идырым атыҭ аҭкнынза, хьыҭшыраны иҭҭсыз ртыҭ зыхьзу. Уангәхьаазгалагь, сьҭари, сгәыхьы, скәаҭә икәу ахьантыреи, макәан дук аҭкны ахши, ахарҭәи, ҭәтылкак аазна аҭыи, цьыкхьыш хәычык, ахәша, ача, дырәагьх ауаҭкьыра акриҭатаразы, иҭгәалашәарц аамҭа, абахча аҭкны хтәаны ачарыҭ хнаргәыҭ ианҭсаланы, амла иакуаз ахәыхәкәа акраныҭҭаҭцоз. Хара хкәаскьа ашьаҭа аҭкнытә анышәы иҭҭхны иуыҭыҭҭоит, ашьамаҭаҭаҭы сырмазенуеит, аиышәахәгьы иаамҭаны ирмазеины икәсыргылап... Аҭы азы суцәаашьом нан, аха сыҭхьыз аҭкны усзааила зны зынла, иҭгәҭыны саарҭшла сара атакәажә. Срыҭх ахәха акырнтә сыблакәа еиҭкәыҭҭсап, аха угәы иаанамгааит ари аҭәа сҭахын ауп хәа“.

Иასე иკაამეҭ бжьыла иҭҭсы еивигон, იზგәაკьаз იშәкәы инапыҭырҭგәҭәа იკын.

Аурыс асалდაҭ აშәაკь сыҭкәიკიტ, сышьҭахьла исаҭაит:

– Книгу прочитай ты балда!..

Ашьа зыхьшыз ақьаад аҭкны ажәеинраара хьчык анын:

“Хара ххынхәуеит хаҭҭсадгьыл ахь  
Ишьаартәыроу адәы хақәланы  
(иҭҭышәам, иҭәаҭоу хара  
хашәაკәа рыла!),  
Аҭьар хахькыдыз,  
Ахдырра змам ауаҭы ишьа кахтәоит,  
Аибашьра аҭыс  
Уаҭа аҭҭсы аркәкәон, амҭатә  
აшьаҭҭхьыҭкәа рыла;”

Ажәа аҭҭсадгьыл სგәы ატანჯა ინეიტ.

– За это убил невинного ребенка? – სҳәან იარა იахь сыҭсырххეიტ

врага, и этим убил невинного человека!  
Тише тише, говорю! Даю три часа и чтобы  
труп похоронил, понял?

გონს რომ მოვედი შორით მომავალი მო-  
ხუცი კატო დავლანდე. ვილაც წვეროსანი  
ახლდა.

ბავშვს სუფთა პირსახოცით სისხლი მოვ-  
წმინდეთ. სასთუმალზე დავასვენეთ პირით  
აღმოსავლეთით და მოძღვრის რჩევით,  
გულზე ხელებდაკრეფილს ჯვარი დავაჭე-  
რინეთ. მერე ისეთი საამური გალობა გაის-  
მა, თვალეზე ცრემლი მომერია. მოძღვარი  
ხან აფხაზურად, ხანაც ქართულად ასრუ-  
ლებდა ლოცვას. (კატომ ითხოვა, წესის  
აგებისას რუსულად არ ესაუბრა მამაოს).  
შევატყვე, ქართულად ღვთისმეტყველს  
ოდნავ შიში ეუფლებოდა და სახეზე არეკ-  
ლილი მწუხარება ნაოჭიან სხეულს ერთიო-  
რად უბერებდა. მერე წყალი, ხორბალი და  
ზეთი მოითხოვა. აკურთხა ისინი და სანთე-  
ლი დაანთო.

ოთახში საკმევლის სუნი დატრიალდა.

მოძღვარი გარდაცვლილი ქრისტიანის  
ლოცვას კითხულობდა:

„მოიხსენე, უფალო ღმერთო ჩვენო, სა-  
ვანეთა მათ საუკუნეთა რწმენითა და სასო-  
ებითა შენითა აღსრულებული მონაჲ შენი  
იასე და ვითარცა სახიერმან და კაცთმოყ-  
ვარემან, ცოდვათა მიმტევებელმან და უშ-  
ჯულოებათა აღმსოცელმან, უძალო-ჰქმენ,  
მიუტევენ და შეუნდვენ ყოველნი შეცოდე-  
ბანი მისნი ნებსითნი და უნებლიეთნი.

... აღმოფშვინვამდე მართლმადიდებლო-  
ბით აღიარებდა სამებასა ერთარსებასა, ვი-  
ნაიცა მონყალე ექმენ მას და რწმენაი მისი  
შენდა მომართ, ვითარცა ღვანლი დიდი,  
მიითვალე და მონყალეებითა შენითა წმიდა-  
თა შენთა თანა განუსვენე.

ამინ“.

მოძღვარმა წიგნი გამომიწოდა და ქარ-  
თულად კითხვა თუ შეგიძლიაო, მკითხა.  
თანხმობის ნიშნად ლოცვანი გამოვართვი,  
პირჯვარი გადავიწერე და წავიკითხე: (რა-  
ტომლაც ამ ტექსტის წაკითხვა თავად არ  
ისურვა).

„ღმერთო ძლიერო და კაცთმოყვარეო,

– Ты научил его говорить на языке  
врага, и этим убил невинного человека!  
Тише тише, говорю ! Даю три часа и чтобы  
труп похоронил, понял?

Сыхдыრა აკны санааи, инаскъаганы  
Като лыгыг збит. Аҭцы зѣаз азѣы длыщын.

Ахѣычы ампახъшыы цкъала ишьа х  
рыцкѣит. Ахықѣаѣы анышѣ дахтит,  
амрагыларахъ ихаѣы рханы, абжьагаѣы  
ихѣамтала, игѣы аѣы инапқѣа еиларсны  
аѣьар ихаркит. Нас убас еиҭш бжьык  
ихааѣа галабак аагеи, сыблақѣа алаҭ  
ырз нырхыжжылеит. Абжьагаѣы зны  
аҭсышѣала, нас ақыртшѣала аныхѣара  
наигзон. (Като дихѣеит, аҭас амѣаҭгара  
аан аб урысшѣала акгыы имхѣарц). Избит,  
анцѣа иажѣа ақыртшѣала иანიхѣоз  
дышшѣоз, насгыы ихаѣы агѣыраа  
анызбаалон, икчыз ицѣа еиха иаражѣуан.  
Нас азы,аҭшы, ахѣша дахѣеит. Урт  
иҭшьѣеит нас аѣѣымза аиыркит.

Ауаҭах акны арфы аѣѣы ааѣналит.

Абжьагаѣы иҭҭсыз ақырсиан изы  
аныхѣара даҭхьон:

“Дыугѣаларшѣы, хара хазшаз анцѣа,  
анхарҭа тынч, ашѣышықсѣатѣи анцѣаѣ  
хатпаралеи, уара убзоуралеи, зыҭҭсы  
назаѣа тынчхаз Иасе, ахаѣсахъеи, ауаѣы  
ибзиабаралеи, имѣаҭгыз агѣнахарақѣа  
ианажьырц, имчыдахара, иазнажь,  
даҭоумпан, итахи, ма итахымкѣа иара  
иҭаиҭаз агѣнахарақѣа зегы.

...Иҭҭсы ихыихаанѣа иазхейҭон Самеба  
акра, убри азы дрыцхашъа уи, уара уахь  
имоу адин, уи имѣаҭгыз иус ду азгѣаҭа,  
уара урыцхашъаралеи, уцқьаралеи, дыре  
тынч.

Амин“.

Абжьагатѣ шѣкѣы ааирххан, инацитѣит:  
“ақыртшѣала аҭхъашъа удыруама”, - дсѣ  
азѣааит. Сзақѣшахатыз дыргас ашѣкѣы  
иааимсхын, схы'сѣы аасыҭшьан, саҭхъѣ

დალოცე და დაიფარე ქართველთა და აფხაზთა მშვიდობა და ერთობა. უფალო, შეგვინდე ყოველნი უსჯულოებანი ჩვენნი. უპირველესად მოგვიტევენ, უფალო, უნდობლობა და სიძულვილი, ძმათა სისხლისღვრა და შურისძიება, ძვირისხსენება და ბოროტი გულისსიტყვა. შეგვიწყალებ ჩვენ ღმერთო დიდითა წყალობითა შენითა და აღგვიდგინე ურთიერთნდობა და სიყვარული, ურთიერთთავგანირვა და მიმტევებლობა, ურთიერთპატივისცემა და ლოცვა ერთმანეთის დღეგრძელობისთვის. ამინ“.

სწორედ მაშინ, როცა ცისკარი ღამის სამოსში გახვეულ ბნელეთს აფერმკრთალებდა, შლეგი მე(ეტლი)ს თანხლებით გავიარე ნაძვნარი, ბუთა და ქოტთა სავანე, ვსძლიე ნკვარამში ჩაკემსილ შიშს და უკვე სამშვიდობოს მყოფს მოხუცი კატოს მადლიანი დალოცვა შთამესმა: – ფეხბედნიერად გევილოს, შვილო ამ გაუკუღმართებულ სანუთოროშიო!..

დაკარგული სამოთხის მაძიებელი კვლავინდებურად ჯონ მილტონს ვფურცლავდი: „ო, ჯოჯონეთო! ეს რა ნახა ჩემმა თვალებმა!

ჩვენს სანეტარო სამყოფელში ვინ შთაასახლეს

ვინ აღამაღლეს ასე ძლიერ, – სულ სხვა არსება,

სხვა ბუნებისა, მინიერი, მოკვდავი არსი! ბედნიერი ხართ, მაგრამ დიდხანს აღარ შეგრჩებათ,

რადგანაც სუსტი საფარი აქვს თქვენს ნეტარებას

მაგრამ წინასწარ თქვენი მტრობა არ განმიზრახავს

მზად ვარ კიდევაც შეგიბრალოთ, უთვისტომონი!“

ეიტ : (იარა იხატა უი ატექსტ აფხარა იტახიმხეიტ).

“Анцәа амч ду змоу, ауааҭсыра бзиа избо, иныхәа, ихьча акырҭуааи, аҭсыуааи рҭынчреи, ракреи. Хазшаз, хатаумпан агәы змам хара. Зегьы раҭхьаза азнажьра хат,икахҭаз агәмбыльцбарей, арыцх амшьарей, аешья ишьакатәарей, ашьауреи, ацәымҭбарей, хгәаҭри рзы. Анажьра х ат, анцәа ду улҭхала, иахзышьақәыргыл хайзыҭказаашьяқәа, хабзиабара, х хыибақәцара, хатамзаара, хпатуеиқәцара, хныхәарақәа хара хара хгәабзиара азы”.

Амин.

Ацәақәа, уахынлатәи амацәа ашәцаны алашьцара ианцәыҭаҭшуаз, снаскьагады ахага сицны аҭсазара халсит, атқәеи, амамаршәагеи рынхартә, саиааит сгәацә иалаз ашәара, атынчратә атыҭ ахь санааи, абрыг Като лныхәа бжьы слымха иаатасит : - анцәа илҭха умазааит, нан абри еиқәыҭәашахаз адгьыл аҭны!...

Изыз цәаанат аҭшаады еитәх Цьон Милтон ибҭыцқәа аасырхәон:

“Оо цәахным! ирбаз закәызи сара сыблақәа!

Хара хгәакьа адунеи аҭны индырхаз зустада

Ихрадыркыз зустада ас иҭәҭәаны, - зынза даеа ахкы,

Даеа цәсабарак, адгьылтәи, иҭсыша ахкы!

Анасыҭ шәымоуп, аха акыраамтә ишәзаанхом,

Избанзар шәынцәахцара ахыбра даараза икәадоуп

Аха шәарт шәеиҭара заа иазҭхьагәатаны исымамзт

Смазеиуп даеа знык шәрыцхасшьарц азы, атынхадақәа!”

სახლში რომ დავბრუნდი მამას ვუამბე, რაც შემემთხვა.

– ლაჩარი ხარ! – მითხრა. თვალწინ ანგელოზი მოგიკლეს და ხმა არ ამოიღე, უსიტყვოდ დამორჩილდი ბოროტებას!!! ასე აპირებ დაკარგული სამოთხის დაბრუნებას?!

– მამა, ის შეიარაღებული იყო, თან სიკვდილის შემეშინდა... ერთხელ კი გავიფიქრე, იქნებ ყელში ვწვდე ამ საზიზღარ, უგულლო, ცივისსხლიან ჯალათს და წინილივით დავახრჩო-მეთქი, მაგრამ იმწამს, წამოიმართა ზებუნებრივი შიში. თვალი იარაღისკენ როგორც კი გამექცეოდა, წონასწორობადარღვეული, მიწაზე გართხმული კატოს კალთაში ვზლუქუნებდი. მიკვირდა, მოხუცმა, რომელსაც არაფერი ჰქონდა დასაკარგი, არათუ გაიბრძოლა, სიტყვა არ დასცდენია, ზედაც არ შეუხედავს ჯარისკაცისთვის.

– კატოს რა უნდა ეთქვა, ბრწყინო!... განა საფლავს პატრონობა არ უნდა? თორემ მისი და მისნაირებისთვის დღესასწაულია სიკვდილი... იმიტომ ვბრაზობ, ვხედავ, შენც სხვათა მსგავსად პირამიდისავით აიზიდე, ყელი სიამაყით მოიღერე და ინდაურივით გაიბღინძე. ვერ წარმოიდგენ, როგორ მძულს უსაფუძვლო სიამაყე, უთავბოლო პატივმოყვარეობა, თავით-ფეხებამდე აღჭურვილი ვაი დარბაისლობა, მედიდურობა, ჭირვეულობა და ამგვარი რამი!.. რა გეამაყება შე უბედურო ადამის ძევ? უცხო კლიმატში გადარგული თავმოყვარე ხე თავს გაიხმობდა, ჩვენ კი... უკეთურებას შევემთხვიეთ და გვეამა, უბედურება გადაგველობა და გულში ჩავიკარით, ხელმოცარულ მარტოობას დავუზავდით და მერე ისე შევეჩვიეთ ამ ყოფას, რომ არამც და არამც გავიბრძოლეთ დაკარგული ღირსების დასაბრუნებლად. სამოთხე სხვა კი არაფერი არის, შვილო, თვინიერ სამშობლოს გარდა. მე და შენ კი უ-ს-ა-მ-შ-ო-ბ-ლ-ო-ნ-ი და ბედს შეგუებულნი სალახანები გავხდით. მწუხარებამ თავით ფეხებამდე დამირბინა და ვგრძობდი, სხეულის რაღაც ნაწილი ამომგლიჯეს.

ის კვლავ განაგრძობდა: კიდევ უნდა შესცოდო და მოინანიო!.. დანაშაული

Аоныка саныхынхэы исхызгаз атэы, саб иасхэит.

– Ашэыргэында уоуп!-ихэит. Убла шаафшуаз амаалыкь дыршыит, убжыы умыргеит, ажэада рхэатэы хауцит ацэгьуаощэа!!! Абас аума цьаанат архэынхэра угэы иштоу?!

– Саб, уи абыар иман, насгы афсра сацэшэит...азнык азы иакэыскит, ихэдацэа скып уи агэымха, агэы змам, ашьахьшэашэа злоу ашьды, акэчышь еицш ихэда сыртэип -хэа, иара убаскан ицсабаратэымз шэарак сакит. Сыблакэа абыар ианахэафшлагь, сыбџаџаны, сыџ саанымкылакэа адгы сыкэхауан, Като лкалтаџы сгэынкьуан. Уамашэа избон, атакэажэ илцэызраз хэа дзыцэшэоз акгы ззанымхаз, ақџара акэым, ажэак лзымэх ит, аруады зынзагы дихэамџшит. – Като икалтар иутахызи уара агмыг!...Ақьашана ахылаџш датахыми? Акэымзар лареи, лара илеиџшуи рзы рыџсра ныхэароуп... Сара сзызгэаауа, избоит егырт реиџш уаргы апирамида еиџш ушьтытцит, џагыарала уаџылит, ашэашэи еиџш уеуачит. Ухаџгы изааиуам, шака исцэымџ оу иахэтამкэа аеырџагыара, нцэара змам апатуқџара, рхы инаркны ршьапынза х аи афырхатара, аехарззылара ухэа убас итџгы!...Узырџагыои уара арыцха ауады ихылт? Даџа хаук ахь ииаганы пату зхы иакэызтцо атла еитархар, ахы арџон, х арт...аиџьхара хакэыхшоит, иахгэаџхейт, агэакра хџырагылит, уи хгэы икыдхтцит, х ныпы тацэза азэыра халахэит, нас убас х ашьшыцылеит ари атагылазаашья, уаха х азымқџейт изыз хapatу архынхэра. Уах а изакэыи цьаанат, дад, итынчу аџсадгыыл ада. Сарей, уарей, **А-П-С -А-Д-Г-Ъ-Ы-Л-Д-А-Қ-Ө-еи**, зынасыџ иашьцылаз, агэымхақэа хакэхит.

Сгэыхьра иаразнак сыџсы атанза

რომ გამოისყიდო, როგორმე უნდა დააშავო!.. რაც მეტ ტკივილს იგრძნობ, უფრო დაგვიადგება გველივით დაკლაკნილი და სასონარკვეთილი სიცოცხლე. დაე, მოხსენი ღირსებას მარყუჭი და სახრჩობელაზე ჩამოკონწიალებული, ტომარანამოცმული ხანდაზმული სხეული იხსენ არარაობის ქმნადობისგან!..

მას შემდეგ მამაჩემს ჩემთვის ხმა არ გაუჟცია.

ერთ თვის თავზე გარდაიცვალა, გულმა უღალატა.

ახლა მის უკანასკნელ სურვილს ვასრულებ და ცხედარს მივასვენებ აფხაზეთში...

ხელში ლოცვანი მიჭირავს, დავით წინასწარმეტყველის ფსალმუნებს ვკითხულობ. იასეს და მამაჩემის სულს ვავედრებ შემოქმედს.

ურიგო არ იქნებოდა საკუთარ სულზეც მეზრუნა!.. სულმა, რომელმაც სხვა სული უნებლიეთ დაღუპა...

შვილებს გვჩვევია საყვედურის თქმა მშობლების მიმართ. რომ თითქოს რაღაც დაგვაკლეს, არასწორად გვმოძღვრავდნენ, უსამართლოდ გვსჯიდნენ. ხშირად ვწუნუნებდი, თურმე შეიძლებოდა ქრისტეშობა და სხვა საეკლესიო დღესასწაულები აღგვენიშნა, ტაძარში გვევლო უქმე დღეს და პასქები გამოგვეცხო ვნების კვირას.

თუმცა ყველას ვურჩევ განმარტოვდეს საკუთარ თავთან, გულზე სიმბოლურად (და არა რწმენით) დაკიდულ ჯვარს ხელი ჩასჭიდოს და იკითხოს: რა შეიცვალა მას შემდეგ, რაც გაიგო ჯვარცმის შესახებ?

ადამიანმა გაიგო, რომ ლინდგრენი და ანდერსენი ბავშვობას გვაძლევს, სახარება და ბიბლია – ცხოვრებას.

„არა კაც-ჰკლა“, თქვა ღმერთმა და გულისთქმა კაცისა ამ მცნების დასაცავად მიმართა.

სანაცვლოდ გამოიგონა ადამიანმა იარაღი, რათა წინ აღდგომოდა უფლის ნებას!..

და გამხდარიყო ათასობით ადამიანი ბავშვ(ობა)დაკარგული...

ინეიტ, избон, сцѣа сжыы акы шамкѣырхуаз.

Иара еитах даѣын:- ирыцхашыаны, агѣнахара укѣухыроуп!...Ацѣгъара укѣуѣ хырц азы, ацѣгъара кауцароуп!...Шака ахъаа удыруа акра, еиха иутаххоит амат еипш еикѣатѣашо, згѣы кахаз, аѣстазаара. Нас, икных апату айкѣынхѣала, акнахарта акны ихшыу, аацѣа ахарѣаны, иажѣыз ацѣажыы, ахы ақѣитра ат агѣымхара акнытѣ! ...

Уи инаркны саб сара уаха сыкѣѣимтит.

Мызкы анты уи дыѣсит, игѣы иазымчх акѣа.

Уажѣы уи атыхѣтѣантѣи иѣѣатахъа насыгзоит, иѣсыбаѣ Аѣсныка иназгоит...

Снапы акны аныхѣаратѣ шѣкѣы скыуп, Давит аѣаимбар иѣсалмун саѣхъоит. Иасен, саби рыѣсы айкѣырхара азы х азшаз сихѣоит.

Сара схаты сыѣсы азы сихѣаргы калон!...Аѣсы даѣа ѣсык иаѣтахымкѣа аха иашыт...Ахылѣ, хазхылѣыз аѣѣныхѣа рыѣтара аѣатара бзиа иахѣоит. Акы х агрыжыызшѣа, ииашамкѣа храазозшѣа, ихахѣтамкѣа хахѣдырхѣуазшѣа. Лассы хагѣнамгара ыкоуп, анцѣа иира амш, ма егъырт ауахуаматѣ ныхѣарақѣа азгѣахтарларц азы, аныхабаакѣа рахъ анеира аѣсшыара мшқѣа раан, апаскақѣа рызра агѣазыхѣара амчыбжѣ азы.

Аха зегъы ирыдысгалоит рхаѣы зны еилдыгарц, ргѣы акны (უი анцѣа ихатцарала акѣым) икнахау аѣьარ иѣѣѣаны икны, итцарц : ѣсахрас икалеи, аѣ ѣаркыдтара атѣы аниаха инаркны?

Ауаѣы еиликааит Линдгрени, Анѣ дерсони ахѣычრა шхартѣ, адоухашѣкѣы адини аѣстазаара.

“Ауаѣы думшыын”, ихѣიტ анцѣа, абри ахѣამტა ахѣчаразы ауаѣы иахѣ ихы иრხეიტ.

Уи аѣынхѣარас ауаѣы абѣьარ каиттит, анцѣа ихѣამტა დაѣагыларц азы!...

Уи ала зкѣѣыла ауааѣысыра рхѣы (чრა) рѣѣызырц...



ოლესია თავაძე

ჩემი რობერტ ფროსტი


რობერტ ლი ფროსტი. რა უნდა დანეროს ქართველმა მხატვარმა ამერიკის XX საუკუნის ყველაზე აღიარებულ, პატივისცემით გარემოცულ, ამერიკული პოეზიის სიმბოლოზე, რობერტ ფროსტიზე?! აქ ახალს ვერაფერს იტყვი, მხოლოდ პირად, პიროვნულ აღქმა-მიმართებას თუ გამოხატავ.

თუ გავბედავ და პირველივე ფრაზიდან შევეკამათები რობერტ ფროსტის გამოთქმას, რომ „პოეზია ის არის, რაც არ ითარგმნება“, ვიტყოდი, რომ, არც მხატვრობა, არც მუსიკა, ბევრი სხვა რამეც არ ითარგმნება, ვინაიდან არც დედანია ყველას მიერ ყოველთვის უპირობოდ, ერთნაირად აღქმული და გაგებული. ყველა თავისებურად თარგმნის, ითავისებს, უგებს და გაღმერთებაც ჩვენმიერია. ამიტომაც ვასათაურებ ამ ესეის – ჩემი რობერტ ფროსტი.

რობერტ ფროსტთან მისასვლელი ჩემი გზა მთელ ცხოვრებას იტევს, შუამავლებად კი იოსიფ ბროდსკი და რედია რდ კიპლინგი მყავდა და რამდენადაც მოულოდნელი უნდა ჩანდეს – ჩინური ფერწერა.

ამერიკული ლიტერატურა ნელ-ნელა იმკვიდრებდა ადგილს ჩემს ბიბლიოთეკაში – ვაშინგტონ ირვინგი, ფოლკნერი, ფიცჯერალდი, ჰემინგუეი, ემილი დიკინსონი, ფროსტი... ფროსტის სახელს დიდმა რუსმა პოეტმა იოსიფ ბროდსკიმ მაზიარა (თვითონ დიდად დავალებულმა ფროსტის პოეზიისაგან), მისმა ქედმობრამ, მისმა ესეებმა; რედია რდ კიპლინგმა კი, – ბავშვობიდან მისი ზღაპრებით დანყებული, დღევანდელ ჩემს სალოცავ “Non nobis, Domine”-მდე მოყოლებული, – ინგლისურენოვანი ლიტერატურის მამაკაცური სიტყვით შემამზადა ფროსტის თავშეკავებული, არა-აღმსარებლური პოეზიის აღსაქმელად.

ამდენი წინაპირობის მიუხედავად, თვითონ ფროსტთან შეხვედრა მოულოდნელ, პირველი ნახვით შეყვარებას ჰგავდა. ყველა კერპმა უცებ უკან დაიხია – საკულტო ადგილი ფროსტს დაეთმო. აღტაცებას ფიქრი მოჰყვა: რა მაგიის ძალით ახდენს ამგვარი, ერთი შეხედვით, მარტივი პოეზია ასეთ ზეგავლენას. გამახსენდა ასეთივე გამაოგნებელი შთაბეჭდილება ვიზუალური მწკრივიდან – ჩინური ფერწერა. ხილულს




რალა მოთარგმანება უნდოდა. არადა, რამდენი საერთო!

ჩინელი მხატვარი არასდროს ხატავდა ნატურიდან, მისთვის მსგავსებაზე მნიშვნელოვანი სულიერი ანარეკლი იყო; ფროსტი არასდროს წერდა განცდილის კვალდაკვალ, შთაბეჭდილებას დაღვინებას აცდიდა. ჩინელი, კონფუციის მიმდევარი, უგულვებლყოფდა სიყვარულად წოდებულ, გონით უმართავ არტახებახსნილ ვნებებს; ფროსტის ლირიკაში ერთი-ორი ლექსი თუ მოიძებნება სასიყვარულო თემაზე. იგივე კონფუციელები არ სწყალობდნენ ხელოვნებაში ნაძალადევ სიახლებს; ფროსტი მშვიდად ისხლტება სიახლეებად წოდებულ ნებისმიერ „იზმებს“. დაოს მიმდევარი ჩინელი მხატვარი სიმცირეში სივრცეს იტევდა; ფროსტის სიტყვა შრეებს იტევს. ასეთი თავშეკავება, ასეთი ქვეტექსტების აკუმულირება ფერსა თუ სიტყვაში არგამხელილი, არგაცვეთილი ვნებებისა ზეტოპოსური, ზედროული ღვთაებრიობის ხარისხს იძენს.

ახლა უშუალოდ ჩემს ნამუშევრებს, ჩემი

ილუსტრაციების გამომსახველობით ხერხს რაც შეეხება: მთელი ცხოვრების მანძილზე (ჩემი ცუდი მეხსიერების გამო) შესაფერის წიგნაკში სათუთად ვინერდი სათაყვანებელ ლექსებს და ყოველ ჯერზე, დაგანერისას, იმნუთიერი ჩემი ავტორობის შეგრძნება მეუფლებოდა. ფროსტის ლექსების ილუსტრირებისას ამ ცდუნებას არ გავექეცი და სამი ენის შრიფტი, სამი კალიგრაფია მოვიშველიე – რობერტ ფროსტის დედაენისა – ინგლისურის და ჩემი ორენოვნებიდან გამომდინარე, ჩემი მშობლიური ენებისა – ქართულისა და რუსულის. გამიზნულ ჩინურ ალუზიებზე კი სიტყვას აღარ გავაგრძელებ.

ეს არის და ეს, რაც მინდოდა მეტქვა, რამაც ფროსტის სახელს მიმაახლოვა, მის სახელში მოიყარა თავი, იმ სულიერების სარკმელი გამომიღო, სადაც ყველა დროის ყველა კულტურა ერთად იყრის თავს და სადაც ფროსტისა და ჩინური ფერწერის ერთიანობა ჩვეულებრივი ამბავია.



გიორგი ყაჯრიშვილი

## „ან ხვალინდელი დღე რას მჯირღება“

წერილი მეოთხე

დავით გაბუნიას დრამატურგიამ კარგა ხანია, თეატრის რეჟისორების ყურადღება მიიქცია. ნ. ჩაკვეტაძე, მ. ჩარკვიანი, პ. ციკოლია, დ. თავაძე ის ახალგაზრდა რეჟისორები არიან, რომელთაც სცენაზე გააცოცხლეს ამ დრამატურგის პიესები. მთარგმნელისა და დრამატურგის პიესათა ჩამონათვალი საკმაოდ

გრძელია. მისმა ნამუშევარმა „რამდენიმე დამამძიმებელმა გარემოებამ“ მიხეილ თუმანიშვილის ფონდის პრემია მოიპოვა. ავტორი თავის პიესებში თანამედროვე თემებს ეხება და ძირითადად იმ პრობლემებზე საუბრობს, რომლებიც დღევანდელ ახალგაზრდობას აწუხებს. ამ მხრივ ყურადღებას იქცევს მისი ბოლო პიესა



„ბეჩავიც“, რომელიც ახლახან წარმატებით დაიდგა სამეფო უბნის თეატრში (რეჟისორი მ. ჩარკვიანი).

პიესა „რამდენიმე დამამძიმებელი გარემოების“ თემა და სათაური იქცა რეჟისორ ნიკა ჩიკვაიძის შთაგონების წყაროდ, რომელმაც დავით გაბუნიას სამი პატარა პიესა: „დედა“, „ლავინიას ყურები“ და „თურქი ბიჭის, სეფიდეს ნესინის ცხოვრება და აღსასრული“ ერთ სასცენო ნაწარმოებად გააერთიანა „ყველა დამამძიმებელი გარემოების“ სახელით, რითაც, როგორც ჩანს, ხაზი გაუსვა, რომ მის მიერ სცენაზე გადატანილი ამბები „გარემოებებითაა დამძიმებული“ – სამივე მათგანი ერთი რომელიმე პერსონაჟის ძალადობრივი სიკვდილის შესახებ მოგვითხრობს.

დრამატურგ დავით გაბუნიას პიესების „ნატურალისტური“ ბუნება ან თუნდაც ამ მიმართულებისკენ მობრუნება დასტურია იმისა, რომ საზოგადოებაში ყველაფერი მთლად რიგზე ვერ არის. ის გამონაკლისი შემთხვევებიც, რომლებიც მის პიესებშია ასახული, ამისი დამამტკიცებელია.

თუ ენრიკო ფერის ტრაქტატის – „დამნაშავეთა ტიპები ლიტერატურასა და ხელოვნებაში“ – კლასიფიკაციას გავიზიარებთ, სამივე პიესაში იკვეთება დამნაშავეთა შემდეგი სახეები: ფსიქიკური აშლილობის დამნაშავე – დედა პიესიდან „დედა“, დამნაშავე ვნებების გამო (ცოლი პიესიდან „ლავინიას ყურები“) და შემთხვევითი, ანუ ანგარებითი დამნაშავე მესამე ნაწარმოებიდან („თურქი ბიჭის, სეფიდეს ნესინის ცხოვრება და აღსასრული“). რაც მთავარია, ყველა დანაშაულის ჩამდენი ქალია.

სპექტაკლი „თავისუფალი თეატრის“ სცენაზე უფრო ადრე იწყება, ვიდრე მაყურებელთა დარბაზის კარი გაიღება. ფოიეში უკვე ისმის სამგლოვიარო საგალობლის ჰანგები (მგალობლები: მზია მურადაშვილი, ლია შამავა, ნინო არჩვა-

ძე) და შესვლისთანავე მიცვალებულის პანაშვიდზე აღმოჩნდებით. ჩვეულებრივი მრავალსართულიანი სახლის მერვე სართულზე უდროოდ დაღუპულ ათი წლის ბიჭს გლოვობენ, რომელიც 2008 წლის აგვისტოს ომის დროს სახლის აივნიდან გადმოხტა.

სცენაზე უშველებელი კუბოა (სცენოგრაფი მარიამ ქელიძე), რომელსაც შემდგომ რეჟისორი ხშირად სცენურ ფიქარნაგადაც იყენებს. მისი გაზვიადებული ფორმა დიდ ტკივილსა და ტრაგედიაზე მიუთითებს. კუბოს გარშემო ჭირისუფლები შემოსხდომიან, როგორც ტრადიციულ კავკასიურ ტირილშია მიღებული (ზოგიერთი მათგანი დღევანდელი სპექტაკლის მაყურებელიც კია). იგრძნობა, რომ საკმაოდ ხელმოკლე ოჯახში იმყოფებით: თაროებზე ცარიელი ქილები აწყვია, ქვემოთ კი – ელექტროქურა, ასე აქტუალური რომ იყო გაზიფიკაციას დანატრებულ მოსახლეობაში. მეორე კედელზე ოჯახური სურათი ჰკიდია. იქვეა წიგნების თაროებიც.

დედა (ქეთი ცხაკაია) ადგილს ვერ პოულობს, მძიმედ განიცდის შვილის დაღუპვას. უეცრად ფეხზე წამოიჭრება, ბარბაცით ტოვებს დარბაზს ათასი ბოდიშის მოხდით. სამგლოვიარო ტანსაცმელი აცვია. ამ ჩაცმულობაში მხოლოდ წითელი ფეხსაცმელი გამოიყურება მეტად უცნაურად. ეს ან მისი ერთადერთი ფეხსაცმელია, ან, ალკოჰოლით გაბრუნებული, ვერც კი გრძნობს, როგორი უადგილოა ამ სიტუაციაში ასეთი ფეხსაცმელით გამოჩენა. მასსა და დანარჩენ ჭირისუფალთა (სავარაუდოდ, მეზობლებს) შორის კონტაქტი არ იგრძნობა და, ალბათ, არც არასდროს ყოფილა.

შვილის დაკრძალვის შემდეგ თითქოს არაფერი მომხდარიყოს, დედა შავებს იხდის, წითელ კაბაში გამოეწყობა (აი, თურმე რატომ აცვია დასაწყისში წითელი ფეხსაცმელი), სახელოებზე მაქმანებშემოვლებულ შავ პიჯაკს მოისხამს

და იწყება მონოლოგი, რომლითაც ცდილობს, აგვიხსნას, რა გადახდათ მას და მის შვილს. ომის საშინელების მომსწრე და მტრის ხელში ჩაგარდნის შიშით შეპყრობილი პატარა, რომელსაც დედამ ოთხი ჭიქა არაყი დააღვინა, როგორმე მისი შიში რომ დაეთრგუნა, მერვე სართულიდან გადახტა. ამ მონოლოგისას დედა გამომძიებელთან დაკითხავზე მყოფს ჩამოჰგავს. ქეთი ცხაკაია ამ ამბავს ჰყვება ნერვიულად, ნაწილ-ნაწილ, პაუზებით, ჯერ მხოლოდ ფაქტების მოხმობით – იხსენებს თუ როგორ მიატოვა ქმარმა, როგორი წვალებით ზრდიდა შვილს, თუმცა არაფერს აკლებდა. ცხადად იკვეთება ეგოისტი დედის პორტრეტი, რომელიც ახლა იმითაა კმაყოფილი, რომ მისი შვილი სამუდამოდ ათი წლისა დარჩა და რომ მის სიყვარულში უკვე აღარავინ შეეცვლება. ამ მონოლოგის ბოლოსკენ თანდათან იკვეთება სინდისის ქენჯნა, ჩადენილი დანაშაულის სიმძიმე, მონანიების განცდა, მისი სიტყვები უკვე აღსარებაში გადაიზრდება და ეჭვი გეპარება მის მიმართლეში. (სულაც არაა გამორიცხული, რომ ამ ფსიქიკაშერყეულ ქალს აივნიდან გადაეგდო საკუთარი შვილი). დედა ვერ უძლებს „დაკითხვის“ ფორმას და გარბის, გარბის, რომ კარგად გამოთვრეს და სპექტაკლის ბოლოს მოგვევლინოს ბოთლით ხელში, გაღვნილი და გვაუნყოს, რომ ყველაფერი დამთავრდა.

პირველი დედის როლის შემსრულებელი (სპექტაკლში მეორე დედაცაა – მასზე ქვემოთ) ქეთი ცხაკაია მარჯანიშვილის თეატრის მსახიობია – მკვეთრად გამოკვეთილი სახასიათო ამპლუატი. მის მიერ პროფესიონალიზმით შესრულებული როლების ერთხელ ნახვა საკმარისია, რომ დიდხანს შემოგრჩეს მესხიერებაში: გრეთჰენი – გოეთეს „ფაუსტი“ (რეჟისორი ლ. ნულაძე), ჰამლეტი – შექსპირის „ჩემი ჰამლეტი“ (რეჟისორი ბ. კუპრეიშვილი, 2011 წლის „დურუჯის“ გამარჯვებული), კალანდრინი – ბოკაჩოს

„დეკამერონი“ (რეჟისორი ლ. ნულაძე), ადამი – შექსპირის „როგორც გენებოთ“ (რეჟისორი ლ. ნულაძე). რაოდენ სასიამოვნოა, რომ თანამედროვე თეატრში ასე ადვილად შესაძლებელი სხვა თეატრის მსახიობების მონვევა, მსახიობების, რომლებიც ზუსტად გადმოსცემენ რეჟისორის ჩანაფიქრს. იგივე შეიძლება ითქვას მეორე დედის როლის შემსრულებელ მაია ლომიძეზეც.

მეორე პიესის პერსონაჟებიც გონებაარეული კრიმინალური ნყვილია: ცოლი (ანუკა გრიგოლია) და ქმარი (სოსო მათიაშვილი, გიორგი ჩაჩუა). მათი ურთიერთობა გამომწვევ-გამალიზიანებელია სადისტურ-მაზოხისტური ელემენტებით. ცოლი ამაცობს იმით, რომ ქმარს „არ აძლევს“, ქმარი კი, სექსუალური მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად, ხშირად მიმართავს ონანიზმს. საკონდიტრო ქარხანაში მომუშავე ცოლი ოთახშიც ფქვილითა და ვანილითაა ამოთხვრილი, სახლშიც კონდიტერობს, შიგადაშიგ კვერცხებსაც ამტვრევს თავზე საკუთარ მეულღეს, უხვად აცხობს ნამცხვრებს და მაყურებელსაც სთავაზობს თავის გამომცხვარ, ახლა უკვე, ქიშმიშის მაგივრად, საკუთარი ქმრის სხეულის ნაწილებით შეზავებულ ნამცხვარს. დიახ, მათ შორის დაძაბულობამ აპოგეას მიღწია და ცოლმა ქმარი მოკლა, ნაკუნებად აქცია.

მესამე პიესა – „თურქი ბიჭის, სეფიდეს ნესინის ცხოვრება და აღსასრული“ – განსაკუთრებით გამოირჩევა საინტერესო ხასიათებით და და სამსახიობო შესრულებით: დედა – მაია ლომიძე, უფროსი ბიჭი ნიკო/ნინო – ტატო გელიაშვილი, უმცროსი გოგო თეკლა – ნინა კალატოზიშვილი. ამ პიესის ყურებისას საბოლოოდ რწმუნდები, რომ ახალგაზრდა რეჟისორ ნიკა ჩიკვაიძეს ხელენიფება არა მხოლოდ მსახიობთა შერჩევა, როლის თავისებურებიდან გამომდინარე, არამედ მათთან ერთად შესანიშნავად ახერხებს პერსონაჟთა სახის გაანალიზე-

ბა-გამოკვეთას.

თურქეთში სამუშაოდ წასული დედის დანაშეულებრივი ქმედება მსახიობმა მაია ლომიძემ საკუთარი შვილების ბედნიერებისათვის ბრძოლის სურვილით გაამართლა – ვერაფრით დავუშვებდი რომ ჩემი თურქი მეუღლის ქონება სხვას დარჩენოდაო. მიღებული გადაწყვეტილება კოლექტიურია და ამ დანაშაულში შვილები – ტრანსვესტიტი ნიკა/ნინო და ფეხმძიმე თეკლაც ეხმარებიან. „სამაიას“ (ქორეოგრაფი სოფო ყაზახაშვილი) ჰანგებზე აცეკვებული სამეული დარწმუნებულია საკუთარ სიმართლესა და გადაწყვეტილების სამართლიანობაში. დაძმა გამუდმებით ჩხუბობს, სულ ერთმანეთის შეურაცხყოფით არიან დაკავებული, მაგრამ ბოლოს მაინც რიგდებიან ხოლმე. დედამ სანაქებოდ ვერ აღზარდა შვილები, სამაგიეროდ, სხვისი მემკვიდრეობით მათი მომავალი უზრუნველყო.

გაბუნიას მიერ აღწერილ სამყაროში ყველაფერი თავდაყირა დგას და შექმნილი მდგომარეობა ყველაზე ახლობელი ადამიანების – დედა-შვილის, ცოლ-ქმრის – ურთიერთობებზეც აისახება.

ნინა პლანზე გადმოდის ავადმყოფური ვნებანი, ეგოისტური მოთხოვნები, სადისტური გრძნობები, დანაშაულებრივი ქმედება, დაუსჯელობის სინდრომი, სიძულვილი და ბოროტება.

„თავისუფალი თეატრის“ ახალი სპექტაკლის რეჟისორი ნიკა ჩიკვაიძე დებიუტანტია. მან წარმატებით გაართვა თავი დრამატურგიულ ტექსტებს, შესანიშნავად შეძლო ავტორის მიერ შექმნილი ხასიათების სცენაზე გადმოტანა. სცენოგრაფიისა და მუსიკის მეშვეობით, შექმნა გარემო, სადაც ყველა მსახიობი ზუსტად გადმოსცემს თითოეული სახასიათო პერსონაჟის ბუნებას, ჩადენილი ქმედების ლოგიკურობას. სამივე პიესა პატარა დრამაა, რეჟისორის მიერ სწორად გახსნილი და ტრაგიკომედიური ფერებით შეზავებული. რასაკვირველია, სპექტაკლს კეთილი ბოლო არა აქვს და არც დამნაშავენი ისჯებიან.

ჩვენ თანავუგრძნობთ ნაწარმოების პერსონაჟებს, თუმცა არ მოგვწონს მათი საქციელი, უფრო მეტიც, ვკიცხავთ მათ ჩადენილ დანაშაულებათა გამო.



●  
მარჯანიშვილის თეატრის სარდაფშიც ახალგაზრდა რეჟისორის, გურამ ბრეგაძის, ნამუშევარს დაეთმო სცენა.

თეატრის უფარდო სცენას თავისი უპირატესობაც ჰქონია (ადრეულ სტატიებში ხშირად ვწერდი, ფარდის ახდის და სიურპრიზის მოთხოვნილება მაქვს-მეთქი). სპექტაკლის დაწყებამდე შეგიძლია დააკვირდე იმ მიკროსამყაროს, სადაც წარმოდგენა უნდა გათამაშდეს. უილიამ შექსპირის „შეცდომათა კომედია“ რთულად დასადგმელი ნაწარმოებია, თუმცა არსებობს გადმოცემა, რომ იგი შექსპირის მოღვაწეობის დროსვე დაიდგა (1576 წ.). მარჯანიშვილის თეატრის სარდაფში რეჟისორ გურამ ბრეგაძის მიერ დადგმული სპექტაკლი ერთგვარად იმეორებს შექსპირისდროინდელ სცენოგრაფიას – „გზაჯვარედინზე სათამაშოს“ და მოქმედება ხდება ეფესოს მთავარ მოედანზე, პატარ-პატარა მინის სახლებით, რომლებიც ერთდროულად საპატიმროს კამერებიცაა და საცხოვრებელი ბინებიც (სცენოგრაფი ლომგული მურუსიძე).

ამ სპექტაკლში შექსპირი ყველგანაა – იატაკზე, შემსრულებელთა კოსტიუმებზე მოხატული, ზონგებში („ოი, უილიამ, უილიამ!“) და, რასაკვირველია, იმ ბრწყინვალე ფრაზებში, რომლებიც სცენიდან გვესმის.

ინგლისელი დრამატურგის კომედიას, სათაურის მსგავსად, „შეცდომათა კომედიის“ ჟანრს მივაკუთვნებდით, ასეთი რომ არსებობდეს. ისე კი მას განსაზღვრავენ, როგორც გარემოებათა კომედიას, რომლის პირველწყაროს რომელი დრამატურგის, პლავტის, „ორი მენეხმა“ წარმოადგენს. შექსპირის მიერ დამატებით მეორე ტყუპი ნყვილის შემოყვანამ უფრო დახლართა სიუჟეტი და, რომ არა განსაზღვრება „სარაკუზელი“, „ეფესელი“, უსათუოდ, თავგზას აურევდა მკითხველს.

პიესის ასეთი კონსტრუქცია დამატებით სიძნელეებს უქმნის დამდგმელ რეჟისორს. თავისთავად, ამან განაპირობა ის, რომ ამ ნაწარმოების უფრო კინოვერსიებია ცნობილი (მაგ. რეჟისორ ვადიმ გაუზნერის ფილმი რამაზ ჩხიკვაძის – მოხუცი მსახიობი, სოფიკო ჭიაურელის – კურტიზანი ქალი და მიხეილ კოზაკოვის – ანტიფონე – მონაწილეობით), ვიდრე თეატრალური წარმოდგენები.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ ახალგაზრდა, მაგრამ უკვე საკმაოდ გამოცდილმა რეჟისორმა გურამ ბრეგაძემ წარმატებით გაართვა თავი ამ სირთულეს ვიდუონისტალაციებითა და ეკრანების შემოტანის გზით. მან მოახერხა ის, რომ ორი ანტიფონე და ორი დრომიო სცენაზე ერთმანეთში ერევათ მხოლოდ პიესის სხვა მოქმედ პირებს და არა მაყურებელს.

ტრაგიკულია ეგეონის, სარაკუზელი ვაჭრის ბედი, რომელსაც მსახიობი ონისე ონიანი განასახიერებს. შვილებისა და მეუღლის საძებნელად ეფესოში ჩამოსული ვაჭარი საპრობილეში აღმოჩნდება, როგორც სარაკუზელი და მხოლოდ ეფესოს მთავრის (ზურაბ ინგოროყვა) კეთილგანწყობა, მისი ბედით და გასაჭირით დაინტერესება, ყურადღება და, თუ გნებავთ, მხარდაჭერა გადაარჩენს მას უცილობელი სიკვდილისგან. ორი მეზობელი ქვეყნის დაპირისპირებამ შეიძლება ბევრი ადამიანი შეინიროს, მათ შორის ისინიც, რომელნიც მხოლოდ თავისი პროფესიით არიან დაკავშირებული მტრულად განწყობილ ქვეყანასთან და ამ ქვეყნის მიმართ განსაკუთრებული გრძნობა არ გააჩნიათ. ვაჭრები, კომერსანტები, მსახიობები, მხატვრები და ხელოვნების სხვა მოღვაწენი ეშაფოტზე არ დაისჯებიან და ისევე არ ემუქრებათ ჩამოხრჩობა, როგორც ეგეონს ან თუნდაც რეჟისორებს: რობერტ სტურუას, ლევან ნულაძეს ან გურამ ბრეგაძეს, რომელთაც სპექტაკლის დასაწყისში ეკრანზე „ჩამომხრჩვალეებს“ ვხედავთ.

ეგეონი (ო. ონიანი) მოსთქვამს თავის უბედურებაზე. სავარძელში მოკალთებული, ელეგანტურად გამონწყობილი ეფესოს მმართველი (ზურაბ ინგოროყვა) ყურადღებით უსმენს საცოდავ ტყვეს, რომელსაც სიკვდილისაგან მხოლოდ ასი მარკა თუ გადაარჩენს. კეთილშობილი და გულკეთილი მთავარი ბოლო შანსს აძლევს ეგეონს, რომ „საჭირო თანხა დაისესხოს, დაიხსნას თავი“, უფრო მეტიც, არ ტოვებს მას გასაჭირში, უკან დაჰყვება და კვებავს კიდევაც („მაკდონაღდის“ რბილი ჰოთდოგებით“!).

რეჟისორი, პარალელური სამყაროების შექმნის მიზნით, სცენების უმეტესობას ორ-ორჯერ იმეორებს. ასე, მაგალითად, ეგეონის მონათხრობი, ცოლისა და ცოლისდის სცენები, ელენეს გამოსვლა (სამჯერ) და ა. შ.

ვიდეოინსტალაციითა და ტექნიკური საშუალებით ორიგინალურად და ლამაზადაა გადანწყვეტილი ანტიფონეს და დროშიო სარაკუზელის ოკეანის ტალღებიდან ამოსვლა ეფესოში.

სცენაზე ერთდროულად ორი სხვადასხვა ხასიათის განხორციელება, იმ შემთხვევაშიც კი თუ ისინი გარეგნობით იდენტურნი არიან, საკმაოდ რთულია, თუნდაც იმიტომ, რომ შეძლო, მაყურებელმა სწორად აღიქვას შენი პერსონაჟის ხასიათი, მისი ქმედების არსი თუ მოტივაცია. ამ რთული ამოცანის წინაშე აღმოჩნდა ორი მსახიობი: დათო ხახიძე და ზაზა იაქაშვილი, მაგრამ, უნდა ითქვას, რომ მათ შესანიშნავად გაართვეს თავი ამ ამოცანას.

ანტიფონე სარაკუზელი კეთილშობილი ვაჭარია, ადვილად ამყარებს ადამიანებთან ურთიერთობას, მიუხედავად იმისა, რომ უცხო ქვეყნიდანაა ძმის საქებნელად ჩამოსული. ერთადერთი, რაც აოცებს, ისაა, რომ ვერაფრით ხვდება, რატომ უცინიან და ესალმებიან უცხო ადამიანები, რატომ ჩუქნიან ფულსა და ოქროს ყელსაბამს, რატომ პატიუბენ

უცხო სახლში და რატომ იჩემებს უცხო დიდგვაროვანი ქალბატონი მის მეუღლეობას.

ანტიფონე ეფესელი თავდაჯერებული ვაჭარია, სარგებლობს რეპუტაციით, მდიდარი და ლალია, უხვად არიგებს საჩუქრებს, მეოჯახება, თუმცა მფარველობს და მეგობრობს ცნობილ კურტიზან ქალთან – ელენასთან (ეკა ნიჟარაძე).

ზაზა იაქაშვილის დრუმიო ეფესელი მოქნილი თვალთმაქცია – ცოტა თავხედი მსახური. მსახიობის მეორე დრუმიოსგან განხვავებით, ეს პერსონაჟი ენაბლუა, რაც მას კიდევ უფრო განასხვავებს დრუმიო სარაკუზელისაგან, რომელიც უფრო დამჯერია, უფრო მეტად მორჩილი, მხიარული და იუმორის გრძნობით დაჯილდოვებული. იგი ზედმინევენით ასრულებს ბატონის დავალებებს, მეტიც, მისი ერთგული მეგობარია, ყოველთვის მზადაა, იხსნას ის გამოუვალი და გაუგებარი სიტუაციიდან, თუნდაც მაშინ, როცა დაატყვევებენ.

ედრიანა (ნათია არბოლიშვილი) თითქოს მორჩილი მეუღლეა, მაგრამ მაინც მზადაა, აუმხედრდეს მეუღლეს თუნდაც, იმიტომ რომ კაცებს უფრო მეტი უფლებები აქვთ. არც იმითაა კმაყოფილი, რომ ანტიფონე მარტო სეირნობას უკრძალავს.

ნ. არბოლიშვილის ედრიანას შენუხებას საზღვარი არა აქვს და ვერც მის დას, ლუსიანას, (ანა სანაია) მოუხერხებია მისი დამშვიდება. ეჭვიანობით აღსავსე ქალი ძალზე განიცდის, რომ მეუღლემ მის მიმართ ინტერესი დაკარგა და სხვა ქალებში ერთობა. აღარც შეპირებული საჩუქარი – ოქროს ყელსაბამი აღეღებს, იმდენად ცუდ განწყობაზეა და ეჭვიანობასაა აყოლილი.

მეორე ანტიფონეს გამოჩენის შემდგომ ეფესოში სიტუაცია იძაბება. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ დროშიოც ორია. რეჟისორი და მსახიობები, გრიმისა და კოსტიუმების მონაცვლეობით (მხატვარი



ქეთი ციციშვილი), აღწევენ, მაქსიმალურად განასხვავონ ისინი ერთმანეთისგან და, ამასთან, შეინარჩუნონ ის ინტრიგა, რაც შექსპირისეულ დრამატურგიულ ტექსტშია ნაგულისხმევი.

ანჯელო (ჯაბა კილაძე) გაქნილი და გაიძვერა ოქრომჭედელია, რომელიც მევახშეებისგან აღებული ფულით ეწევა ბიზნესს და თავისი ეშმაკობით ყოველთვის ახერხებს უმძიმესი სიტუაციიდანაც კი თავის დაღწევას. ჯაბა კილაძის ანჯელო ყველასგან გამოირჩევა ჩაცმუ-

ქოროს მსგავსად, სადაც დაკავებულნი არიან ახალგაზრდა მსახიობები (ნოდარ ძონენიძე, გიორგი ხურცილავა, გიორგი კიკნაძე). ამ ქოროს რეჟისორმა დიდი ფუნქცია დააკისრა – მისი წევრები ერთდროულად არიან ზედამხედველები, ბოქაულები, ამალა, მსახურნი, ეფესოს მაცხოვრებლები და მოვლენათა განვითარების შემფასებლებიც.

ედრიანასა და ანტიფონე სარაკუზელის შეხვედრა კვლავ იწვევს დიდ გაუგებრობას. უცოლო კაცისთვის იმის



ლობით, საუბრისა და ქცევების მანერით. „სელფების“ ოსტატი ლიმილს გვრის მაცურებელს და ახალისებს წარმოდგენას.

რეჟისორის მიერ შემოთავაზებული პიესის ვერსია სინთეტური თეატრის პრინციპზეა აგებული: იგი დიდ დატვირთვას აძლევს მუსიკას (გამფორმებელი ზურაბ ინგოროყვა), ზონგებს, ცეკვასა და პლასტიკას (ქორეოგრაფი გია მარლანია), თუნდაც ერთი ელენეს (ეკა ნიჟარაძე) გამოსვლა მთელ სპექტაკლად ღირს. განსაკუთრებული სიზუსტით და საოცარი პლასტიკათა დადგმული მასობრივი სცენები – სავარაუდოდ ბერძნული

მტიციცება, რომ ედრიანა მისი მეუღლეა, უფრო მეტად დააბნევს ანტიფონე სარაკუზელს, რომელსაც უცაბედად ლუსიანა ჩაუვარდება გულში. სხვის სახლში სხვისი მეუღლის მიერ სადილად მიწვეული ანტიფონე სარაკუზელის გაკვირვებას საზღვარი არა აქვს.

განსაკუთრებული კომიზმითაა დატვირთული სცენა, როდესაც მეუღლე შეგვიანებულ ანტიფონეს კარსაც კი არ უღებს. აქ განსაკუთრებით აქტიურობენ გლობუსივით მრგვალი მოახლე ლუსია (ქეთი კანტიძე) და დრომიო სარაკუზელი.

გაუგებრობა გაუგებრობას ემატება

და მაცურებელი უკვე ძალიან იბნევა: ვინ ვინ არის.

მხოლოდ რამდენიმე მომენტში, როცა ანტიფონე და დრომიო სარაკუხელები ან ეფესოელები ერთად აღმოჩნდებიან სცენაზე, ხდება მოქმედებათა ლოგიკისა და ჭეშმარიტების აღდგენა.

ლია (ირმა ბერიანიძე) იპოვა, რომელიც მონაზვნად იყო აღკვეცილი და ტყუპმა ძმებმაც ბოლოს და ბოლოს იპოვეს ერთმანეთი, ფინალში ცხადად არაა გამოკვეთილი. მაშინ, რა აზრი ჰქონდა ემილიას მოქმედებაში ჩართვას მისი პომპეზური შემოსვლებითა და გასვლებით?



გულისტკივით მინდა აღვნიშნო, რომ ის ბედნიერი ფინალი, რომელიც უილიამ შექსპირის ამ კომედიაშია, გურამ ბრეგაძის სპექტაკლში არ გამოიკვეთა. ცხადია, აქ, ამ წარმოდგენაშიც ყველაფერი კარგად თავდება და ყველა გაუგებრობას თავისი გასაღები მოეძებნა, მაგრამ ის, რომ ეგონმა თავისი მეუღლე ემი-

სავარაუდოა, რეჟისორმა მიიჩნია, რომ ყველაფერი ცხადზე ცხადი იყო, თუმცა, ისიც გასაგებია, რომ საერთო ზეიმი ტექნიკურად ვერ შედგებოდა, თუნდაც იმიტომ, რომ აქ ერთ მსახიობს ერთდროულად ორი როლის განხორციელება უნევს. აქაც ისევ ვიდეო-კომპიუტერული ტექნიკა მოგვევლინა მხსნელად.